აგვისტო 24-26 1996 წ.

# კავკასიონი

The KAVKASIONI © ყოველდღიური გაზეთი № 147 (440) ფასი 40 თეთრი




## პასტუხოვი და ლორთქიფანიძე გალში

...ნასწარი შე... შესაბამი... ...ლის რაიონში ...ელთა შესაძ... ...რივი დაბ... ...ის დაწყების ...ქმნილი მდგო... შესასწავ... 22 აგვისტოს ბორის პას... და ვაჟა ...ქიფანიძე ჩა... ...მინ ისინი გა-ლის რაიონში განლაგებულ სამშვიდობო ძალებს და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ. მედეგ ისინი ზუგდიდში გაემართნენ, სადაც უნდა შეხვედროდენ ქართული მხარის წარმომადგენლებს — პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ვახტანგ ყოლბაიას, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ლონდერ ცაავას, საქართველოს პარლამენტში გალის რაიონის წარმომადგენელს იგორ კეკუას და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრს კლიმენტი ჯაჭვლიანს.

„კავკასიონის"
საინფორმაციო
სამსახური

## ...რის პასტუხოვი: ...ნატრი დოკუმენტის ...მოწერის დღე ახლოსაა"

...ხეთის საგარეო საქმეთა ...ტრის პირველი მოადგილე ...პასტუხოვი შეხვდა დსთ-ს ...ლივი სამშვიდობო ძალე... ...ელმძღვანელობას და ქარ... ...აფხაზური მოლაპარაკებე... ...ფხაზური მხარის წარმომა... ...ობას.

...ეს კი ქართულ მხარესთან ...რა შედგება. შეგახსენებთ, ...უკვე მესამე წელია, რაც ...ი ქართულ-აფხაზურ მო... ...აკებებზე შუამავლის ...ასრულებს, თუმცა, ორივე ...თვის მისაღები დოკუმენ... ...ხელმოწერა დღემდე ვერ ...ება. დოკუმენტის ხელმოწე... ...ავარ წინააღმდეგობას აფ... ...ის პოლიტიკური სტატუსი ...საქართველო აფხაზეთთან ფედერაციულ ხელშეკრულებას მოითხოვს, აფხაზეთი კი მხოლოდ საქართველოსთან კონფედერაციულ კავშირზეა თანახმა.

სოხუმში ჩამოსული რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ბორის პასტუხოვი მთელი დღის განმავლობაში, ჩაკეტილ კარს მიღმა, აფხაზეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობასა და პარლამენტის დეპუტატებთან გაცხოველებულ მოლაპარაკებას აწარმოებდა.

შეხვედრის შემდეგ რუსმა დიპლომატმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მხარეთა პოზიციები თანდათან ერთმანეთს უახლოვდება და დიდი ხნის ნანატრი დოკუმენტის ხელმოწერის დღე უკვე ახლოსაა.

## აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით

...მინ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ გაავრცელა ...ცია, რომელშიც ნათქვამია: „მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ...მიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო პრობლემის დარეგულირების ...ობო პროცესს უშედეგოდ მიიჩნევს, იგი ხელს არ უშლის საქართველოს ...ის ხელისუფლების მცდელობას — პოლიტიკური მოლაპარაკებების გზით ...ის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, დევნილთა უსაფრთხო ...როში დაბრუნებას". აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი ...ხელმძღვანელების აზრით, აფხაზური მხარის ქმედებების გაანალიზება ...ფს, რომ არძინბას პოზიცია გამორიცხავს პოლიტიკური გზით საკითხის ...ტის ყველანაირ შესაძლებლობას.

იფრინდა

## ...ის მოსახლეობა ...დიდზეა დამოკიდებული

...ლენჯიხის რაიონის გამგე... ...„იბერიას" კორესპონ... ...აცნობეს, რომ აფხაზეთი... ...ტოვებულ მოსახლეობაში ...რად მუშაობს სეპარატის... ...უშიშროების სამსახური. ...სეპარატისტები ცდილო... ...ტოვებულებში უიმედობის ...ბა და დაძაბულობა დათე... ...დევნილთა ერთი ნაწილი ...ული პირობებით გულრი... ...და ოჩამჩირის რაიონებ... ...ი ბრუნდება. გალის რაი... ...მოსახლეობა ჯერ კიდევ ...ად ზუგდიდის რაიონზეა დამოკიდებული.

როგორც ცნობილი გახდა, შაბათ-კვირას გალში იმართება დიდი ბაზრობა, რომელზეც გალის მოსახლეობა ყიდის ზუგდიდში შეძენილ საქონელს. მყიდველები კი გაგრიდან და გუდაუთიდან ჩამოსული აფხაზები არიან. ზოგიერთი ინფორმაციით, სოხუმსა და გუდაუთაში საქონელი ორჯერ უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ზუგდიდსა და საქართველოს სხვა რაიონებში.

იბერია

## საგადასახადო კოდექსი უნდა მოწესრიგდეს

22 აგვისტოს გაიმართა საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საკონსულტაციო ეკონომიკური საბჭოს მორიგი სხდომა, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე უძღვებოდა. „საგადასახადო სისტემა მეწარმეობას სტიმულს უნდა აძლევდეს" — ბრძანა საქართველოს პრეზიდენტმა.

ფინანსთა მინისტრმა დავით იაკობიძემ ისაუბრა საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული მდგომარეობის შესახებ. აღნიშნა, რომ ინტენსიურად მიმდინარეობს საგადასახადო კოდექსის დამუშავების პროცესი და მისი შემოღებისთანავე დღის წესრიგში უნდა ჩადგეს გადასახადების რაოდენობის შემცირების საკითხი. დ.იაკობიძის აზრით, უნდა დარჩეს მხოლოდ თერთმეტი სახის — დამატებული ღირებულების, აქციზები, სახელმწიფო ბაჟი, საწარმოთა მოგების (შემოსავლების), ფიზიკურ პირთა საშემოსავლო, ქონების, მიწის, წიაღისეულითა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, სატრანზიტო, ეკოლოგიური და საბაჟო გადასახადები. ფინანსთა მინისტრი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მოგების გადასახადი საქართველოში ძალიან დაბალია და იგი 10-დან 25 პროცენტამდე უნდა გაიზარდოს.

პრეზიდენტმა არ გაიზიარა ფინანსთა სამინისტროს მოსაზრება მოგების გადასახადის გაზრდასთან დაკავშირებით. მან მხარი დაუჭირა გადასახადების დიფერენცირებას. სხდომაზე ითქვა, რომ მოქმედ საბაჟო გადასახადებს მოწესრიგება ესაჭიროება და ეს საკითხი მეზობელი სახელმწიფოების შესაბამის სამსახურებთან ურთიერთობით უნდა დარეგულირდეს.

იფრინდა

## 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველომ მიიღო კონსტიტუცია




## მეთამბაქოებს ვალი აქვთ

გაერთიანება „თბილთამბაქოს" ბიუჯეტის 450 ათასი ლარი მართებს. თამბაქოს ფაბრიკა „ქართლის" დავალიანებამ 620 ათასი ლარი შეადგინა. ვალები არ აქვთ მხოლოდ ბათუმის ფერმენტაციული ქარხნის მეთამბაქოებს. ივლისში მათ 9000 ლარი მოგება მიიღეს. დარგის თანამშრომლებს მიაჩნიათ, რომ შექმნილი კრიტიკული მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია მხოლოდ თამბაქოზე აქციზების 20 პროცენტამდე შემცირების შემთხვევაში. საქართველოს პარლამენტს განზრახული აქვს სექტემბერში ამ საკითხის განხილვა.

## ხელფასი უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც იზრდება

1996 წლის მეორე კვარტალში საბიუჯეტო სისტემაში მომუშავეთა საშუალო ხელფასი 19 ლარს შეადგენს. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის დეპარტამენტის ცნობით, წინა კვარტალთან შედარებით ხელფასი 4-5 პროცენტით გაიზარდა.

BGI

## დახმარება ქართველ ენერგეტიკოსებს

26 აგვისტოს საქართველოს ორკვირიანი ვიზიტით ეწვევა გერმანიის ერთ-ერთი მსხვილი ფირმა „VEAG"-ის ხელმძღვანელობა. ბოლო დროს, ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ეკოლოგიური მოსაზრებებით დემონტირებულია ქვანახშირზე მომუშავე რამდენიმე ენერგობლოკი. აღნიშნული ენერგობლოკების დამხმარე მოწყობილობა გარდაბნის ქვესადგურში მომუშავე მოწყობილობის იდენტურია. ფირმის ხელმძღვანელობას დაგეგმილი აქვს, რომ აღნიშნული მოწყობილობა უსასყიდლოდ, ან სიმბოლურ ფასად გადმოსცეს „საქენერგოგენერაციას". ვიზიტის დროს გერმანელი ენერგეტიკოსები გაეცნობიან გარდაბნის ქვესადგურს, რის შემდეგაც გაფორმდება შეთანხმება.

იფრინდა

## განსასჯელებმა იგორ გიორგაძის, შოთა კვირაიას, თედო ნინიძისა და ჯამლეთ ბაბილაშვილის დაკითხვა მოითხოვეს

ხუთშაბათის კიტოვან-სურგულაძე-ფისიუნის სასამართლოზე უნდა გამოქვეყნებულიყო იმ 18 მოწმის ჩვენება, რომლებიც ამჟამად საქართველოში არ არიან. მოსამართლემ ერთ ჩვენებაზე მეტი ვერ წაიკითხა, რადგან ფისიუნი დაეჭვდა — ჩვენებები ძალადობით არის მიღებულიო და მოწმეების დაკითხვა მოითხოვა, რასაც ჩვენებების გამოქვეყნების შეწყვეტა მოჰყვა. ამის შემდეგ დაიკითხა ერთი მოწმე — პოლიციელი, რომელიც ნატახტარის საგუშაგოსთან იდგა და დახავლეთისკენ მიმავალი ავტობუსების დათვლა ევალებოდა.

გაგრძელება მე—2 გვერდზე

## წელს ავარიებში 191 კაცი დაიღუპა

1996 წლის პირველ ნახევარში საქართველოში რეგისტრირებულია 735 ავტოკატასტროფა. ეს რაოდენობა შარშანდელი წლის იგივე პერიოდთან შედარებით 49-ით მეტია. ამ წელს საგზაო შემთხვევების შედეგად 191 კაცი დაიღუპა, 920 დაშავდა.

საქართველოს
სოციალურ-ეკონომიკური
ინფორმაციის დეპარტამენტი

## ევროპული ტურნირების კენჭისყრის შედეგები

### ჩემპ. თასი

ტორპედო (მოსკოვი)—დინამო (თბილისი)

### თასების თასი

დინამო (ბათუმი)—პსვ ეინდჰოვენი

იხილეთ მე—7 გვერდი

## კაციჭამიას სამზარეულო



ფსიქიურად არაჯანსაღი ადამიანები უმეტესად თანაგრძნობას იწვევენ, მაგრამ არავინ იცის რა შეიძლება მოუვიდეს თავში სულიერ ავადმყოფს. თუ შიზოფრენიკს მკვლელობის, შურისძიების ან უბრალოდ, აგრესიის გამოხატვის სურვილი შეიპყრობს, პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება არაადამიანური ტრაგედიის თავიდან აცილება. საქმეს კიდევ უფრო ართულებს სასამართლო ორგანოების უძლურებაც — ერთადერთი განაჩენი რაც მათ შეუძლიათ გამოიტანონ, იძულებითი მკურნალობაა.

იხილეთ მე—6 გვერდი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# განასჯელებმა იგორ გიორგაძის, შოთა კვირაიას, თედო ნინიძისა და ჯამლეთ ბაბილაშვილის დაკითხვა მოითხოვეს

პირველი გვერდიდან

გუშინდელ სასამართლოზე მოწმეების მოყვანა კვლავ ვერ მოხერხდა, სამაგიეროდ, დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების — დამფუძნებელი ხელშეკრულების, წესდებისა და სხვათა წაკითხვა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია წესდების 2.1 და 2.2 მუხლებმა, სადაც ნათქვამია:

„უშუალოდ აგრესიის ან სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემთხვევაში... რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის ინსპირირების ან ესკალაციის გზით მიზნად ისახავენ რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილის მოწყვეტას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი სამოქალაქო მოსახლეობისგან ქმნის შეიარაღებულ სახალხო წინააღმდეგობას შეიარაღებული მოძრაობის, სახალხო ლაშქრის, პარტიზანული ჯგუფებისა და სხვა ფორმირებების სახით...“

აღნიშნული წესდება იუსტიციის სამინისტროს 1994 წლის 26 ოქტომბერს დაუმტკიცებია, ნოემბერში კი იუსტიციის მინისტრი უზენაეს სასამართლოში შესულა წარდგინებით — წესდების დამტკიცებისას შეცდომა გაიპარა — შეიარაღებული წინააღმდეგობა მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივაა და, გთხოვთ, რეგისტრაცია გააუქმოთო.

იუსტიციის სამინისტროს წარდგინებას უშიშროებისა და თავდაცვის მინისტრების წერილები დასდებია საფუძვლად. ამ უკანასკნელთ კი, შესაბამისად, ვინმე მებურიშვილისა და ნიკოლოზ ადეიშვილის ჩვენებებით უსარგებლიათ, რომელთა თქმითაც, ისინი იარაღს ეგფ-ს წესდების შესაბამისად ატარებდნენ. იგორ გიორგაძის შეტყობინების თანახმად, მებურიშვილს შეუქმნია თერთმეტკაციანი უკანონო შეიარაღებული ფორმირება, რომელსაც ძეგვის მოხუცებულთა დისპანსერის შენობა დაუკავებია. რაც შეეხება ადეიშვილს, მისი სახლიდან პოლიციას საბრძოლოდ გამზადებული ყუმბარმტყორცნი და აკმ-ის ტიპის ავტომატი ამოუღია.

იუსტიციის სამინისტროს წარდგინება უზენაეს სასამართლოს დაქვემდებარების წესით გადაუცია დიდუბის რაიონის სასამართლოსთვის, რომელსაც 1995 წლის 4 იანვრის განკარგულებით გაუუქმებია ეგფ-ს რეგისტრაცია და კასაციისთვის 14 დღე მიუცია. 13 იანვარს, როცა განსასჯელები დააპატიმრეს, წესდება, რომელიც იარაღის ტარების უფლებას იძლეოდა, ჯერ კიდევ ძალაში იყო. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით აღძრეს შუამდგომლობა განსასჯელებმა და მათმა ადვოკატებმა, რომლის არსიც ასე ჩამოაყალიბა ადვოკატმა ბაზოვამ: ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ფრონტს იარაღით არ უსარგებლია, მაგრამ, რომც ესარგებლა, მას ამის უფლება ჰქონდა და არ გვესმის ბრალეულობის ფორმულირებაო.

„შუამდგომლობაზე დასკვნის მიცემა მიჭირს, იმიტომ, რომ ბრალეულობის საკითხი ჯერ არ დამდგარა, იგი ჩემს საბოლოო სიტყვაში უნდა ჩამოვაყალიბო,“ — განაცხადა პროკურორმა კახა კობერიძემ და თვითონ დასვა კითხვა: „წესდებაში რომ ეწეროს, ხალხის დახოცვის უფლება მაქვსო, ვიღაც უვიცმა წესდება დაამტკიცოს და ამის საფუძველზე ხალხი დაიხოცოს, მკვლელის ბრალეულობის საკითხი არ უნდა დადგეს?“ რაც შეეხება იუსტიციის სამინისტროს შეცდომას, იგი, პროკურორის აზრით, სამოქალაქო საქმეა და შეცდომის ჩამდენმა პასუხი უნდა აგოს.

ამგვარმა განმარტებამ განსასჯელთა პროტესტი გამოიწვია. „ჩვენ არავინ მოგვიკლავს და ერთადერთი ჩვენი დანაშაული ვარციხის გადასახვევამდე მისვლა იყო“, — განაცხადა ირაკლი სურგულაძემ და აღმკვეთი ღონისძიების შეცვლა მოითხოვა. „თუ ამ თხოვნას არ დაგვიკმაყოფილებ, მომავალში თვითონ შეგრცხვება“, — მიმართა მან კობერიძეს.

სასამართლომ იმსჯელა შუამდგომლობის შესახებ და „ბრალეულობის დადგინების ეტაპზე“ საქმის ძიებით შეწყვეტას უარი ეთქვა. სურგულაძის თხოვნა აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის შესახებ სასამართლომ არ განიხილა, იგორ გიორგაძის, შოთა კვირაიას, თედო ნინიძისა და ჯამლეთ ბაბილაშვილის დაკითხვის მოთხოვნას კი ამ ეტაპზე სერიოზული ყურადღება არ მიექცა.

სასამართლო ორშაბათს განაგრძობს მუშაობას და, ალბათ, განსასჯელების დაკითხვაც ამ დღეს დაიწყება.

სოზარ სუბელიანი

# სასამართლო გვიან საღამომდე გაგრძელდა

ქობალიას, ბოკუჩავას, ძიძიგურისა და მოლოდინაშვილის სასამართლო პროცესი გუშინ გვიან საღამომდე, 21 საათსა და 15 წუთამდე გაგრძელდა. ამის მიზეზი იყო ხობელი გელა ქაცარავას ხანგრძლივი დაკითხვა, რომელიც 15 საათზე დაიწყო. მანამდე კი ორი მოწმე დაიკითხა — ქარტია-91-ის გამგეობის წევრი თენგიზ დიხამინჯია და ამავე საზოგადოების თავმჯდომარე თედო პაატაშვილი.

ქარტია-91-ის წარმომადგენლებმა 1991-92 წლების თბილისის ომს სახელმწიფო გადატრიალება, სამხედრო საბჭოს კი არალეგიტიმური უწოდეს და 1991 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებიც არაკანონიერად მიიჩნიეს. დიხამინჯიამ არჩევნებში მონაწილეობა კომპრომისით ახსნა, ხოლო პაატაშვილმა — აუცილებლობით.

გელა ქაცარავამ ქობალია ჟურნალისტ ბოლქვაძის მკვლელობაში დაადანაშაულა, მაგრამ მის სხვადასხვა დროს მიცემულ ჩვენებებში იმდენი სხვაობა იყო, რომ სასამართლომ სიმართლე ვერა და ვერ დაადგინა. ქაცარავა სასამართლომდე, წინასწარი გამოძიების დროს, სამჯერ დაკითხეს: პირველად — 1993 წლის 18 ნოემბერს, მეორედ — 1994 წლის 16 აგვისტოს და მესამედ — 1994 წლის 17 აგვისტოს. აღნიშნული ჩვენებების სხვაობა ქაცარავამ დაბნეულობით ახსნა. ბოლოს, სასამართლოსადმი მიცემულ გუშინდელ ჩვენებაზე თქვა, სწორი ეს არისო და ისიც დაამატა, რომ ახლა უფრო კარგად მახსოვს ის ამბები, ვიდრე მაშინო, რადგან პირველი ჩვენების მიცემის დროს ფილტვების ანთებით ვიყავი ავად და აღელვებულიც ვიყავიო. განსასჯელების მიერ დასახელებული ხობელების გვარებიდან მოწმემ ვერც ერთი ვერ იცნო. ამის გამო, მისი პიროვნების და ჩვენებების მიმართ გაჩნდა ეჭვი.

ზაზა ფაჩუაშვილი

# ეკონომიკაში წინსვლა შეიმჩნევა

სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის დეპარტამენტის მონაცემებით, ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების 1996 წლის 7 თვის შედეგებით, სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპმა ამ პერიოდში 105,5 შეადგინა, რაც ნახევარი წლის მაჩვენებელს 1,5 პროცენტით აღემატება. წარმოების შესამჩნევი ზრდით ხასიათდება ელექტროენერგეტიკა და სათბობის მრეწველობა, ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, სატყეო, ხის დამამუშავებელი და ცელულოზა ქაღალდის მრეწველობა, საშენი მასალების, კვების მრეწველობა და სხვა.

1995 წლის 7 თვესთან შედარებით, წელს წარმოებულია მეტი ნავთობი, ქვანახშირი, ფოლადის მილები, ლითონური ელექტრომანგანუმი, სპეციალური და აგრეგატული ჩარხები, სინთეზური ამიაკი, აზოტმჟავა, ცემენტი, ტელევიზორები, ავეჯი, მზა ბამბის ქსოვილი, წინდები, უალკოჰოლო სასმელები, შამპანური, ეთერზეთები და სხვა.

სარეწველო წარმოების ზრდის მაღალი ტემპი დაფიქსირდა შიდა ქართლის (1,8-ჯერ), ქვემო ქართლის (1,2-ჯერ), გურიის (108,5 ), სამცხე-ჯავახეთის (1,9-ჯერ), რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის (1,6-ჯერ) მხარეებში. თბილისში წარმოების მატებამ 5 , ხოლო სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარეში 5,4 შეადგინა.

გრძელდება წარმოების დაცემა აჭარაში — (88,7 ) და იმერეთის მხარეში — (77,1 ). შემცირებულია მაჩვენებლები კახეთის (86,8 ) და მცხეთა-მთიანეთის (59,8 ) მხარეებშიც.

აგვისტოს პირველ დეკადაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ნავთობის მოპოვების მასშტაბი. კერძოდ, პირველ დეკადაში საშუალო დღიურმა მოპოვებამ 50 -ით გადააჭარბა წლის პირველი ნახევრის ანალოგიურ მაჩვენებელს. კვლავ მძიმე მდგომარეობაა ქვანახშირის მრეწველობაში. ძირითად მიზეზად ისევ პროდუქციის გასაღების პრობლემა რჩება.

კავშირგაბმულობის და ფოსტის სამინისტროს ოპერატიული მონაცემებით, 16 აგვისტოსთვის შემოსავლებმა 12,8 მლნ. ლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს 5,9 მლნ. ლარით აღემატება. დარგში (ძირითადი საქმიანობიდან) მოგება 3 მლნ. 600 ათას ლარს შეადგენს. სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილია 3 მლნ. 500 ათასი ლარი. სადღეისოდ სხვადასხვა ორგანიზაციებს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს დებიტორული დავალიანება 5 მლნ. 920 ათასი ლარი ერიცხებოდათ.

საგადასახადო სამსახურის ოპერატიული მონაცემებით, 16 აგვისტოსთვის საგადასახადო ორგანოებმა ბიუჯეტში შესატანად აკრიფეს 14 მლნ. ლარის საგადასახადო შემოსავლები, რაც თითქმის 20 -ით მეტია წინა თვის შესაბამის მაჩვენებელზე. წლის დასაწყისიდან ბიუჯეტში შევიდა 154 მლნ. ლარი, რა
მლნ. ლარით, ან
თქმის 3-ჯერ აღემა
გასული წლის
მისი პერიოდის

1-16 აგვისტო
ბაჟო ორგანოებმა
ნტრალური ბი
ანგარიშზე გადა
3,4 მლნ. ლარი
326 ათასი ლარით,
11,4 -ით აღემატება
თვის შესაბამისი
ოდის მაჩვენებელს

22 აგვისტო
მართა ბანკთაშორ
საკრედიტო რესურ
ბის მორიგი აუქციო
რომელშიც 6 ბ
მონაწილეობდა.
გებათა მოცულ
712 ათასი ლარი,
როცენტო განაკვე
კი 15 შეადგინა.
ვნულმა ბანკმა
ათასი ლარი გა
დღეს სახსრების
ვსება ერთი
ვადით მოხდა. 22
ვისტოს გამართულ
კრედიტო აუქციო
სადაც სახსრებ
თავსება ერთი
მოხდა, გარიგებათა
ცულობა 130
ლარით, ხოლო სა
ცენტო განაკვეთი
ით განისაზღვრა.

იპრ

# მარჯანიშვილელებს ბრწყინვალე წარმატება 37 000 დოლარი დაუჯდათ

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა ედინბურგის ფესტივალზე ბრწყინვალე წარმატება მოიპოვა. 23 აგვისტოს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ოთარ მეღვინეთუხუცესმა პრესკონფერენცია გამართა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ედინბურგის ფესტივალი მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვან ფესტივალად მიიჩნევა. 20 დღე-ღამის განმავლობაში წარმოდგენილი იყო 3500 სპექტაკლი. მარჯანიშვილელებმა დათო დოიაშვილის „მეფე ლირი“ უჩვენეს. მიუხედავად იმისა, რომ ფესტივალზე სპექტაკლი საკმაო შემცირებებით იყო ნაჩვენები, პირველი წარმოდგენისთანავე, იგი ოთხეულში მოხვდა (აღსანიშნავია უცხოური გაზეთების დადებითი გამოხმაურება). როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, თეატრის დაფინანსებაში სახელმწიფოს არავითარი წვლილი არ მიუძღვის. ფესტივალში მონაწილეობა თეატრს 37 000 დოლარი დაუჯდა.

იპრინდა

# „კინორეჟისორები მომავალი ბედი გაურკვეველია“

დამოუკიდებელი კინოს
„აისი“-ს ხელმძღვანელის ლევან
ბერიძის პრესკონფერენცია აღ
კინოსტუდიასა და სააქციო სა
ება „ქართულ ფილმს“ შორის
კონფრონტაციას მიეძღვნა. პრ
რენციაზე რეჟისორებმა ისაუ
რთული კინოს პრობლემებზ
აზრით, „ქართულ ფილმში“
მმართველობის ფორმა ძველი
მოძმულია. საჭიროა მისი გა
აღინიშნა, რომ დამოუკიდებელ
სტუდიები „ქართული ფილმი“-ს
დან შევიწროებას განიცდიან
რთულ პირობებში ფილმის
შეუძლებელია.

იპრ

# ხანძარი რკინიგზაზე

22 აგვისტოს, დაახლოებით 15.00 საათზე გურჯაანი-კარდენახის სარკინიგზო მონაკვეთის მე-10 კმ-ზე გაჩნდა ხანძარი, რომლის შედეგად 600 მეტრზე დაიწვა შპალები. 17.00 საათისთვის ხანძარი ჩააქრეს. 18.00 საათზე მოძრაობა აღსდგა.

BS-PRESS

# მეხანძრეები კი ვარჯიშობენ

22 აგვისტოს ღამით სასტუმრო „აჭარაში“ ქალაქის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მეცადინეობები გაიმართა. დამუშავდა მაღლივ შენობაში ხანძრის გაჩენის შემთხვევაში მოსახლეობის ევაკუაციისა და სამაშველო სამუშაოების შესრულების გეგმა. წვრთნას ხელმძღვანელობდა ქალაქის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის უფროსი ალექსანდრე ვარდიშვილი.

Кавказ-Пресс

# ლარის კურსი

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე, 23
მონაცემებით, ამერიკული დოლარის ლართან შეფარდება
კვირის განმავლობაში უმნიშვნელოდ იცვლებოდა და კვირ
1 დოლარის ღირებულებამ 1,268 ლარი შეადგინა. სულ, წინ
განმავლობაში სავაჭრო ვაჭრობებზე 1 მლნ. 341 ათასი ა
დოლარი და 60 ათასი გერმანული მარკა გაიყიდა. 24 აგ
საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უცხოური ვალუტ
ოფიციალური კურსი დაამტკიცა:

| | |
|---|---|
| ავსტრალიური დოლარი 0,9897 | შვეიცარული ფრანკი 1,0481 |
| ავსტრიული შილინგი 0,1210 | 10 იაპონური იენი 0,1174 |
| ინგლისური ფუნტი სტერლინგი 1,9651 | ეკიუ 1,6008 |
| 10 ბელგიური ფრანკი 0,4134 | 10 ესპანური პესეტა 0,1005 |
| გერმანული მარკა 0,8500 | 100 ბელგიური ფრანკი 0,5440 |
| ჰოლანდიური გულდენი 0,7588 | ირლანდიური ფუნტი 1,7991 |
| საბავშვო კრონა 0,2204 | 10 ისლანდიური კრონა 0,1916 |
| 1000 იტალიური ლირა 0,8348 | 100 პორტუგალიური ესკუდო |
| კანადური დოლარი 0,9226 | სინგაპურის დოლარი 0,8979 |
| ნორვეგიული კრონა 0,1971 | 10 000 თურქული ლირა 0,148 |
| აშშ დოლარი 1,2680 | 1000 რუსული რუბლი 0,2250 |
| ფინური მარკა 0,2842 | 100 000 უკრაინული კარბოვანეც |
| ფრანგული ფრანკი 0,2492 | 10 ყაზახური ტენგე 0,1759 |
| შვედური კრონა 0,1906 | 10 000 ბელარუსული რუბლი |

სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომლები
გრძნობას უცხადებენ ბატონ ნიკო ლეკიშვილს
ქეთევან ლეკიშვილის
გარდაცვალების გამო.

## ...ზნოში საომარი ...ედებები თითქმის შეწყდა

...ან, ნაშუად-
...ალაში შევიდა
... რესპუბლიკის
... ტერიტორიაზე
... მოქმედებებისა
...ლის შეწყვეტის
...ტა. ამ დოკუ-
... 22 აგვისტოს, სა-
... სოფელ ახალ
... უშიშროების
... მდივანმა ალექ-
... ლებედმა და ჩე-
... სეპარატისტების
... შტაბის ხელმ-
...ა ასლან მასხა-
... მოაწერეს ხელი.
...რკვებების დამ-
... შემდეგ, ალე-
... ლებედი მოს-
... დაბრუნდა. იგი
... უნდა შეხვედ-
... რუსეთის პრეზი-
... და ეცნობებინა
... მიღწეული შე-
...ების შესახებ.
... შეხვედრა არ
... როგორც
... გახდა, 23 აგ-
... პრეზიდენტთან
...ხაში ლებედის
... მოხვედრილა.
... შეთანხმებე-
...ობაზე ბორის
... ლებედისგან ნე-
... შეტყობინე-
...დება.
...რალ ლებედის
... ჩეჩნეთის ტერი-
...ან ჯარების გა-
... რესპუბლიკის სა-
... რაიონებიდან და-

იწყება. ფედერალური ქვედანაყოფები 26 რიცხვისთვის ვედენოს და ნაჟაიურტის, ხოლო 29 რიცხვისთვის შატოის რაიონებიდან სოფელ ატაგას და კორჩალოს რაიონებში უნდა გადაადგილდნენ. სეპარატისტებთან შეხვედრისას, ლებედი სწორედ ასეთი ეტაპობრივი გადაწყვეტილების მიღებას მოითხოვდა. მართალია, მოცემულ ვადებში ჩატევა მეტად პრობლემატურია, მაგრამ ჯარების გაყვანის მზადებას დაუყოვნებლივ შეუდგნენ. უკვე განსაზღვრულია ჯგუფები, რომლებიც კომენდატურის შემადგენლობაში შევლენ და სადღეღამისო პატრულირებას განახორციელებენ. ჯგუფში შედის 60 კაცი: 30 სამხედრო მოსამსახურე და 30 ადგილობრივი მკვიდრი.

22 აგვისტოს ღამით კი გროზნოში ცეცხლი არ შემწყდარა. სროლა განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობდა ლენინის და ოქტომბრის რაიონებში. შეთანხმების თანახმად, მსგავსი პროვოკაციები დაპირისპირებული მხარეების ერთობლივი მოქმედებებით უნდა აღიკვეთოს. მიღწეული შეთანხმებები სამხედრო ტყვეების და დალუპულთა ცხედრების დაუყოვნებლივ გაცვლასაც ითვალისწინებს.

გუშინ 10 საათზე გროზნოს სამხრეთ ნაწილში შედგა ჩეჩნეთის ფედერალური ხელმძღვანელობის წარმომადგენელთა და ჩეჩენ სეპარატისტთა ხელმძღვანელობის შეხვედრა. მხარეები ათანხმებენ ტექნიკურ საკითხებს და შეთანხმების შესრულების დეტალებს. ამ შეხვედრაში შინაგან საქმეთა სამინისტროს და შინაგანი ჯარების სამხედრო თავდაცვის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

გუშინ დილით გროზნოში საომარი მოქმედებები თითქმის შეწყდა, — იტყობინება ჩეჩნეთის ფედერალურ ძალთა დაჯგუფების შტაბის წარმომადგენელი. მისი თქმით, ხელმოწერილი დოკუმენტის თაობაზე ფედერალური ჯარების ყველა ქვედანაყოფს აცნობეს.

„კავკასიონის“ საინფორმაციო სამსახური

## „ჩეჩნები სრული მოსპობისგან უნდა ვიხსნათ!“ — აცხადებენ „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პარტიათა საორგანიზაციო კომიტეტის“ წევრები

„ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პარტიათა საორგანიზაციო კომიტეტის“ 22 აგვისტოს გამართულ პრესკონფერენციაზე, ძირითადად, ორი საკითხი ფიგურირებდა — აჭარის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ „თავისუფლების“ სახელით ვახტანგ რჩეულიშვილის მემარცხენე ბლოკის რეგისტრაცია და ჩეჩნეთის მხარდამჭერი საერთაშორისო ორგანიზაციის ჩამოყალიბება.

ეროვნული მოძრაობის პარტიების ერთიანი გადაწყვეტილებით, მათი ბლოკი ყველა დონის არჩევნებში გამოვა „თავისუფლების“ სახელით. ამის შესახებ მათ რამდენიმე ხნის წინათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით განუცხადებიათ საზოგადოებისთვის და ამდენად, მათ აღშფოთებას იწვევს მემარცხენე ცენტრისტული ძალების ამავე სახელწოდებით აჭარის უზენაეს საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა. მათი აზრით, ცინიზმის უმაღლესი გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ რუსეთის იმპერიის პოლიტიკური ზრახვების გამომხატველი ვახტანგ რჩეულიშვილი, თავისი შავბნელი ზრახვების განსახორციელებლად ესოდენ წმიდათაწმიდა სიტყვას — თავისუფლებას ეფარება. „თავისი მნიშვნელობით სერგო ორჯონიკიძის 1921 წლის 25 თებერვლის ცნობილ დეპეშას და საქართველოს დსთ-ში გაწევრიანების გამო ვახტანგ რჩეულიშვილის აღტაცებულ ნამძახილს — „არის, გავიდა!“ — არაფერი საერთო არა აქვთ არც თავისუფლებასთან, არც სინდისთან და პატიოსნებასთან!“ — აღნიშნა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრმა ნუგზარ ბიწკინაშვილმა. მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრმა დავით კუპრეიშვილმა კი თავის მხრივ დასძინა, რომ მოსკოვიდან დაბრუნებული ვახტანგ რჩეულიშვილი ამაყობს კიდეც რუსეთის გავლენის სფეროში კავკასიის დარჩენის მოსურნე რამაზან აბდულატიპოვთან მეგობრობით.

აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პარტიებისგან შემდგარი ბლოკი „ოპოზიცია“-ს სახელწოდებით გამოვა. აღნიშნული სიტყვები, მათივე განცხადებით, აღებულია აჭარელთა ჰიმნიდან და აზრობრივი თარგმანით „დედასამშობლოს“ ნიშნავს.

დავით კუპრეიშვილმა განაცხადა, რომ აპირებენ თავისუფლებისთვის მებრძოლი ჩეჩნეთის მხარდამჭერი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბებას. მასში თანამშრომლობისთვის მიიღებენ ყველა იმ ძალას, რომელიც მხარს უჭერს ჩეჩენი ხალხის დამოუკიდებლობისთვის წარმოებულ ბრძოლას. პირველ ქმედით დახმარებად საქართველოდან ჩეჩნეთში პირდაპირი სამანქანო გზის გაყვანა ესახებათ, რომელიც გადაიქცევა „მშვიდობის დერეფნად“ და მისი მიზანი ლტოლვილების გადმოყვანა და ჩეჩნებისთვის სურსათის მიწოდება იქნება. ნუგზარ ბიწკინაშვილის განცხადებით, აღნიშნული პროექტი მოუწონებიათ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის საელჩოებს, აგრეთვე, ევროკავშირისა და ეუთოს წარმომადგენლებს. „პროექტის მიზანია ვიხსნათ ჩეჩენი ერი სრული მოსპობისგან,“ — აღნიშნა დავით კუპრეიშვილმა. „თუკი ხელისუფლება დადებითად გადაწყვეტს ჩვენი იდეის განხორციელებას, მაშინ შესაძლებელი იქნება აღნიშნული გზის დაზამთრებამდე გაყვანაც. პროექტის გარკვეულ ნაწილს თვითონ ჩეჩნები დააფინანსებენ,“ — განაცხადა ორატორმა.

პრესკონფერენციის ბოლოს საორგანიზაციო კომიტეტმა გააკეთა განცხადება „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით. კერძოდ, ითქვა, რომ ისინი მხარს უჭერენ ისეთ ობიექტურ და მიუკერძოებელ ტელეკომპანიას, როგორიც „რუსთავი-2“-ია. მათ იმედი გამოთქვეს, რომ კანონის საფუძველზე „რუსთავი-2“ კვლავ განაახლებს მაუწყებლობას.

ბესიკ კურტანიძე

## ...ო ჩეჩნეთიდან ...ლვილებს ...რება

...თის დაზარალებულ მო-
...ას გაეროს უზენაესი კო-
... ლტოლვილთა საკითხების
...ნელობამ გაუგზავნა და-
... ჰუმანიტარული დახმარე-
...ლოეთ კავკასიისკენ გაე-
... პირველადი დახმარების
...ებით დატვირთული ორი
...ანი სატვირთო მანქანა.
...რდა, მოსალოდნელია სა-
... თვითმფრინავის ჩამოფ-
... ამსტერდამიდან, რომელიც
...ყაზის აეროპორტში პუ-
...რულ დახმარებას ჩამოი-
... ჩეჩნეთის 23 ათასი მცხოვ-
...ის, რომლებმაც ინგუშე-
... დაღესტნის ტერიტორიაზე
...თი თავშესაფარი ჰპოვეს.

## გროზნოში ერთობლივი კომენდატურები იქმნება

უახლოეს დროში უშიშროების საბჭოს მდივანი ალექსანდრე ლებედი კვლავ გაემგზავრება ჩეჩნეთში. ამჯერად დიალოგი პოლიტიკურ საკითხებს შეეხება. „ორი დღის შემდეგ მე კვლავ დავბრუნდები, რათა ხელი მოვაწერო ჩვენი ურთიერთობების თაობაზე ერთობლივ დოკუმენტს. ეს იქნება პოლიტიკური დოკუმენტი. გროზნოდან გაგვყავს მთელი ჯარი, მათ ადგილზე შემოგვყავს ახლად ფორმირებული, ერთობლივი კომენდატურები, რომლებმაც უნდა აღკვეთონ ძარცვა, ძალადობა, მკვლელობა.

კომუნალური მეურნეობით დაკავებულმა ყველა ადამიანმა ყოველგვარი გადახვევების გარეშე უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა. სიცოცხლის შეჩერება შეუძლებელია, ქალაქმა უნდა იცოცხლოს! მაღაზიებმა უნდა იმუშაონ, პური უნდა ცხვებოდეს, წყალი მოდიოდეს“ — განაცხადა უშიშროების საბჭოს მდივანმა ალექსანდრე ლებედმა.

„კავკასიონი“

## საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი ფოთში

გუშინ ფოთის საზღვაო ნავსადგური მოინახულა საპარლამენტო დელეგაციამ ბატონ ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით. სტუმრებმა დაათვალიერეს ნავსადგურის საწარმოო რაიონები, მშენებარე ობიექტები. შემდგომ ისინი შეხვდნენ ნავსადგურის მუშა-მოსამსახურეებს, წარმოების ხელმძღვანელებს. პორტის უფროსი, ვალერი გეგიძე შეეხო ნავსადგურის, როგორც ევროპა-კავკასია-აზიის დერეფნის მუშაობის ძირითად მიმართულებებს. მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში შემუშავებულია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების წინასწარი კონცეფცია, რომელიც განიხილეს და მოიწონეს ევროგაერთიანების სამუშაო კომისიაზე ბრიუსელში, სადაც კავკასიის მარშრუტი აღიარეს, როგორც ალტერნატიული ვარიანტი. ამდენად, ფოთის ნავსადგურს, რომელსაც ტვირთბრუნვის გაზრდის თვალსაზრისით განუსაზღვრელი შესაძლებლობები გააჩნია, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

გარდა ამისა, ფოთის ნავსადგურს სხვა უპირატესობაც აქვს. მაგალითად, ვოლგა-ბალტიისა და ვოლგა-დონის სისტემებისგან განსხვავებით, ის ნავიგაციისთვის ღიაა მთელი წლის განმავლობაში, წარმოადგენს უმოკლეს მანძილს შუა აზიისა და კავკასიის რესპუბლიკებიდან ზღვამდე, აქვს პერსპექტივა, გაზარდოს ტვირთის ნაკადი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსკენ და ამ რეგიონში მოიზიდოს სანაოსნო კომპანიები. არის შესაძლებლობა იმისა, რომ შეიქმნას სპეციალიზებული ტერმინალები ყულევში თევზის რეწვისა და გადამუშავებისთვის, სუფსაში — ნავთობისა და სხვა თხევადი ტვირთების გადამუშავებისთვის, რაც ხელს შეუწყობს ტვირთების ნომენკლატურისა და რაოდენობის გაზრდას.

ამჟამად, ნავსადგურის ტვირთბრუნვა შეადგენს 4,5 მლნ. ტონას წელიწადში. ნავსადგურში რვა გადამტვირთავი კომპლექსია, რომლებიც განთავსებულია „ჩრდილოეთ ნავსადგურის“ და „შიდა აუზის“ თორმეტ ნავმისადგომზე. ასევე ფუნქციონირებს სამგზავრო კომპლექსი და ნავსადგურის ფლოტისა და თევზჭერის ფლოტის ნავმისადგომები. გადამტვირთავ კომპლექსებზე წარმოებს ნაყარი ტვირთების (ნახშირი, კოქსი, მადანი), ნავთობჩამოსასხმელი ტვირთების (ბენზინი, დიზელის საწვავი) გადამუშავება. ასევე მიმდინარეობს ლითონისა და ლითონნაკეთობათა, კვების პროდუქტების, მცირე და საშუალო გაბარიტიანი კონტეინერების, ბამბის, ფერადი ლითონების, ხორბლის გენერალური ტვირთების გადამუშავება.

ნავსადგურს გააჩნია ღია და დახურული ტიპის სასაწყობო მეურნეობა, შესაბამისად — 61398 კვ.მ. და 10017 კვ.მ. ფართობით, შიდა სანავსადგურო რკინიგზების და ნაყარი ტვირთების ასაწონი სასახწორო გზა. დღეისთვის შიდა სანავსადგურო სარკინიგზო ქსელი უზრუნველყოფს ნავსადგურის ტვირთბრუნვას წელიწადში 4,5 მლნ. ტონის მოცულობით.

ბატონი ვალერი გეგიძე საუბარში შეეხო, აგრეთვე, ნავსადგურის სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანების საკითხს და აღნიშნა, რომ ძირითადი მიზეზი ვალის მთლიანად გადაუხდელობისა არის მევალეების, ე.წ. დებიტორების არაკეთილსინდისიერი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება საკითხისადმი.

შეხვედრის დასასრულს პარლამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა ზურაბ ჟვანიამ ხაზი გაუსვა ნავსადგურის უდიდეს მნიშვნელობას რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების საქმეში და მადლობა მოახსენა ნავსადგურის მუშა-მოსამსახურეებს საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ტვირთების სარეკორდო დროში გადამუშავებისთვის.

ფოთის ნავსადგურის პრესსამსახური

## თურქეთის მთავრობა შეშფოთებულია გროზნოში შექმნილი მდგომარეობით

...რქეთის ხელისუფლებამ
...ება გამოხატა გროზნოში
...ლური ძალების ფართო-
...ხან შეტევასთან დაკავში-

...ოში თურქეთის საელჩომ
...ლა თავისი ქვეყნის მთა-
... განცხადება, რომ გრო-
...300 ათასი მშვიდობიანი
... ვერ ტოვებს ქალაქს
... შეიარაღებული ძალე-
...მხედრო ოპერაციის შიშით.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა რუსეთის მთავრობას თხოვნით მიმართა, გაზარდოს ულტიმატუმის ვადა, ვინაიდან, 48 საათი ძალიან ცოტა დროა ქალაქის დასატოვებლად. კომიტეტმა შესთავაზა დაპირისპირებულ მხარეებს უსაფრთხოების კორიდორების შექმნა გროზნოში მყოფი მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციისთვის.

Кавказ-Пресс

## აზერბაიჯანის სახალხო ფრონტი თავდაცვის მინისტრს აკრიტიკებს

აზერბაიჯანის სახალხო ფრონტმა თავდაცვის მინისტრს განმარტება მოსთხოვა იმასთან დაკავშირებით, რომ მან მოსკოვში დსთ-ის თავდაცვის მინისტრების შეკრებაზე ხელი მოაწერა განცხადებას, რომელშიც ნატო-ს აღმოსავლეთისკენ გაფართოება ნეგატიურადაა შეფასებული.

## ...აჯილდოვდნენ ...უსი მფრინავები

...ნ მთავრობის სახლში რუსეთის პრემიერ-
...მა ვიქტორ ჩერნომირდინმა სახელმწიფო
...ები გადასცა 7 რუს მფრინავს, რომლებიც
...ის ოპოზიციური ფორმირების ტყვეობაში,
...ში იმყოფებოდნენ. ტყვეობიდან გათავისუ-
...ს, მათ მიერ გამოვლენილი სიმამაცის,
...სა და სიმტკიცის გამო, რუსეთის პრეზი-
... ბრძანებულების თანახმად, თვითმფრინავის
... ვლადიმერ შარპატოვს და მეორე პილოტს
... ფედერაციის გმირის წოდება მიენიჭათ.
... დანარჩენმა წევრებმა კი ვაჟკაცობის
... მიიღეს.

## კავკასიის ხალხთა კონფედერაციის ყრილობა

24 აგვისტოს ვლადიკავკაზში კავკასიის ხალხთა კონფედერაციის ყრილობა გაიმართება. მასში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვიდან რუსეთის დუმის თავმჯდომარის მოადგილის იურიევის ხელმძღვანელობით, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს დელეგაცია ჩავიდა. შესაძლებელია, რომ ყრილობაში მონაწილეობა მიიღოს ფედერაციის საბჭოს ფედერალურ საქმეთა და რეგიონალური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვიტალი ვიშნევსკიმ.

იფრინდა

## ფოთის პორტი ტერიტორიების დაბრუნებას მოითხოვს

ფოთის პორტის ხელმძღვანელობამ ოფიციალური თხოვნით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, რომ პორტს დაუბრუნდეს ის ტერიტორიები, რომლებიც რამდენიმე ათეული წლის წინ სსრკ თავდაცვის სამინისტროს გადაეცა.




# სიტყვა-ყველას

## მივხედოთ წყალსაცავებს

ნლეულს ზაფხულში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთის შემსწავლელი კომისიის წევრებმა სამჯერ მოაწყვეს შემოვლა საქართველოს მდინარეთა აუზებში და, კერძოდ, არაგვის ხეობის ჟინვალის წყალსაცავზე. როგორც ამ კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, ბოტანიკოსმა ალექსი არაბულმა გვითხრა, ამ წყალსაცავს უფრო გონივრული გამოყენება სჭირდება. ჯერ ერთი, მისი დაცვა ჩვენი დედაქალაქის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასაც ნიშნავს, ის კი ისეა დაბინძურებული, რომ მისი სასმელად გამოყენება ცოტა არ იყოს, საფრთხილოა. წყალსაცავში ჩადის არაგვის ხეობის სოფელთა კანალიზაციიდან, მესაქონლეობის ფერმებიდან და გომურებიდან გამოსული ჩანარეცხი. ასეთი დაბინძურებული ირგვლივ 64 წერტილია.

აქ ერთი ბედნიერება ისლა გახლავთ, რომ ცხვრის განაბანი წყლების შხამიანი ჩანარეცხი უკვე მოისპო.

წყალსაცავს სხვა მხრივაც ვერ ვიყენებთ. ანანურში წყალსაცავი ბრაკონიერების სათარეშოდ გადაქცეულა. ბრაკონიერების მაფიამ სიონის წყალსაცავზეც შეაღწია. უარესი მდგომარეობა შეიქნა იორის ხეობაში, სიონის, ლაკბესა და დალის წყალსაცავებში. ესენი წყალსაცავადაც კი აღარ გამოიყენება და ათეულ ტონობით თევზი უმოწყალოდ ნადგურდება, რადგან ასეულ მეტრობით ბადეებია ჩაკიდული და თევზს აღარ ეძლევა მოძრაობისა და გამრავლების საშუალება. თითქმის იგივე მდგომარეობაა ალაზანზეც. მარტო ერთი დათვალიერების დროს, ეკოლოგიურმა პოლიციამ დამნაშავეთა დიდი ჯგუფი აღმოაჩინა და მათ უზარმაზარი ბადეები მოუხსნა.

მტკვარზე კი ყოველდღიურად ამაზე უარესი დანაშაული ხდება. უბედურება ის არის, რომ ამ მეთევზე ბრაკონიერების მოქმედებას ზოგჯერ თვალს არიდებენ იმ უწყებების თანამშრომლები, ვისაც მათი ბოროტმოქმედების აღკვეთა ევალება და ისინიც, გათამამებულები, ელექტროხელსაწყოებით, დენით ნადირობენ და თევზს აჩანაგებენ.

იზა ჯაჭვაძე

* * *

მეტროს სადგურ „რუსთაველში", სადაც ხშირად მიხდება გვიან სალამოთი ჩასვლა, ვცდილობ, ჟეტონი მუდამ თან ვიქონიო. თუ ფულის დახურდავება მომიხდა, თითქმის ყოველთვის მეუბნებიან, ჟეტონის გარეშე გაიარეო. ირგვლივ ისეთი უწესრიგობაა, ამ პატარ ტყუილის გამო, იქნებ, არც ღირდეს თავის შეწუხება. არადა, ასეთ შემთხვევაში ყოველთვის დისკომფორტს განვიცდი. თანაც, ამბობენ, რომ მეტროს თანამშრომლებს სხვებთან შედარებით მშვენიერი ხელფასი აქვთ. ეს შემთხვევები კონფლიქტის მოსაწყობადაც არ მიღირს, მაგრამ მგზავრებზე გარკვეულ ძალადობად მაინც მიმაჩნია.

თამარ ვაშაკიძე

* * *

თბილისი-თელავის სარეისო ავტობუსები, ძირითადად, ტვირთის გადასატან საშუალებად იქცა. ავტობუსის სალონი (და, ცხადია, საბარგულებიც) ისე ივსება ყუთებით თუ ვედროებით, რომ მგზავრისთვის გადაადგილება შეუძლებელი ხდება. ეს ყველაფერი იმ უსიამოვნო ფაქტსაც იწვევს, რომ მგზავრობა სამი საათის მაგივრად ოთხ ან ხუთ საათს გრძელდება, რადგან ამდენი ტვირთის ჩაბარგება-გადმობარგება საკმაო დროს მოითხოვს. იქნებ შესაძლებელია, სატვირთო და სამგზავრო რეისები გამოიყოს ერთმანეთისგან, რადგან ეს პრობლემა აბსოლუტურად ყველა რეისის თანმხლებია — როგორც თბილისიდან თელავის მიმართულებით, ასევე — პირუკუ.

პ.ხატიაშვილი

## ისევ ნუცუბიძის ფერდობების შესახებ

ამას წინათ, გაზეთში ნავიკითზე ნუცუბიძის ქუჩისა და მის ფერდობებზე ამავალი გზების მოუწესრიგებელ მდგომარეობაზე. რამდენიმე დღის შემდეგ ადგილ-ადგილ გზების შეკეთებაც დაიწყო. ვიფიქრე, პრესას კიდევ შეძლებია ვილაცვილაცეებზე ზემოქმედება-მეთქი, მაგრამ მოვტყუვდი. გზების შეკეთება მხოლოდ დაიწყო და მიატოვეს. ამ მთიანი ადგილის მაცხოვრებლებს ბარის მცხოვრებლებისგან განსხვავებით სხვა საცხოვრებელი პირობები აქვთ, განსაკუთრებით ზამთარში. ზამთარი კი არ იცდის, მოდის. ამ დამრეც-მიხვეულ-მოხვეულ, აყრილ-დაყრილ, გაყინულ გზებზე მოძრაობა გაძნელდება და უბედურებას ვერ ავცდებით, თუ დროულად არ შევაკეთეთ გზები და არ მოვიმარაგეთ მარილიანი სილა. ნეტავ ვის ეხება ამის გაკეთება. მერიას? არადა, ავტომანქანების ტექნიკური დათვალიერების გადასახადი, თურმე, გზების შესაკეთებლად ყოფილა გათვალისწინებული (ამას მძღოლები ამბობენ).

ნუგზარ შელია

* * *

ქალაქში რომ ბევრი გაჭირვებულია და ბევრი მათხოვარი, ამას მტკიცება არ სჭირდება. ქუჩაში ერთი გასვლაც ნათლად გვიჩვენებს ზემოთქმულის სიმართლეს — მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი — კეკელიძის ქუჩის დასაწყისში, შუქნიშანთან, სადაც მთელი დღე-ღამის განმავლობაში შეუჩერებელი მოძრაობაა, მათხოვრების ატანა უკვე არა მხოლოდ მორალური თვალსაზრისითაა ძნელი, არამედ მანქანების უსაფრთხო მოძრაობასაც უშლის ხელს. ხანშიშესული ქალბატონები და პატარა ბიჭები ლამისაა ჩაუცვივდნენ მანქანას ბორბლებში. გაჭირვება გაჭირვებად, მაგრამ მათი სიცოცხლე ხომ სრულიად უნებლიეთ შეიძლება შეიწიროს უდანაშაულო მძღოლმა? იქნებ მიაქციონ ამას ყურადღება ქალაქის შესაბამისმა ორგანოებმა? თუნდაც პოლიციელებმა მიუთითონ მათ, რათა ისევ თვითონ არ შეექმნათ შემდგომ პრობლემა. გადასასვლელის გადაკვეთისას მე თვითონაც მეშინია ხოლმე მათი ყურება და მძღოლებს, ალბათ, არც გაემტყუნებათ, ხანდახან უშვერი სიტყვებით რომ ლანძღავენ „თავხედ" მათხოვრებს.

ნელი ბჟალავა

* * *

ნუცუბიძის ფერდობის II-IV-V მ/რაიონების მცხოვრებლები ქალაქის ცენტრს ერთადერთი ავტობუსით (№39) უკავშირდებიან. ისიც ისე ნელა მოძრაობს, რომ თავისუფლების მოედნამდე მისვლას 50 წუთი უნდება. ქალაქში უამრავი სამარშრუტო ტაქსი დადის და აწ, სადღა აღარ. რა გაჭირდა. ერთი სამარშრუტო ტაქსის დანიშვნა, რომელიც ამ მიკრორაიონებს თავისუფლების მოედანთან დააკავშირებს?

მაია ნოზაძე

* * *

თბილისში ყველაზე ბევრი ავტობუსი და „მარშრუტკა", ალბათ, ვაგზლის მოედანზე იყრის თავს. ტრანსპორტის გასაჩერებელი მოედნიდან გამოსასვლელი ქუჩა საშინლად არის გადათხრილი და მანქანები ძლივს ახერხებენ გამოსვლას. არადა, ამ ადგილის გაკეთებას მხოლოდ ორიოდე მანქანა ასფალტი და ორი საათის შრომა სჭირდება. სად მიდის ჩვენს მიერ სავზაო ფონდში გადახდილი აუარება თანხა, თუ ასეთი ცენტრალური ადგილების რემონტიც კი არ ხერხდება?

* * *

თამარ მეფის გამზირზე, დეზერტირების ბაზრისკენ შესასვლელი ქუჩის გადაკვეთასთან დილაობით მოძრაობა ძალიან გადატვირთულია ხოლმე. ავტომანქანები, ხშირად, რამდენიმე ათეული წუთითაც კი უცდიან თავიანთ რიგს, სანამ გასვლას მოახერხებენ. დილას, როცა სამსახურში მივიჩქარით, ეს ბევრ უხერხულობას წარმოშობს. კარგი იქნება, თუ ამ ადგილას მოძრაობა ისე დარეგულირდება, რომ ამდენი ხნით არ გაჩერდეს ხოლმე მოძრაობა.

ნატა ჰელიძე

# კონსტიტუცია შობს სახელმწიფოებრივ ცნობიერებას

ერის ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, გარდა კულტურული და ეთნო-სოციალური ტრადიციებისა, უდიდეს ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოებრიობის ისტორიული მემკვიდრეობა. ცივილიზაციის პარნასზე კაცობრიობა ხალხებს სამკვიდროს გამოუყოფს არა მხოლოდ მსოფლიო მნიშვნელობის შედევრებისა და სამეცნიერო აღმოჩენებისთვის, არამედ იმის გათვალისწინებითაც, თუ რამდენად სამართლიანი, ძლიერი და ჰუმანური საზოგადოების ანუ სახელმწიფოს შექმნა შეძლეს მათ. სწორედ ამიტომაა, რომ ცივილიზებული მსოფლიო ისევე ხშირად ეთაყვანება შუმერული, ბერძნული თუ რომაული კანონების გაცრეცილ ეტრატებს, როგორც ეგვიპტურ პირამიდებს და რაფაელის ან ფრანგი იმპრესიონისტების შედევრებს.




სამწუხაროდ, ჟამთასვლის ბედუკუღმართობის გამო, საქართველოს არცთუ ხანგრძლივი და, ამასთანავე, წყვეტილი სახელმწიფოებრივი ისტორია გააჩნია. თანაც, ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში იმპერიული იდეოლოგიური მანქანა ყოველმხრივ თრგუნავდა და ფეხქვეშ თელავდა იმასაც, რაც გაგვაჩნდა. ამდენად, დღევანდელ დღემდე ძალზე ბუნდოვანი, უპირატესად, მითოლოგიზირებული და რომანტიკული სახელმწიფოებრივი ცნობიერებით მოვედით.

1991 წელს ბელოვეჟში საბჭოთა კავშირისთვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის შემდეგ, ამ საუკუნეში უკვე მეორედ დაადგა საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი განვითარების გზას, რომელიც, ისევე, როგორც 1918-21 წლებში, ამჯერადაც უამრავი ხაფანგით, მოსალოდნელი თუ მოულოდნელი ნაღმებით, ძმათა სისხლითა და ცრემლით მოკირწყლული აღმოჩნდა. და მაინც, მიუხედავად შეცდომებისა და პირშეუკვრელი იარებისა, მიუხედავად ომის, საფლავთა გამრავლების, შიმშილის, სიცივის, შულლისა და აპათიისა, საქართველომ გამოიარა ეს უმძიმესი სავალი და აგურ-აგურ, ნაბიჯ-ნაბიჯ აშენებს სახელმწიფოებრივ შენობას. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში იყო საყოველთაო აღტკინებაც და იყო დაცემაც, ვიგემეთ მოყვარეთა მუხთლობაც და შორეულთა გულისხმიერებაც, საქართველოს მოსახლეობამ გამოსცადა შეიარაღებული ძალადობის დიქტატურაც და თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების ციებ-ცხელებაც, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენად მაინც 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მიღება უნდა მივიჩნიოთ.

კონსტიტუცია ის ნაწრთობი ღერძია, რომელზეც ეწყობა სახელმწიფოებრივი მანქანის ლილვები — საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. კონსტიტუცია სამართლიანი, კანონმორჩილი საზოგადოების ჩამოყალიბების საფუძველია და, რაც მთავარია, დემოკრატიული, დახვეწილი კონსტიტუცია და მისადმი დამოკიდებულების ხარისხი განსაზღვრავს მოქალაქეთა სახელმწიფოებრივ ცნობიერებას, სახელმწიფოებრივ პატრიოტიზმს.

დღეს საქართველო უმძიმესი და უაღრესად რთული პრობლემების წინაშე დგას. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია, კვლავაც დაბალია სოციალური კეთილდღეობისა და მოქალაქეთა უზრუნველყოფის დონე, სავარძლებში ჯერ კიდევ მოკალათებული კორუმპირებული მონსტრები კვლავაც სისხლს წოვენ ოდნავ მოფერიანებულ ქვეყანას, ჯერ კიდევ მყიფეა ძლივსმიღწეული სამო...
ლაქო მშვიდობა, კვ...
მოქმედებენ კანონებ...
ლებიც ეწინააღმდ...
კონსტიტუციას და ...
მაც, ჯერ კიდევ ირღვ...
ქალაქეთა უფლებები ...
ინც, საქართველოს სახე...
წიფო ხომალდმა, კონს...
ტუციის სახით აირჩია ...
ქურა, რომლისკენაც უ...
რავს კურსი.

და უკვე შევძ...
ქვეყნის მომავლის გა...
ვრეტა — ამის საფუ...
ლები კონსტიტუცია...
ჩადებული; უფრო ...
ტიურად და ზუსტ...
გვმართებს პოლიტ...
რი ბრძოლის წარმ...
ვა დაკარგული ტერ...
ტორიების დაბრუნე...
სთვის — ამის სამარ...
ლებრივ ბაზას კონს...
ტუცია ქმნის; უნდა ...
ვითხოვოთ და აუცი...
ბელიცაა, რომ მო...
თხოვოთ კანონის ...
ვა, თვით მისი შე...
კი, თუკი ის ძირით...
ნონს ეწინააღმდეგ...
— და ამ შემთხვევ...
ფარად კონსტიტუ...
უნდა ვიხმაროთ; ...
კონსტიტუციაა ის ბ...
ხვილი, რომელიც შე...
ბლობას მოგვცემს ...
ხოთ კორუფციისა და ...
მდებობის დიქტატურ...
გზა გავიკაფოთ ჭეშმ...
თავისუფალი, დემო...
ული საზოგადოებ...
რომელშიც ყველას ...
დავად ცენზისა და ...
ექნება შესაძლებლო...
გამოვლენის მაქსიმ...
პირობები.

და თუკი ჩვენი ...
დოება, დიდი და ...
ერი და ბერი, ჩი...
უჩინო გაითავისებ...
კონსტიტუცია არის ...
ლი, რომლითაც ...
გამოგვირისტება ...
ლებელი, ყველანი ...
აღმოვაჩენთ:

პატრიოტიზმი ...
უფრო ფართო ცნ...
რე მჭიდის გულში ...
სასმისით ხელში წ...
ცრემლთაფრქვევა...
ნსტიტუცია სახელმ...
ნიშნავს, სახელმწიფო...
ლაა, პიროვნების ...
ისტორიული ხსოვნ...
ლისა და გონის სი...

მხოლოდ ასე ...
საფუძველი სახელმწ...
ბრიობის ტრადიცი...
ლოდ ასე გაჩნდება ...
წიფოებრივი პატრ...

ხორხე ლუის ბორხესი

1899-1986



ორი

მოთხრობა

IV V

„კავკასიონის“ ლიტერატურული გაზეთი

# არილი

24 ნოემბერი, 1996 წ.

პოეზია

## თეონა ბექიშვილი

ღამღამობით დაწერილი ჩემი ლექსები
უგვირგვინოდ,
ჭვრისწერის და ფატის გარეშე
რჩებიან მარტო პირველ ღამესთან,
მერე კი, დილით, როცა ვიღვიძებ,
ვკითხულობ და სხვებსაც ვუკითხავ,
მრცხვენია ხოლმე,
რადგან თითოეული ჩემს მაგივრად განწირულია
ყველაზე მძიმე,
უკანონო ნაყოფისათვის.



III

მაჟისცემა

## ანდრე კონტ-სპონვილი

44 წლის ანდრე კონტ-სპონვილმა ფილოსოფიური ნაშრომით „დიდი უმნიკვლობის პატარა თხზულება“ წიგნის ბაზარში დიდი მღელვარება გამოიწვია. მან დაამტკიცა, რომ ფილოსოფიურ ნაშრომს ისევე შეუძლია მოხიბლოს მკითხველი, როგორც აგათა კრისტის დეტექტივს. ფილოსოფოსი ზნეობის გაკვეთილებს არ იძლევა, მაგრამ სპინოზას მსგავსად, მასაც მიაჩნია, რომ უკეთესია ვასწავლოთ უმნიკვლობა, ვიდრე დავსაჯოთ მანკიერება.

მცირე შემოკლებით გთავაზობთ გაზეთ „ფიგარო“-ს მიმომხილველის ინტერვიუს წლის ბესტსელერის ავტორთან, რომელიც პოლიტიკასა და ზნეობაზე, ახალგაზრდებზე, ქრისტიანული დასავლეთის სულიერ ღირებულებებზე გვესაუბრება.

VII

პროზა

## თამარ იაშვილი

# ქალაქში ნიღბები დადიან



II

რაპორტი

## თამარ ჯიოთი

კულტურის კრიზისის
დროში ხომ არ ვცხოვრობთ?

VI

საკვირაო საკითხავი

მცირე დეტექტივი

## ნონ გ.ებერჰარტი



# სიკვდილის თარილი

ო მაგრამ, თქვენ ხომ ცოცხალი ხართ! – წამოვიყვირე.

ჩემი უტაქტო წამოძახილი ხოლო იყო – მისტერ ბრაუნი ჩემს წინ იჯდა ... არ გამოიყურებოდა.

– შეხედეთ თარიღს, – მითხრა და თავისი ... წერილი სია მაჩვენა. ყოველ გვარს წვეროვი, დემოგრაფიული ცნობები მოსდევდა: ... საქმიანობა, ოჯახური მდგომარეობა ... გარდაცვლილი იყო, გარდაცვალების თარიღი ... მისტერ ბრაუნის გვარის გასწვრივ კი, ... წაეწერათ უდროო შენიშვნა: „გარდაიცვალა 1964 წლის 9 ოქტომბერს“.

გარდა ამისა, მისტერ ბრაუნმა საქმიანი ჩანაწერების ბლოკნოტიც მაჩვენა, რომელიც „9 ოქტომბრის“ თარიღის გვერდზე იყო გადაშლილი. საკმაოდ გარკვეული ხელით ფურცელზე ერთი პატარა წინადადება ეწერა: „სიკვდილის თარილი“.

სალამოვდებოდა, ისეთი სიჩუმე იდგა, რომ კარგად მესმოდა ტალღების ხმა, სილიან ნაპირს რომ ლოკავდა. ფილიფ ბრაუნის სახლი მაღლობზე იდგა, ოკეანესთან ახლოს, სადაც ზუსტად ამ წუთამდე უშფოთველად ვატარებდი შვებულებას.

სახსნელად, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, თქვენი ხელმოწერის ნიმუში ჩააბარეთ, მერე თქვენი გასაღები კლიტის ერთ ნახვრეტს გაუკეთეთ, ხოლო სეიფების განყოფილების თანამშრომელმა, მასთან შენახული გასაღები კლიტის მეორე ნახვრეტს მოარგო, კარი გაიღო, გამოსწიეთ ყუთი...

– და კონვერტში, რომელშიც ჩემი ანდერძი იდო, ქაღალდის ფურცელი აღმოაჩინე! მასზე ეწერა: „ფილიფ ბრაუნის სიკვდილის შემდგომ, ბოლო, 9 ოქტომბერს, ნოტარიალურად დამოწმებული ანდერძი...“

– ქაღალდი უნდა შეგენახათ.

– ვნანობ, რომ არ შევინახე. ისე გავღიზიანდი და გავბრაზდი, რომ დავჭმუჭნე და ნაგვის კალათში მოვისროლე.

– შემნახველი განყოფილების ხელმძღვანელობისთვის უნდა შეგეტყობინებინათ.

– გადავწყვიტე სერიოზული
მიმენე
ლობა არ მიმეცა. სამხრეთში წამოსასვლელად ვემზადებოდი. ეს სახლიც უკვე დაქირავებული მქონდა. თანაც ირგვლივ ისეთი სიმშვიდე იყო, არავითარი მუქარა და სხვა. სისულელე იყო სერიოზულად მიმეღო...

– ჩემო ძვირფასო სერ, – შევაწყვეტინე მკაცრად, – ყველაფერი ძალზე სერიოზული ჩანს. ვიღაცამ თქვენი სეიფის გასაღები ჩაიგდო ხელში, თქვენი ხელმოწერაც ისწავლა...

გაგეცნობით, – მე ჯეიმს ბიკვაირი ვარ და ცხოვრების დიდი ნაწილი იმ ბანკში ვიმუშავე, სადაც მისტერ ბრაუნის სეიფია და სხვათა შორის, ამ ბანკის პირველი ვიცეპრეზიდენტიც გახლავართ. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული სეიფების დაცვის სისტემის საიმედოობაში.

– ვინმესთან ილაპარაკეთ ამ ამბავზე? – ვკითხე.

– კლუბში მეგობრებთან ვთქვი. მათ ხუმრობად მიიჩნიეს.

– დღეს რატომ მოხვედით ჩემთან?

ცხრა ოქტომბერი, – თქვა მისტერ ბრაუნმა, – დღეს რვა რიცხვია.

ამ ფაქტზე თავადაც ვიფიქრე, ოღონდ ამ უჩვეულო ამბავში ყველაზე მეტად მაინტერესებდა მესამე, ასე ვთქვათ, ნივთიერი მტკიცება და ზუსტად ეს არ იყო ჩემს განკარგულებაში.

– მაშასადამე, თქვენ ეს ორი ჩანაწერი აღმოაჩინეთ და იფიქრეთ, რომ ხუმრობაა...

– და ძალზე უსიამოვნოც.

– დასტურის ნიშნად თავი დავუქნიე და დავუმატე:

– თან თქვენი ანდერძი გაგახსენდათ, ბანკში მისვლა გადაწყვიტეთ, რომ შეგემოწმებინათ როგორ ინახებოდა. სეიფის გა-





VIII

თამარ იაშვილი

# ქალაქში ნიღბები დადიან



ქუჩაში მრავალი ნიღაბი დადიოდა. ხალხი არ ჩანდა. ადამიანები სახლებში ისხდნენ და ქუჩაში ნიღბებს უშვებდნენ. აიმ ეს უკვე კარგა ხნის წინ შეამჩნია. პირველად გაუკვირდა, მერე გაბრაზდა. დრო რომ გავიდა, გულზე გადაცილდა. ერთობოდა კიდეც, დადიოდა ქუჩაში და ხალხს აკვირდებოდა: — ეს ნიღაბია, ის არა. ზოგი ისე შეთვისებოდა თავის ნიღაბს, რომ ხანდახან აის ძალიან უძნელდებოდა მათი გამოცალკევება. აის ეჭვმა გაჰკრა, ვაითუ თვითონაც სახლში იჯდა და ქუჩაში მისი ნიღაბი დადიოდა?! იმ დღიდან საკუთარ თავს აკვირდებოდა. აღმოაჩინა, ყოველ დილას სახლიდან გასვლისას თავაზიანად ულიმოდა მეზობელს. ამ ქალს ბავშვობიდან ვერ იტანდა. პატარა რომ იყო, ყოველთვის უბღვერდა, ემანჭებოდა. ახლა ასეთი რამ აღარ შეჰფეროდა, მაგრამ უცნაური ის იყო, რომ ყოველგვარი ძალდატანების გარეშე იმ ქალის დანახვაზე ბაგე ღიმილად გაეპობოდა. რა თქმა უნდა, ეს თვითონ ვერ იქნებოდა, აშკარად ნიღაბი იყო. ორნი იყვნენ, თვითონ და ნიღაბი. მაგრამ თავიდან გაუჭირდა გარჩევა, რომელი იყო თვითონ ან ნიღაბს როდის ხმარობდა. ნიღაბი ისე კარგად მორგებოდა, რომ არა მარტო ქუჩაში დადიოდა მის მაგივრად, სახლშიც ის იყო. ნაცნობ-მეგობრებსაც ის ულებდა კარს და ყავასაც მათთან ერთად შეექცეოდა. თუმცა რა იყო გასაკვირი, სტუმრადაც ხომ მხოლოდ ნიღბები დადიოდნენ. აის ხანდახან უხაროდა კიდეც ნიღაბი რომ იყო მის გვერდით, თორემ ამდენ ნიღაბს როგორ უმასპინძლებდა?! ნეტავ სად არიან ადამიანები დამალული? რისთვის სჭირდებათ ნიღბები? იქნებ ყველა თავის შესაფერის ნიღაბს ირჩევს, ისეთს, როგორიც არის ან როგორიც უნდა იყოს? აის უნდოდა მისული ადამიანებთან სახლში და ეთქვა, რომ აქამდე არაფერი ესმოდა, რომ ახლა ყველაფერს მიხვდა, რომ უკვე ყველა ნიღაბს ცნობდა, რომ მობეზრდა ყველაფერი, რომ ნიღბობანას თამაში აღარ ართობდა, რომ...

ერთხელ იმასთან მივიდა, ადრე რომ უყვარდა. ქარიან ღამეში. ის იყო, ნამდვილად თვითონ იყო. აის გაუხარდა. მიეკრა, სითბო იგრძნო, თავადაც მისცა თვისი წილი სითბო. თუმცა გაუბედავად. — ვაითუ ნიღაბია? — არ ასვენებდა ეჭვი. აის ის კიდევ უყვარდა. უნდოდა, ვინც უყვარდა კარგი ყოფილიყო. ღამე იყო და არც ისე ნათელი, მაგრამ აიმ მაინც ჩახედა თვალებში. ისევ საშინელმა ფიქრმა გაუელვა: — ნიღაბია! მერე დიდხანს იფიქრა, ადრე ვინ უყვარდა, ის თუ ნიღაბი? რომელს ელაპარაკებოდა? ან მას ვინ უყვარდა, აი თუ აის კარგად მორგებული ნიღაბი? მაინც ვერ მიხვდა. ვინც უყვარდა, ის თითქოს ნიღაბი იყო, ვისაც აი უყვარდა, ის ნიღაბი არ უნდა ყოფილიყო. რატომ გადაწყვიტა ასე, თავადაც არ იცოდა. იქნებ ასეც იყო?!

მერე ის მოვიდა აისთან. თვითონ იყო და არა ნიღაბი. დაბნეული ჩანდა, ურთიერთობა უჭირდა. მას ხომ არასოდეს ჰქონია ურთიერთობა აიწთან, ყოველთვის ნიღაბთან ჰქონდა საქმე. ამიტომაც უჭირდა. ნიღაბი, რა თქმა უნდა, აი ეგონა. თანაც ნიღაბი აიზე მეტად მხიარული იყო. ცოტა თავქარიანიც ჩანდა. გრძნობებსაც მოხერხებულად ფარავდა, თუმცა ნიღბებს განა გრძნობები აქვთ?!

იმ დღესაც აიმ ნიღაბი მიუშვა, კარგად დაარიგა ასე და ასე მოიქეციო. თუმცა რა დარიგება ჭირდებოდა?! იმან აიზე უკეთესად იცოდა, როგორ მოქცეულიყო. აი იქვე ოთახში დაიმალა. პირისპირ ისხდნენ ის, აის ადრე რომ უყვარდა და აის ნიღაბი. ნიღაბი მას თვალს არ აშორებდა, უნდოდა დაებნია. ბევრი სისულელე ეთქმევინებინა, თვითონ არ უნდა გატოკებულიყო. ასეც მოხდა. ნიღაბმა მისი თვითდაჯერებულობა ორ წუთში გააცამტვერა და გამომცდელად შეჰყურებდა: — კიდევ რა? ის ხმას ვეღარ იღებდა. აის შეეცოდა. იქნებ მართლა უყვარდა?! დრო იხელთა და სანამ ნიღაბი სამზარეულოში ყავას ადუღებდა, მის ადგილზე მოკალათდა.

ოთახში სითბო დატრიალდა. იმანაც იგრძნო. იმედი მიეცა. ძალა მოიკრიბა, სათქმელს თავი მოუყარა და როგორც იქნა თქვა. არა მთლიანად, არა ისე, აის რომ უნდოდა. გამგონი გაიგებდა. აიმაც გაიგო. არ იცოდა, რა ეპასუხა. იცოდა კი, რა უნდოდა?! ჩაფიქრდა. იგრძნო: უნდოდა, ამას ელოდა, ამას ეძებდა. არ უნდა გაეშვა, არ უნდა დაეკარგა. მერე ველარასოდეს იპოვნიდა. უყვარს, უყვარს, უყვარს... აის უნდოდა ეყვირა ისე ხმამაღლა, რომ ყველას გაეგო, იმასაც გაეგო. უნდა ერთნი გამხდარიყვნენ, ნიღბების გარეშე. იმ წუთში, არა, იმ წამში, არა, წამიც ბევრი იყო. ჩქარა, ჩქარა, ჩქარა... ვერ მოასწრო. ოთახში ნიღაბი შემოვიდა, ყავა შემოიტანა, უგემური, უშაქრო. შაქარი კარადაში იდო, ნიღაბმა ვერ იპოვა. ყავის მოდუღებაც არ იცოდა. ყოველთვის აი ადუღებდა ხოლმე. ამიტომაც აუდუღდა და გადმოუვიდა.

ნიღაბი სავარძელში ჩაეშვა. არ იცოდა რაზე ლაპარაკობდნენ მის არ ყოფნაში. ის, აის რომ თითქოს უყვარდა, პასუხს ელოდა. ნიღაბი არ ჩქარობდა. მისთვის არაფერი უთქვამთ, რომ პასუხი გაეცა. მაინც მოხთხოვეს. ნიღაბმა მოიყრუა. ჟიჟურ მოხთხოვეს. — არა, არა, არა... აი გაოგნდა, ნიღაბი ისე საოცრად ცრუობდა. შეეცადა შეეჩერებინა, ნიღაბმა იუკადრისა. აი შეეხვეწა, ნიღაბმა არ დათმო. აი გამწარდა, ნიღაბს სახეში წვდა. ნიღაბი დაიღრიცა. ახლა ის გაბრაზდა: — თავი გამანებე, თორემ ყველაფერს ვიტყვი. შენ გგონია, ჩემზე უკეთესი ხარ? მშვენივრად გიცნობ ვინცა ბრძანდები! აი შეცბა, მიინავლა, ჩაკვდა... აი აღარ იყო. ოთახში მხოლოდ ნიღაბი დარჩა.

მერე ყველაფერი სწრაფად მოგვარდა. ის წავიდა, წავიდა სამუდამოდ. აიმ იცოდა, მას ველარასოდეს ნახავდა. ნიღაბი დაღლილი ჩანდა. საქმეს თავი ბრწყინვალედ გაართვა, თვითონ რომ უნდოდა, სწორედ ისე. იქნებ აისაც ასე უნდოდა?!

გათენებულიყო. აი ქუჩაში გავიდა. ქალაქში ნიღბები დადიოდნენ. ზოგს საით მიეჩქარებოდა და ზოგს — საით, უმეტესობას — სამსახურში. ზოგიც უსაქმოდ დახეტიალობდა. უამრავი ნიღაბი ირეოდა: ლამაზები, უშნოები, კოხტები, გადაპრანჭულები... იცინოდნენ, იღიმებოდნენ, მოლუშულიყვნენ, სერიოზული გამომეტყველება ჰქონდათ. ვისაც როგორ სჭირდებოდა. აის შეეშინდა, ყველა მათგანს თვალებში სიცარიელე ჩაჰბუდებოდა, ნიღბური სიცარიელე. აი სულ მარტო იყო ნიღბებს შორის. ვერ ხვდებოდა, მართლა ქუჩაში იყო თუ ეს ყველაფერი მისი წარმოდგენის ნაყოფი გახლდათ. იქნებ თვითონ იყო ნიღაბი და სხვა დანარჩენი ადამიანები?! აის ჰიერონიმუს ენსორი გაახსენდა, ავტოპორტრეტი რომ დახატა ნიღბებს შორის. საუკუნის წინათაც ისეთები იყვნენ, როგორიც აი? იგივეს ფიქრობდნენ? მაშინაც აი ხომ არ იყო? ან იქნებ ის ენსორიც აის ნიღაბი იყო?! ნახატში წითელი ფერი ჭარბობდა. წითელი აისაც უყვარდა. იმას, აის თითქოს რომ უყვარდა, შავი ფერი მოსწონდა. არა, ნახატზე შავი ნიღაბი არ იყო. ენსორმა ასე არჩია. იქ ყველაფერი ყალბი ჩანდა, თვითონ ენსორი იყო ნამდვილი. იმან ყველა ნიღაბი აღმოაჩინა და ბოლოს ენსორში იპოვნა ენსორი და არა სხვა, არა ნიღაბი. მერე შეეშინდა ისევ არ დაეკარგა და ავტოპორტრეტი დახატა. აისაც ეშინოდა. მაგრამ ხატვა არ იცოდა, ამიტომ ვერც ავტოპორტრეტს დახატავდა. სხვა რამე უნდა ელონა. მაგრამ რა? გონებამ სწრაფად დაიწყო მუშაობა, მერე კიდევ უფრო სწრაფად, კიდევ, კიდევ, კიდევ... ამაზე სწრაფად აღარ შეეძლო.

კედლები თეთრი იყო, ისე თეთრი, როგორც არასდროს. აი კედლებს შორის აღმოჩნდა. ბოლოს მის გონებაში ამ ადგილმა გაიელვა, მაგრამ ვერ ხვდებოდა, აქ როგორ მოხვდა. აიმ გაიფიქრა, რომ შეიძლება სულაც არ იყო აქ, არამედ ფიქრში იყო. ასე ემართებოდა, როცა რამეზე ბევრს ფიქრობდა, მერე აღარ ახსოვდა, სინამდვილეში მოხდა თუ ფიქრში.

მიმოიხედა. მარტო არ იყო. ირგვლივ ადამიანები იდგნენ. თურმე სად ყ... — გაიფიქრა აიმ. მერე შეამჩნია, რომ ყ... ლა შიშველი იყო. ხელში ცეცხლის ალ... ეჭირათ. აიმ ტანზე დაიხედა. თვითონ... შიშველი იყო. აიმ სხეულზე ხელები აიფ... რა, შერცხვა. სხვებს არ რცხვენოდათ. რ... გორც ჩანს, პირველად არ იყვნენ აქ. ... გუებოდნენ კიდეც. აი ვერ შეეგუებოდ... აქაურობას უნდა გასცლოდა ან ტანსაც... ლი ეპოვნა. სად გაიხადა, არ იცოდა, ... ეძებნა — არც ეს იცოდა. ვიღაცამ დაუ... ხა: — აი, აი, აი... აი ვერ მიხვდა, ... უხმობდა, მისი სახელი ვის უნდა ცოდ... და? იქნებ ვიღაც აჩვენებდა, აი აქ არ... შენი ტანსაცმელიო. აი გაბრაზდა, ეს ... სახელი აქვს, ვერც კი გაუგია, რას ეუბ... ბიან. აიმ გადაწყვიტა, აქედან რომ გავიდ... და, სახელს შეიცვლიდა. ბოლოს და ბ... ლოს თავისი სახელის ასოებს გადაა... ლებდა და დაირქმევდა ის, როგორც ... ბევრ გოგონას ჰქვია. აის გაუხარდა ამ ... რომ მიაგნო. ყველა ადამიანს რაღაცას ... ქმევენ, მერე იმ სახელს ერგებიან, ... როგორც ნიღაბს. სახელს შეიცვლიდა, ... გრამ რა ექნა ნიღბისთვის? ისიც შეეც... ლა? ახალი სახელი, ახალი ნიღაბი... ხასიათი გაუფუჭდა, ნიღაბი აღარ უნდოდა, არც ახალი.

— აი, აი, აი... მიმოიხედა. დიდმა ... თლემ თვალი მოჭრა. ზემოთ ყველგან ... დი ცეცხლი ენთო. თურმე ვინ ეძახდა. ... ტანსაცმელს ნუ ეძებ, აქ ვინც მოვა, ... უნდა გაშიშვლდეს, ნუ გრცხვენია, ... ჩემთან, — ეუბნებოდა ცეცხლი. აის ... შინდა: — რომ დამწვა? — მიდი, ... გეშინია, პირველად გაგიჭირდება, ... უფრო, მერე კიდევ უფრო. ბოლოს ... გად იქნები! — გავუძლებ? — დაეკითხა. — ძალიან არ დაგწვავ. ზუსტად იმდენს დაგწვავ, რამდენსაც გაუძლებ, არც მეტს, არც ნაკლებად.

აი მიენდო. ხელები ზემოთ აწია და ცეცხლს მიუშვირა. ცეცხლის ალებმა ... ლამუნა ხელებზე, თმებზე, სახეზე. ... ური გრძნობა დაეუფლა. აი პირველად ... ნიცდიდა. მის სხეულში რაღაც ... და, აი თითქოს სხვანაირი გახდა, ის ... აღარ იყო. იყო სულ სხვა აი, ... რაღაც სხვა სახელი, ცეცხლის დარქმეული. აი ველარ გრძნობდა, ეცვა თუ ... შიშველი იყო. მაგრამ აღარ რცხვენოდა.

უცებ აიმ შავი წამოსასხამი დაინახა, ... მყოფთაგან ერთადერთს ეცვა. აი მასთან მივიდა, დამწვარი ხელები აჩვენა და ... უჭერა. აის ხელებს დამწვრისა ... ეტყობოდა, იმან, შავწამოსასხამიანმა ... ინც დაუჭერა. აის გაუხარდა.

ქუჩაში გამოვიდა. ქალაქში ნიღ... ბები დადიოდნენ. — წადით, ცეცხლთან წადით! — უყვიროდა აი. არავინ უსმენდა. ნიღბები თავისთვის მიდი-მოდიოდნენ, ყურადღებას არ აქცევდნენ.

— ცეცხლი სად არის? — ... ვიღაცამ. აიმ გზა ვერ მიასწავლა, იცოდა, რომ ცეცხლი იყო იქ, სადაც ცოტა ხნის წინ თვითონ იყო. მაგრამ სად არის ... აიმ ზევით აიხედა. ცაზე წითელი ცეცხლის ალები ლიცლიცებდნენ.

— ცეცხლი იქ არის, ზემოთ, ... ყველგან არის! — იყვირა აიმ. ... აიხედეს, აქეთ-იქითაც მიმოიხედეს, ... დაინახეს, მხრები აიჩეჩეს და ... ზოგმა ისიც თქვა, ეს გოგო გიჟია ... ჭეროთო.

აი გიჟი არ იყო. მან დანამდვილებით იცოდა, რომ ცეცხლი ყველგან იყო. ... იცოდა, სახლში რომ მივიდოდა, ნიღაბი აღარ დახვდებოდა, აის ის აღარ ... და. აის გაუჭირდებოდა, ცეცხლმა ... აფრთხილა. აი მაინც კარგად იყო, ... გად ალბათ არასოდეს ყოფილა.

# ონა ბექიშვილი



## დავალიანება

ძ ხდება:
ის ქალაქში, გამთენიის ხანს,
ამარა რომ შეუწვები გრილ, მსუბუქ ლოგინს
ა ხანში
ის ღია ფანჯრებიდან გამოსული
ჯაზის ხმები შემოგესმება,
ბიზლებს,
ები და გახსენდება:
ელი დღისთვის ხარკი არ მოგიხდია,
რც ის იცი, ხარკის მოხდა რაღას გიქვია —
ს რეცხვას, სახლის ლაგებას, წერას, კითხვას
ალოდ, საქმის კეთებას.
ელი დღისთვის ხარკი არ მოგიხდია!
გარხარ
ხლის ღია ფანჯრიდან გამოსული ჯაზის ხმაზე
ით როკავ.

არ გინდა, იმ ღრეობაში,
მოგწადდა შენი ქალური ღირსებები გამოაფინო,
ბაზრობაზე გამოტანილი საქონელი —
ჭრებ, მაღალ ფასს დაუდებ,
კი ისევ სახლში დააბრუნებ, თავ-თავიანთ
ადგილებზე დაალაგებ
ვიდებით დაიძინებ;
სტად გეცოდინება
რსება კი არა, ღირებულება.
ამ შენს ოთახში,
ომდგარხარ და ცეკვის დროს, მოულოდნელად,
სარკესაც რომ გადახედე,
ს მთქმელი: „ყოჩაღ, ცეკვა სად ისწავლეო“.
ვით იმას ხომ არ აწონებ თავს,
ც გამოიგონე



ყვარეობა რომ არ აგჯანყებოდა,
გადაუკეტე შენს თავს მისკენ სავალი გზები.
შვრები?
თავი შენმა სხეულმა,
საგამოფენო დარბაზებში გასეირნება,
რ-პატარა სატყუარებით ცდილობ მის ჩაძინებას,
ნებას,

ათასჯერ გადაპრილია,
უფსკრულს.

მდინარევ,
თას ისუფთავებ შიშველ ბარძაყებს,
მი-ოთხი ქვაც კი საკმარისია, პუჭუი ზედ რომ
შეატოვო, დაამახსოვრო;
ობით მკითხველიც კი ცოტა იქნება,
ს ლექსებს არა აქვთ ძალა
ლების.

იმას რომ კმარობ, რაც ხევიდან მოგედინება,
ამ მთების იქით, შენსავით რომ მდინარე მიდის,
იმის გადაჭრა, გადატკეპნა, ადგაფუნება
არ გენატრება?

იმან რაღა ქნას, სულ ქედის მიღმა რომ ჰქონდა თვალი?
იმან როგორ გააგრძელოს მშვიდად დინება,
თუკი თავისი წყვილის ერთი ტალღაც არ შეაქანებს,
თუ მისი თმები
იმ უცხო წყლით არ გაიფლინთება?

4.

საწყენია, ყველაზე მეტად ამ კაცის სიყვარული იცოდა,
დიდხანს ეწვალა, დაბეჯითებით ემეცადინა,
ციტატების მოყვანაც კი მრავლად შეეძლო...
არ გამოადგა!

ახლა იჯდა და წერას სწავლობდა.



## ზამთრის მებაღე

მე ვწევარ,
არაფერი არ მაიძულებს სადმე გავიქცე, კარი ჩავკეტო,
ქუჩას ვეწვიო,
აჩქარებით გადავკვეთო გზაჯვარედინები,
რათა ვინმეს თვალი არ დარჩეს შიშველ სხეულზე.
ეგ გაზაფხულის სამომავლო თინებია,
გაზაფხული გვაიძულებს გაუჩერებელ სუნთქვას და ნაბიჯს.
სანამ ზამთარია, სანამ სიცივეა, სანამ ათასპირად
შეფუთულია ჩემი სხეული,
მე შემიძლია მშვიდად ვიწვე.
— მობრძანდით და მათუპალიერეთ!
რევმატიზმი, დადინჯებული ბერიკაცივით რომ ჭრიალებს
სახსრების ქვემოთ.

სამარცხვინო სულაც არ არის:
ის ბებერია, მე — ახალგაზრდა
და ერთმანეთს ვარდ-ეკალივით ვესიტყვებით, ვესაუბრებით.
მხოლოდ ლექსები,
დღევანდელ დღემდე დაწერილი ჩემი ლექსები,
ცდილობენ, რომ დაძირღვიონ მყუდროება,
იშმუშნებიან თეთრ ქაღალდზე,
როგორც ორი კვირის წინ თეთრ ლარნაკში ჩაწყობილი
შავი ვარდები,
და მორიდებით მსაყვედურობენ თავიანთი ჩამომჭკნარი
სამოსელისთვის.
და ოთახის ყვავილებიც, ფანჯრის რაფაზე მალულად რომ
შეჰპარვიათ სიყვითლე და უსიცოცხლობა,
უნებურად თავს უკრავენ, ეთანხმებიან
და ცდილობენ მიმახვედრონ, რომ ყველაფერი
ისევ და ისევ ჩემსკენ არის დამიზნებული.
რა მაქვს სათქმელი?
მე ვარ მებაღე, რომელსაც მხოლოდ შემოდგომაზე
მოესურვილა ბაღის შენება,
იანვარი საიმედო მოკავშირეა, შეგიძლია
ყველაფერი გადააბრალო,
გადაყარო ყვავილები, დაწვა ლექსები,
და უსმინო რევმატიზმის ჰკვიანურ ჭრიალს,
ვიდრე გაზაფხული გადაგხდის საბანს,
ვიდრე გაზაფხული გაგაშიშვლებს,
ვიდრე თავზე დაგადგება თოფიანი უაჩაღივით,



ხელებს მაღლა აგაწევინებს
და ვიდრე შიშველს გარბენინებს სავსე ქუჩებში...

## გუბე

დიდი ხანია დავიკარგე ამ ოთახისთვის, ამ ხალხისთვის,
ამ ქალაქისთვის
და გავიპარე საკუთარი თვალების მიღმა,
სადაც, ქუთუთოებს თუ ჩამოვწევ,
ვხედავ ხოლმე მოცახცახე, მთრთოლვარე გუბეს,
რომელიც სახეა ჩემი.

ქალაქის გზებზეც, სოფლის გზებზეც, ნაწვიმარზე მე
ვიხატები
და გამვლელებს ვეხვეწები, შეამჩნიონ მოცახცახე ჩემი
სხეული
და ჩემი მხრები, წრიულად რომ ირხევიან დაუსრულებლად.
პანტომიმა ერთადერთი ენაა ჩემი,
რადგან სიტყვები საუკუნეებმა მოიტაცეს
და დამიტოვეს ერთადერთი მოძრაობა —
მხრების ცახცახი,
ისიც მხოლოდ ერთადერთი მიმართულებით —
შიგნიდან გარეთ,
შიგნიდან გარეთ,
შიგნიდან გარეთ,
და არავის არ ეფიქრება რა მიდევს გულში, რა მამოძრავებს,
და მე ვბრაზდები.

პოეტებმა დიდი ხნის წინ დაიჭრეს ფრთები
და სისხლიანი სხეულებით ქვევით დაეშვნენ,
და ჩაღაგდნენ ქვაფენილებში ნაირფერ ქვებად
და წყაროებზე გადასასვლელებად ჩამომწკრივდნენ,
და ცდილობენ, არავის არ დაუსხლტეს ფეხი.
ყველა ზედ უვლის,
და არავინ არ უფიქრდება, რომ იმათი წვრილი თვალები
კარგად ამჩნევენ რა იმალება კაბის შიგნით,
შარვლის შიგნით, ანაფორის ქვეშ.
და პოეტებმა დაივიწყეს ზეცაზე ფიქრიც
და იქცნენ ქვებად,
და სიტყვები, მომავალი მათი პირიდან,
ჩასაქოლად დაემუქრა ქვეყნიერებას.

იარე ფრთხილად,
უფლის რჩეულ ყვავილს კი არა,



უფლისაგან შერჩვენებულებს მოარიდე დაღლილი ფეხი,
რადგან ქუჩა — ხაფანგია,
რომელშიაც მელასავით გაებმება ანარეკლი შენი სხეულის.

მე ვარ გუბე, მრავლისმომსწრე, მრავლისმნახველი,
შიგ ქვაც მიგდია — კაცის ფეხის გადასაწვდენზე,
რომ მიგიტყუო, ჩაგახედო და წრეებად შემოწერილი
მივართვა პატრონს შენი სახელი.
მე ვარ გუბე, რომელსაც მახსოვს უსირცხვილო ხმა-ტყაპანი
რომ გამოსცა ჩემმა სხეულმა,
როცა ეს ქვა ჩამომიგდეს — შენი იყოსო.
მაშინ ცრემლებიც მიმოვაბნიე,
რადგან მინდოდა, უფრო მეტი, ვიდრე უბრალო ქუჩის
ქვა არის
ჩემი თავისთვის.
ახლა კი ვცეკვავ მის გარშემო და თითეული
გამვლელის სხეულს
ვიხატავ და ვიმახსოვრებ,
და ვცდილობ, ვცდილობ ათასგვარი სახისა და სახელისაგან,
ბგერისაგან, მარცვლებისაგან, ასოებისგან
გამოვიყვანო ჩემი სახე და წავაწერო...
თუ ეს შევძელი, წლების მერე გამვლელები დაიხრებიან
და თუ ეფარათ, მოიხდიან თავიდან ქუდებს,
და ნახავენ წარწერას: „გუბე,
რომელიც მზიან ამინდში გარდაიცვალა“.

24 აგვისტო, 1996წ.

# როსენდო ხუარესის თავგადასავალი



საღამოს თერთმეტი საათი იქნებოდა. ბოლივარისა და ვენესუელის ქუჩების გადაკვეთაზე ალმასენში შევედი, იქ სადაც ახლა ბარია. კუთხიდან ერთმა კაცმა მომიხმო. რაღაც მბრძანებლური მანერა ჰქონდა, იმითაც მენიშნა, რომ მაშინვე დავუჯექი. ერთ-ერთ მაგიდას უჯდა და რატომღაც გადავწყვიტე, ალბათ, დიდი ხანია ასე უზის დაცლილ ჭიქას-მეთქი. საშუალო ტანის კაცი იყო, უბირ ხელოსანს, ანდა ძველი დროების გლეხკაცს ჰგავდა. მეჩხერ ულვაშში ჭაღარა მოჰრეოდა. დედაქალაქის ყველა მაცხოვრებელივით უნდო ჩანდა და შარფი არ შეეხსნა. სასმელზე მიმიპატიჟა. ჩამოვჯექი და საუბარი გავაბით. ეს იყო ოცდაათიან წლებში.

კაცმა მითხრა:

— თქვენ მხოლოდ გსმენიათ ჩემი სახელი, მაგრამ მე კი გიცნობთ, სენიორ. მე როსენდო ხუარესი ვარ. ცხონებულ პასედერს მოუყოლია თქვენთვის ჩემი ამბავი. ბერიკაცს მწყრები უსხდა თავში; ქოხატყუილა იყო, თანაც ვინმეს მოსაღორებლად კი არა, ხალხის გასართობად უყვარდა ტყუილების თქმა. ახლა, როცა ჩვენ ორთავეს სხვა საქმე არა გვაქვს რა, მოგითხრობთ, რაც ნამდვილად მოხდა იმ ღამეს. იმ ღამეს-მეთქი, როცა მოკლეს ყასაბა. სენიორ, თქვენ ეს ამბავი აღწერეთ მოთხრობაში, იმის შეფასება მე არ შემიძლია, მაგრამ ის კი მინდა, რომ მხოლოდ სიმართლე იცოდეთ და მარტო სიცრუეს არ აჰყვეთ.

იგი დადუმდა, თითქოს მოგონებებს მიეცაო, და განაგრძო.

— არის ხოლმე ამბები, წლები რომ გაივლის, მაშინღა თუ გაუგებ იმათ. ის, რაც იმ ღამეს მოხდა, დიდი ხნის წინათ დაიწყო. მე ფლორესტას გადაღმა, მალდონადოს უბანში გავიზარდე. ერთი უბადრუკი, გადაკარგული ჭურღმულია, მადლობა ღმერთს, ახლა გაწმინდეს. ყოველთვის მიმაჩნდა: პროგრესის შეჩერება შეუძლებელია-მეთქი. შენ კი სად დაიბადები, არავინ აგარჩევინებს ამას. ვერც ვერასოდეს მოვახერხე მამაჩემის სახელის შეტყობა. დედაჩემი, კლემენტინა ხუარესი, ღირსეული ქალი, ლუკმაპურს უთოობით შოულობდა. ჩემთვის იგი ენტრერიოსელ თუ აღმოსავლელ ქალად რჩებოდა. ყოველ შემთხვევაში, დაბა კონსეპსიონ-ურუგვაიში დარჩენილ შინაურებს ხშირად იხსენიებდა ხოლმე. ბალახივით ვიზრდებოდი. კეტებით ჩხუბი ვისწავლე. მაშინ ფეხბურთი ჯერ კიდევ არ მოგვწონდა, ინგლისურ გამონაგონად მიგვაჩნდა.

ერთხელაც საღამო ხანს ალმასენში შარად ერთი ბიჭი ამეკიდა — გარმენდია. არ ავყევი, მაგრამ მთვრალი იყო და არ მომეშვა. გარეთ გამოვედით; უკვე ფილაქანზე ვიდექით და მოღიავებულ კარებში შესძახა:

— მანდ მოიცათ, ახლავე მოვბრუნდები!

დანა თანა მქონდა, აროიოს ვიწრო ქუჩას დავუყევით, ნელ-ნელა, ერთმანეთს თვალს არ ვაცილებდით. გარმენდია რამდენიმე წლით ჩემზე უფროსი იყო; ერთხელ გვეჩხუბა უკვე. და ვგრძნობდი, დანით დაკვლას მიპირებს-მეთქი. მხარმარჯვნივ მე მივუყვებოდი შუკას, იგი — მარცხნივ მოდიოდა. ნაგვის გროვას წამოჰკრა ფეხი. შებარბაცდა თუ არა, ბევრი აღარ მიფიქრია და დავაცხერი. სახე დავუსისხლიანე. შევებით ერთმანეთს; ასეთ წუთებში ყველაფერი შეიძლება მოხდეს; ბოლოსდაბოლოს დავარტყი დანა და ეს გადამწყვეტი აღმოჩნდა. და მაშინღა ვიგრძენი, რომ იმასაც დავუჭრივარ, გავუკაწრივარ თურმე. იმ ღამეს გავიგე, რომ კაცის მოკვლა ძნელი არა ყოფილა, და იმასაც მივხვდი, როგორ კეთდება ეს. ღელე შორს, ქვევით იყო, დრო რომ არ დამეკარგა, მოკლული აგურის საქვაბესთან მივმალე. ჩემი სისულელის გამო ის ბეჭედიც წამოვიღე, იმ ბიჭს ნიადაგ რომ ეკეთა. თითზე ჩამოვიცვი, შლაპა ჩამოვიფხატე და ალმასენში მივბრუნდი. აუჩქარებლად შევედი და ვთქვი:

— რაღაც ისეა საქმე, დაბრუნებით მაინცდამაინც მე დავბრუნდი.

ჭიქა არაყი შევუკვეთე, ჩემთვის აუცილებელი იყო. მაშინ ვიღაცამ სისხლის ლაქაზე დამახედა.

მთელი ღამე დასაკეც საწოლზე ვიწმაწნებოდი და დილამდე თვალი ვერ მოვხუჭე. როცა ეკლესიაში ზარები ჩამორეკეს, ორმა პოლიციელმა მომაკითხა. საწყალი დედაჩემი, ღმერთმა გაანათლოს საცოდავი, მოთქმით ატირდა. ბოროტმოქმედივით წამათრიეს. ორი დღე და ორი ღამე ერთკაციან საკანში ვიჯექი. არავინ გამოჩენილა ჩემს სანახავად, მარტო ლუის ირალა, ერთგული ძმაკაცი, მოსულიყო, მაგრამ ნება არ მიეცათ. დილითაც პოლიციის ინსპექტორს ებრძანებინა ჩემი მიყვანა. იგი გადათხლეშილი იჯდა სკამზე და არც შემოუხედავს, ისე მითხრა:

— მაშ შენ გაგისტუმრებია იმ ქვეყანას გარმენდია?

— თქვენ თუ ასე ამბობთ... — ვუპასუხე მე.

— მე უნდა მითხრა, „სენიორ"-თქო. შენთვის აზრი არა აქვს უარის თქმას და დამუნჯებას. აი მოწმეების ჩვენება და ბეჭედი, რომელიც შინ გიპოვეს. მოაწერე ახლავე ხელი აღიარებას.

სამელნეში კალამი ჩააწო და გამომიწოდა.

— დაფიქრება მაცალეთ, სენიორ ინსპექტორო, — მივხვდი, რომ ეს უნდა მეთხოვა.

— ოცდაოთხ საათს გაძლევ, რომ კარგად მოიფიქრო შენს საკანში. არ დაგაჩქარებ. თუ გონს არ მოეგები, ლას-ერასის ქუჩაზე მოხვდები.

ადვილი წარმოსადგენია, რომ ვერაფერი გავუგე, საით რას უმიზნებდა ეს ლაპარაკი.

— თუ დაგვთანხმდები, მარტო ორ დღეს იჯდები. შემდეგ გაგიშვებენ. დონ ნიკოლას პარედესმა დამაიმედა, მაგის საქმეს მე მოვაგვარებო.

ათ დღემდე გამიგრძელდა იქ ყოფნა. როგორც იქნა, ისინი შეთანხმდნენ.

ხელი მოვაწერე, რაც მათ უნდოდათ, და ერთ-ერთმა მცველმა კაბრერის უბანზე წამიყვანა.

საბმურთან ცხენები იდგნენ, კარებთან და შიგნით იმაზე მეტი ხალხი ირეოდა, საროსკიპოში რომაა, ეს თურმე კომიტეტი იყო. დონ ნიკოლასმა, რომელიც მატეს სვამდა, როგორც იქნა მიმიღო. აუჩქარებლად ამიხსნა, მორონში გაგაგზავნი, საცა არჩევნების სამზადისი მიმდინარეობსო. იგი გასასინჯად სენიორ ლაფერერს უგზავნიდა ჩემს თავს. წერილი დაწერა ერთმა შაოსანმა ჭაბუკმა, იგი თხზავდა ლექსებს, სადაც, როგორც გავიგე, ლაპარაკი იყო ღრმად მოხუცებულთა სახლებზე და სხვა სისაძაგლეზე, იმ თემებზე, რომლებიც განათლებული ხალხისთვის სულაც არ იყო საინტერესო. მადლობა მოვახსენე და გამოვედი. მცველი სადღაც გამქრალიყო.

ყველაფერი საუკეთესოდ აეწყო. განგებამ იცის, რასაც იქმს. გარმენდიას სიკვდილმა, რომელიც ადრე ასე მიმძიმდა, ახლა გზა გამიხსნა. რა თქმა უნდა, ხელისუფლებას მუჭში ვყავდი მომწყვდეული. პარტიისთვის რომ არ გამეწია სამსახური, ჩამსვამდნენ. მაგრამ ძალას არ ვიშურებდი და ამიტომაც მენდნენ კიდეც.

სენიორ ლაფერერმა გამაფრთხილა, ისე მოიქეცი, როგორც წესია, და ჩემი



პირადი მცველი იქნებიო. მე ვასრულებდი იმას, რასაც ჩემგან ელოდნენ. მორონშიცა და შემდეგ, უბანშიც, უფროსობის ნდობა მოვიპოვე. პოლიციამ და პარტიამ თავზეხელაღებული კაცის სახელი შემიქმნა; მნიშვნელოვან როლს ვასრულებდი დედაქალაქისა და პროვინციების საარჩევნო სუსულებში. არჩევნები ადრე დიდხანს არ გრძელდებოდა. არ მინდა, სენიორ, შეგაწყინოთ სისხლიანი ამბების აღწერით. ყოველთვის მძაგდნენ რადიკალები, რომლებიც კვლავაც თავის ლიდერს — ალემს ებღაუჭებიან. ყველა პატივს მცემდა. ქალი გავიჩინე, ლუხანერა, და მშვენიერი თაფლა ცხენიც, ფერები ულივლივებდა ერთთავად ტანზე. წლები მანძილზე მორეირად წარმომედგინა თავი, როგორც თავის დროზე ყოველი მეორე კაცი ცირკის გაუჩოობას იჩემებდა. კარტის თამაშით ვერთობოდი და აბზინდის ნაყენით.

ჩვენ, ბებრებმა ენა თუ ამოვიდგით, კაცი ვეღარ გაგვაჩერებს, მაგრამ მივუახლოვდი, რისი მოყოლაც მინდოდა ...
ვიცი, უკვე ვახსენე თუ არა ლუის ირა...
მეგობარი, ვისი მსგავსიც ცოტა თუ და...
უკვე ასაკოვანი იყო, მაგრამ არანაირ ...
მუშაოსი არ ეშინოდა და მე ვუყვარ...
თავის სიცოცხლეში არანაირ კომიტეტ...
არ დაუჭერია საქმე. ცხოვრების სახსა...
დურგლობით შოულობდა. არც არავ...
აბეზრებდა და არც სხვას აბეზრებინებ...
საკუთარ თავს. ერთხელაც დილით შემ...
მიარა და მითხრა:

— ჩემს სათქმელად გამოგიარე, რ...
კასილდამ მიმატოვა. რუფინო აგილერ...
წამართვა ის.

ამ ტიპს შევხვედროდი მორონში. ...
ვუპასუხე:

— კი ვიცი ეგ კაცი. აგილერების ...
რში ეგ ყველაზე უარესი არც არის.

— უარესია თუ არა, ჩემთან მოუწ...
საქმის დაჭერა.

ჩავფიქრდი და ვუთხარი:

— შენთვის არავის არაფერი არ წა...
რთმევია. თუ კასილდამ მიგატოვა, მაშ რ...
ფინო ჰყვარებია, შენზე კი გული აყრი...

— მერე ხალხი რას იტყვის? მშიშ...
რააო?

— მე გირჩევ: ნუ გაეხვევი ამბავ...

JOR

BO

აქაოდა, ხალხი რას იტყვისო, თანაც...
ქალის გამო, ვისაც უკვე აღარ უყვარხა...

— ქალთან საქმე არა მაქვს. ვიც...
ვისაც ქალზე ხუთ წუთზე მეტი უფიქ...
ვაჟკაცი კი არა, ჩვარია. კასილდას გუ...
არა აქვს. უკანასკნელ ღამეს, როცა ერ...
ვიყავით, ასე მითხრა, ბერდებიო.

— სიმართლე უთქვამს.

— სიმართლე ბასრი დანასავით ...
ახლა ვინმე თუ მჭირდება, ეს რუფინო...

— ფრთხილად იყავი. მინახავს ეგ ...
საქმეში. მერლოში, არჩევნების დროს ...
მაცია.

— მერე ხომ არ ფიქრობ ჩემზე, ...
ნიაო?

— ვიცი, რომ არ გეშინია, მ...
კარგად დაუფიქრდი. ორში ერთია: ან ...
მოკლავ და ციხეში მიგაბრძანებენ, ან...
მოგკლავს და სასაფლაოსკენ გასწევ...

— იყოს ასე! შენ როგორ მო...
ოდი ჩემს ადგილზე?

— არ ვიცი. მაგრამ მაგალითად ...
გამოვდგები. ციხეს რომ გადავრჩენ...
კომიტეტს მეპანღურედ დავუდექ...

— მე არანაირ კომიტეტში მ...
რედ არ დავდგები. ანგარიში უნდა გა...
წოროო.

— მაშ შენს სიმშვიდეს შეაგდებ...
წორზე ვიღაც შენთვის უცნობი კაცი...
იმ ქალის გამო, ვინც უკვე აღარ გიყვ...

იგი აღარ მისმენდა და წავიდა. მე...
დღეს გავიგეთ, რომ მორონში, მაღაზ...
რუფინოს აშარებიან და რუფინოს მო...
ლავს იგი.

ლუისი სიკვდილს მიეგება, და იგ...
კლეს, პატიოსნად, ერთი ერთზე. მე...
რულად კი ვურჩიე, მაგრამ მაინც და...
ვედ ვგრძნობდი თავს.

დაკრძალვიდან რამდენიმე დღ...
დეგ მამლების ჭიდილზე წავედი. მა...
მაინც არ მიყვარდა, მაგრამ იმ კვირა ...

სულ გული ამირია ამ ხანახამბამ. ფრინველებს რომ ჩავუარე, ჩასკდით-მეთქი, ვუსურვე.

იმ ღამეს, რომელზეც მოგითხრობთ, უფრო სწორედ იმ ღამეს, სადაც ჩემი მონათხრობი მთვრდება, მეგობრებს შევუთანხმდი, პარდას საცეკვაოში წავიდეთ-მეთქი. რამდენი წელია გასული და ახლაც მახსოვს ჩემი დობილის ფერადი კაბა. ღია ეზოში ვმხიარულობდით. არც ყაყანა ლოთები დაგვკლებია; მაგრამ მე ვიზრუნე, ყველაფერი ისე წასულიყო, როგორც ღმერთს დაუწესებია. თორმეტი არ შესრულებულიყო, როცა სხვები მოვიდნენ. ყველასთვის სასმელი მოითხოვა ერთმა ბიჭმა, ვისაც ყასაბა ერქვა და ვინც მუხანათურად მოკლეს იმავე ღამეს. იმას უნდოდა, რახან შემთხვევა მიეცა, ხალხისთვის დაენახვებინა, რომ ჩვენ ორთავენი ერთი ცომისგან ვიყავით მოზელილი. მაგრამ რაღაც ედო გულში: ახლოს დამიდგა და ქება დამიწყო ასე თქვა, ჩრდილოეთიდან ვარ და იქაც მოაღწია შენმა სახელმაო. ლაპარაკს არ ვუშლიდი მაგრამ რაღაც სასიკეთოს არ მიგრძნობდა გული. იგი განუწყვეტლივ ხვამდა ღვიის ნაყენს, ალბათ, გასამხნევებლად და ბოლოს კი საჩხუბრად გამიწვია. და აი აქ მოხდა ის, რისი გაგებაც არავის უნდა. ამ ონავარმა ამრევმა, თითქოს სარკე ყოფილიყოს, ჩემივე თავი დამანახა და სირცხვილმა შემიპყრო. შიში არა მქონია; რომ შემშინებოდა, ალბათ, საჩხუბრად გავიწევდი. ისე ვიდექი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ის კი უფრო მომებღოტა და რათა ყველას გაეგონა, იყვირა:

— აბა, ჰო ვნახეთ, ლაჩარი ყოფილხარ!

— იყოს ეგრე, — ვუთხარი მე. — ლაჩრის სახელი არ მაშინებს. თუ გაგიხარდება, ისიც დაუმატე, ვითომ დედაჩემისთვის შეურაცხყოფა არ დაგიკლია და ჩემთვის სირცხვილით თავი მოგიჭრია. აბა, ჰა, მოგეშვა გულზე?

ლუხანერამ ჟილეტიდან დან[illegible]ლო. ჩვეულებრივ იქ მედო ხოლმე, გაცეცხლებულმა ხელში ჩამიდო და მითხრა:

— როსენდო, ალბათ, დაგჭირდება ეს.

დანა ძირს დავაგდე და აუჩქარებლად გამოვედი. ყველანი გაოცებულნი მეცლებოდნენ გზიდან. სულაც არ მანაღვლებდა, რას ფიქრობდნენ ისინი ჩემზე.

ამ ცხოვრებას რომ გავრიდებოდი, აღმოსავლეთ რესპუბლიკაში გავიქეცი, სადაც მეფორნეობა დავიწყე. უკან რომ მოვბრუნდი, აქ დავსახლდი. სან-ტელმო მუდამ წყნარი უბანი იყო.

# მხედართა ამბავი

ეს ამბები უამრავია, შეიძლება უთვალავიც იყოს. პირველი სრულიად მარტივია. სხვები აღრმავებენ მას.

ერთმა ურუგვაელმა მამულის პატრონმა კაცმა ბუენოს-აირესის პროვინციაში, ქალაქის სიახლოვეს, წყნარი ყურე გაიჩინა (ვფიქრობ, სწორედ ასე იტყოდა იგი). ერთხელაც ხარის ფონიდან მეჯოგე წაიყოლია თან, ერთგული ბიჭი, მაგრამ ტყიური ჯინმე, ონსეს მოედანთან ბაკებში დააბინავა და სამიოდ დღის შემდეგ მიაკითხა. ის ბიჭი თავის სოროში, სულ ზედა საწოლზე, მატეს წრუპავდა. პატრონმა ჰკითხა, ბუენოს-აირესი როგორ მოგეწონაო, და პასუხად მოესმა, რომ იმ ბიჭს ამ დროის მანძი-

LUIS

GES

ლზე ქუჩაში ცხვირიც არ გაეყო.

შემდგომი ამბავიც დიდად განსხვავებული როდია. 1903 წელს აპარისიო სარავიამ ურუგვაის მიყრუებული სოფლები აჯანყა; ერთხანობას შეშინდა, თავზეხელაღებული მოჯანყეები საცაა მონტევიდეოში შეიჭრებიანო. იმ ადგილებში მყოფ მამაჩემს გადაეწყვიტა თავის ნათესავს, ისტორიკოს ლუის მელიან ლაფინურს ლაპარაკობოდა. იმას კი დაურწმუნებია, ოტისოლენა საფრთხე არავის ემუქრება, „რადგანაც გაუჩოებს ქალაქის ეშინიათო". და მართლაც: სარავიას რაზმები ახლოსაც არ გაეკარნენ ქალაქს; ხოლო გაოცებული მამაჩემი დარწმუნებულა, ისტორიის კვლევა მარტო სასიამოვნო კი არა, სასარგებლო საქმეც ყოფილაო.[1]

მესამე ამბავიც ჩვენი ოჯახის ზეპირ მონათხრობებს ეკუთვნის. 1870 წლის მიწურულს ლოპეს ხორდანის ჯარები, რომელთაც ლოთბაზარად სახელდებული გაუჩო სარდლობდა, ქალაქ პარანას შემოეწყვნენო. ერთ ღამეს მეამბოხეებმა გარნიზონის უდარდელობით ისარგებლეს, დაბრკოლებათა ხლუდეებში გაიჭრნენ და ცენტრალურ მოედანზე ყიჟინითა და ცეკვა-თამაშით შეაჯირითეს ცხენები. შემდეგ კი ერთიც დაჰკივლეს და ცხენხეთქით გაეცალნენ იქაურობას: ომი მათთვის სტრატეგიის ხორცშესხმა კი არ იყო, არამედ სიჩაუქის ასპარეზი.

მეოთხე — და უკანასკნელი — ამბავი მე ვპოვე აღმოსავლეთმცოდნე გრუსეს შესანიშნავი ნაშრომის „LEmpire des Steppes"[2] (1939) ფურცლებზე. მეორე თავის ორი მუხლი რაღაც წარმოდგენას შეგვიქმნის მასზე. აი, პირველი ადგილი:

„ძინის დინასტიასთან ჩინგიზ-ყაენის ომი, რომელიც 1211 წელს დაიწყო, ხანმოკლედ ჩაქრებოდა ხოლმე და მის სიკვდილამდე (1227) გრძელდებოდა, მხოლოდ მბრძანებლის მემკვიდრემ დაამთავრა (1234). მონღოლებს თავისი მფრინავი კავალერიით შეეძლოთ იავარექნათ დაუცველი ყანები და სოფლები, მაგრამ წლების მანძილზე ვერ დაეუფლნენ ჩინელი ინჟინრების მიერ აგებული ციხე-ქალაქების შტურმის ხელოვნებას. უფრო მეტიც, ისინი ისე იბრძოდნენ ჩინეთში, თითქოს ტრამალში ყოფილიყვნენ — ჟამიდან ჟამზე მოითარეშებდნენ, ალაფს აიღებდნენ და ზურგში ჩინელებს იტოვებდნენ. ისინი კი ქალაქებში ბრუნდებოდნენ, დანგრეულს აღადგენდნენ, დარღვეულ ზღუდეებს ამოაშენებდნენ და ამაგრებდნენ. და ამრიგად ამ ომში მონღოლ სარდლებს განა ერთხელ, მრავალგზის უხდებოდათ ერთი და იმავე ციხე-სიმაგრეების აღება".

აი, მეორე მუხლიც:

„მონღოლებმა აიღეს პეკინი, მცხოვრებნი ამოხოცეს, სახლები დაარბიეს და ქალაქი გადაწვეს. თარეში მთელ თვეს გრძელდებოდა. ცხადია, მომთაბარეებმა არ იცოდნენ, რა ექნათ გიგანტური ქალაქისათვის, და ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ იგი თავისი ბატონობის გასაძლიერებლად და განსავრცობად გამოეყენებიათ. ეს ამბავი უინტერესო არ უნდა იყოს განსახლების გეოგრაფიის სპეციალისტებისათვის: ტრამალის მკვიდრთ თავგზა აებნათ, როცა ანაზდად ხანგრძლივი ქალაქური ცივილიზაციის მქონე უძველესი სახელმწიფოების მპყრობელები გახდნენ. ისინი სადიზმის გამო კი არ ხოცავდნენ ხალხს და აგიზგიზებდნენ ხანძრებს, არამედ იმიტომ, რომ დაიბნენ და არ უწყოდნენ, სხვაგვარად როგორ მოქცეულიყვნენ".

მრავალი წყაროდან ცნობილ მაგალითსაც მოვიხმობ.

ჩინგიზ-ყაენის უკანასკნელი ლაშქრობის დროს მისმა ერთმა სარდალმა რჩევა ჰკადრა, ეს ახალი ქვეშევრდომნი არაფრად გვარგიან, რადგანაც. საომარი ჯაფის სრული უმეცარნი არიანო. ამიტომაც უმართლესი საქმე იქნება, თავები დავაჭრათ, მათი ქალაქები აღვგავოთ პირისაგან მიწისა



და უკიდეგანო ცენტრალური იმპერია ცხენების უვრცეს საძოვრად ვაქციოთო. ასე რაღაცას მაინც გამოვრჩებით იმ მიწაწყალს, რომელიც ახლა ტყუილად სცდებაო. ყაენი უკვე აპირებდა, ამ რჩევას დაჰყოლოდა, როცა სხვა ახლობელმა შენიშნა, ჩვენთვის აჯობებს, თუ მიწასა და ბაზრებს ბეგარას დავადებთო. ასე გადარჩა დიდი ცივილიზაცია, ხოლო მონღოლები შეაბერდნენ იმ ქალაქებს, რომელთაც ადგავას უპირებდნენ, და ბოლოსდაბოლოს გაიწაფნენ კიდეც, რომ სიმეტრიულ ეზო-ბაღებში თავადვე მიეგოთ პატივი ლექსთა თხზვისა და მეთუნეობის ფასდაუდებელი და მშვიდობიანი ხელოვნებით შექცევისათვის.

დროითა და სივრცით გამიჯნული, აქ ჩემს მიერ შეკრებილი ამბები ერთს მეტყველებენ. მათ მარადი გმირი ჰყავთ, და დამფრთხალი მოჯამაგირე, ვინც სამი დღე კარგამოკეტილ, დახშულ ბაკში გაძლო, რაღაც აზრით წუხელი მშვილდის, ცხენის ბეწვით შეგრეხილი ქამანდისა და მოკლე მრუდე ხმლის პატრონი იმავე მონღოლია, რომელიც მზად იყო მიწასთან გაესწორებინა და ტრამალის ცხენების ფლოქვებით მტვერში გაერია მსოფლიოს უძველესი იმპერია. კმაყოფილების მომგვრელია, როცა დროთა მასკარადში დაჩნდნენ მხედრისა და ქალაქის მარადი ხატებანი.[3] ჩვენთან დაკავშირებით ამ კმაყოფილებას ნაღველი ახლავს, რადგანაც ჩემს თანამემამულეებს (ეგებ ერნანდესის გაუჩოსა, ანდა ჩვენი წარსულის გავლენით) თავი მხედრებად წარმოუდგენიათ, ხოლო მათი დრო უკვე წასულია. კენტავრები — ლაპითების მიერ ძლეულნი; ხვასტაგის მწყემსი აბელი — მიწათმოქმედი კაენის ხელით მოკლული; ნაპოლეონის კავალერიის განადგურება ბრიტანეთის ქვეითი ჯარის მიერ ვატერლოოს ბრძოლაში — ამ ხვედრის ემბლემები და სახეებია.

ჰორიზონტისკენ მიმავალი და თვალთაგან გაუჩინარებული, უმეტესად — დახალუპავად განწირული მხედარი — სწორედ ასეთია გაუჩოს ხატება ჩვენს სიტყვიერებაში. მაგალითისათვის მოვიგონოთ „მარტინ ფიერო":

კრუსმა და ფიერომ სხვათა რემაში გამოარჩიეს ცხენები,
ქამანდი სტყორცნეს და ტრამალში გაიყოლიეს.
საზღვარს მიადგნენ და სადავე დაუჭირეს ბედაურებს.
უკუმოიხედეს, შორს კვამლი ადიოდა ცაში,
მშობელი ქვეყნის თბილი, ხუჭუჭა კვამლი.
ნეტა რა გველისო უცხო მხარეში?
ლოყებზე მარტინს თითო კურცხალი ჩამოედინა.
ცხენებს დაჰკივლეს და უდაბნოში შეაჭენეს.

ანდა ლუგონესის „პაიადორი":

„ყველამ თითქოს ასე გადაწყვიტა, მხედარი ამ ჩვენს ბორცვებს მიეფარაო, უნაგირში ნებ[illegible] [illegible]წეოდა [illegible]ა არსად მიიჩქაროდაო, რადგან არავის უნდოდა იმის დაჯერება, რომ იგი შეშინდა, როცა იმ უკანასკნელ საღამოს მტრედის ფრთასავით გაიფრთხიალა, თავზე კუშტად ჩამოემხო ქუდი, ხოლო მხრებზე მოსხმული პონჩო დაშვებული ბაირაღივით ნაოჭებად ჩამოშლოდა".

დაბოლოს, „დონ სეგუნდო სომბრა":

„ნათლიის დაპატარავებული სილუეტი ბორცვის კიდეზე გამოჩნდა. თვალები მოვჭუტე და ამგვარად ვცდილობდი გამერჩია კაცის მოძრაობა, რომელიც ოდნავ ეჩნეოდა თვლემაში გათანგულ პამპას. აგე, ზედ თხემზე დაჩნდა იგი და თანდათან იწყო ხედვიდან გაქრობა. ისე მოკლდებოდა, თითქოს დანით ისხიპებაო. აი, ერთხელაც წაითალა, კიდევ ერთხელ: თვალი ჯიუტად მიხცევებოდა ქუდის შავ წერტილს, სანამ არ გაუჩინარდა".

ციტირებულ ტექსტებში სივრცე უნდა აღვიქვათ, როგორც დრო, დრო ისტორიისა.

ცხენზე ამხედრებული მამაკაცის ხატება ფარული ცეცხლით სუნთქავს. მოვა და წავა ღვთის რისხვა ატილა, მოვლენ და წავლენ ჩინგიზ-ყაენი და თემურლენგი, მხედარი ანგრევს და ქმნის უსაზღვრო სამეფოებს, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ სიზმარია. მისი საქმეები მასავით მოლანდებაა. გუთნისდედა სიცოცხლეს ანიჭებს სიტყვა „კულტურას", ქალაქისიტყვა „ცივილიზაციას", ხოლო მხედარი წამიერი ქუხილივით გადიგრიალებს. კაპელე თავის წიგნში „Die Germanen der Volkerwanderung"[4] (შტუტგარტი, 1939) ამის თაობაზე წერს, რომ ბერძნები, რომაელები და გერმანელები მიწათმოქმედი ხალხები იყვნენო.

თარგმნა

ნოდარ ებრალიძე

(1). ბერტონი წერს, ბედუინები არაბეთის დაბა-ქალაქებში ცხვირის ნესტოებს ხელსახოცით ან ჩვრებით იცობდნენო; ამიანე — ჰუნები სახლებს ისევე უფრთხოდნენ, როგორც საფლავებსო. ასევე იქცეოდნენ საქსები, რომლებიც V საუკუნეში გარს შემოდგომოდნენ ინგლისს და დაპყრობილ რომაულ ქალაქებში დასახლება ვერ გაებედათ: ისინი ამ ქალაქებში ქვას ქვაზე აღარ ტოვებდნენ და შემდეგ ნანგრევების დასატირებლად ელეგიებს თხზავდნენ (ავტორის შენიშვნა).

(2) „ტრამალის იმპერია" (ფრ.).

(3). ყველას ახსოვს მხედრისა და ქალაქის გასაუბრების რამდენი სახუმარო ვერსია მოეძევებათ იდალგოს, ასკასუბის, ესტანისლაო დელ კამპოს ანდა ლუსიჩს (ავტორის შენიშვნა).

(4). „გერმანელები ხალხთა დიდი გადასახლების დროს" (გერმ.)

ესსე



# კულტურის კრიზისის დროში ხომ არ ვცხოვრობთ?

კულტურის კრიზისზე ლაპარაკი შეიძლება უდროოდ მოგვეჩვენოს დღეს, როცა ადამიანთა დიდი ნაწილი საარსებო მინიმუმს არის მოკლებული, თუკი მუშაობენ ისინი, მათხოვრულ ხელფასს იღებენ, ყოველ ნაბიჯზე კი მათხოვრების გამოწვდილ ხელებს აწყდებიან. მაგრამ კულტურა ფუფუნების საგანი ხომ არ არის, საზოგადოების კულტურა, უწინარეს ყოვლისა, ის არის, თუ რით ცხოვრობს ადამიანი, ხოლო დიდი ხანია ცნობილია, რომ არა პურითა ერთითა ცხოვრობს ის. და იქნებ იმ მძიმე მდგომარეობის მიზეზი, რომელშიც დღეს ადამიანი იმყოფება, კულტურის რაღაც უბედურებაც არის.

იქნებ ვინმემ იფიქროს: კულტურა რა შუაშია, თუკი მთავრობა არ გვივარგა, კორუფციაა გავრცელებული, ვერა და ვერ მოეღო ბოლო კონფლიქტებსა და ომებს? მაგრამ სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, განა ომებისა და კონფლიქტების მიზეზი არ შეიძლება იყოს კულტურათა დაპირისპირება? განა ომების გასამართლებლად თუ დასაგმობად იმაზეც არ მიანიშნებენ ხოლმე, თუ ვინ ვის ებრძვის — მაღალი კულტურის ქვეყანა დაბალი კულტურის ქვეყანას თუ პირიქით? ან განა ომის შედეგი იმაზეც არ არის დამოკიდებული, თუ რამდენად ერთიანია ხალხი? ამ ერთიანობას კი უწინარეს ყოვლისა კულტურა ქმნის.

კიდევ ერთმა გარემოებამ შეიძლება იმაში დაგვაეჭვოს, თუ რამდენად საფუძვლიანია სათაურში დასმული კითხვა. დღეს ყველა ჩვენს უბედურებას კომუნისტების შეცდომებითა და დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგებით ვხსნით და იმაში ვხედავთ გამოსავალს, რომ თანამედროვე დასავლეთის ცხოვრების წესს ვეზიაროთ, ხოლო როცა დასავლეთიდან ჩამოსულები გვარწმუნებენ, რომ პრობლემები მათაც აქვთ, ცოტა გადაჭარბებული გვეჩვენება მათი ნათქვამი. არადა, როგორ არა აქვთ მათ პრობლემები — მაფია, კორუფცია, ტერორი, კონფლიქტები... ჩვენ პავლიკ მოროზოვით ვამაყობდით, ამერიკაში კი ასმენენ იქნებ, მართლაც, დასასმენს — მათემატიკის პროფესორს, რომელიც ასაფეთქებელ მოწყობილობებს უგზავნიდა საჩუქრად ფოსტით უცნობ თუ ნაცნობ პირებს, მაგრამ ვინ ასმენს? დედა და ძმა, თანაც იმის შემდეგ, რაც შემტყობინებელს მილიონ დოლარს პპირდებიან. იქნებ ეს ამერიკისთვის დამახასიათებელი მაგალითი არ არის, ჩვენ კი ბლომად გვყავდა მოროზოვები?

ვცხოვრობთ თუ არა კულტურის კრიზისის დროში, ეს კითხვა ამ ორმოცი წლის წინ გერმანელმა ფილოსოფოსმა და ფსიქოლოგმა ედუარდ შპრანგერმა დასვა და არც ის იჩემებდა ამ მხრივ პირველობას. მისი თქმით, ორმოცი წელი არ წყდებოდა კრიზისის განცდა. მართლაც, საუკუნის დასაწყისში მეორე გერმანელი კულტურის ფილოსოფოსი გეორგ ზიმელი ლაპარაკობდა კულტურის ტრაგედიაზე, ხოლო ცნობილი ოსვალდ შპენგლერი — ევროპის მზის ჩასვენებაზე. არანაკლებ პესიმისტური იყო ალბერტ შვაიცერის აზრი, რომლის მიხედვით კულტურის თვითგანადგურება სრული სვლით მიმდინარეობდა. ფილოსოფოს კარლ იასპერსის შეხედულებითაც მთელი ევროპული კულტურა დიდი ხანია კატასტროფისკენ მოძრაობს. ფილოსოფოსებისთვის საიდუმლო ისიც არ არის, რომ ადამიანებს ხშირად აქვთ კრიზისის განცდა და რომ ყოველ დროს თავისი კრიზისი აქვს და ამიტომ კრიზისის განცდა მუდმივი შეიძლება იყოს.

აქ ისევ ეჭვი შეიძლება გაგვიჩნდეს: ადამიანებს თუ ყოველთვის აქვთ კრიზისის განცდა, ხომ არ არის ის ჩვეულებრივი მოვლენა და თუ ასეა, რატომ ვტეხთ განგაშს თანამედროვე კულტურის კრიზისზე? მით უფრო, რომ დღეს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მაღალი დონის მოწმეები ვართ. საქმე ისაა, რომ როდესაც თანამედროვე მოაზროვნეები კულტურის კრიზისზე მსჯელობენ, ისინი კულტურის გარკვეულ გაგებას ემყარებიან. ჩვეულებრივ, როცა კულტურის განვითარების დონეზე დაპარაკობენ, უწინარეს ყოვლისა მეცნიერებისა და კულტურის განვითარების დონე აქვთ მხედველობაში. ფილოსოფოსნი კი კულტურის განვითარების უფრო მნიშვნელოვან მაჩვენებლად იმას მიიჩნევენ, თუ რას ემსახურება კულტურა საერთოდ და, კერძოდ, მეცნიერება და ტექნიკა. ე.ი. კულტურას აქვს გარეგანი და შინაგანი, ობიექტური და სუბიექტური მხარეები. ის, რაც ემსახურება, არის საშუალება, ხოლო რასაც საშუალება ემსახურება, ის არის კულტურის შინაგანი მხარე, მისი თვითღირებულება — ცხოვრების მიზანი, საზრისი. თანამედროვე კულტურის კრიზისის მაჩვენებელს სწორედ ცხოვრების მიზნის, ადამიანის ცხოვრების როგორც მთელის საზრისის დაკარგვაში ხედავენ. ნამდვილი გონიერულობა, შვაიცერის მიხედვით, იმაში მდგომარეობს, რომ ინდივიდები და ადამიანთა ერთობები თავიანთ სურვილებს უქვემდებარებენ მთელის მატერიალურ და სულიერ სიკეთეს, ე.ი. იმაში, რომ ისინი ეთიკური არიან. ამიტომ ეთიკური პროგრესი უფრო არსებითია კულტურისთვის, ვიდრე მატერიალური. შვაიცერი თანამედროვე კულტურის კრიზისის გამოვლენას კერძოდ იმაში ხედავს, რომ თანამედროვე სკოლებში ჰუმანიზმი ყველაზე შორეულ კუთხეშია მიკუნჭული.

ახლა ის ვიკითხოთ, თუ რატომ დაჩიავდა კულტურის ჰუმანისტური არსი, რატომ დაზარალდა მისი ეთიკური მხარე. საქმე ისაა, რომ კულტურის ობიექტური და სუბიექტური მხარეები სხვადასხვაგვარად ვითარდებიან, მათ სხვადასხვა ხასიათის მამოძრავებელი ძალები აქვთ. კულტურის გარეგანი, მატერიალური მხარე პირდაპირ არის დამოკიდებული მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაზე. ადამიანის შემეცნების მიღწევების დანერგვას თითქმის არაფერი ელობება წინ, ეთიკური პროგრესი კი ადამიანებისგან დამატებით ძალისხმევას მოითხოვს და ეს ძალისხმევა აკლდებათ მათ ხშირად. ფიზიკურ კანონებს, მაგალითად, მიზიდულობის კანონს, ადამიანები ვერ დაარღვევენ, რომ დაარღვიონ, სახლი ჩამოენგრევათ, ეთიკის კანონებს, მორალის კანონებს კი ასეთი ხასიათი არა აქვთ. ისინი მოთხოვნებს წარმოადგენენ, ხოლო ამ მოთხოვნებს ვინც არ გაითვალისწინებს, ისევე ავტომატურად როდი დაისჯება, როგორც ის, ვინც მიზიდულობის კანონს არ გაითვალისწინებს. და საერთოდ იმის იმედზე ყოფნა, რომ ეთიკა ისევე მეცნიერულად დაამტკიცებს სიკეთის უპირატესობას ბოროტების წინაშე, როგორც ფიზიკის კანონები მტკიცდებიან, ადამიანებს იმისთვის სჭირდებათ, რომ სხვის იმედზე იყვნენ და სიკეთის გამარჯვებლად საგანგებო ძალისხმევის მოვალეობისგან თავი გაითავისუფლონ. თუმცა ადამიანები არც მხოლოდ მეცნიერების იმედზე არიან, მათ ღმერთის იმედიც აქვთ. ისინი ფიქრობენ, რომ საკმარისია ღვთის დადგენილად მივიჩნიოთ მორალური კანონები, რომ სიკეთის გამარჯვება გარანტირებული გახდეს. სიკეთემ იქნებ, მართლაც, გაიმარჯვოს ადამიანის სულში, თუ ადამიანი ირწმუნებს, მაგრამ როგორ დავარწმუნოთ ის? რწმენა ხომ ადამიანმა თვითონ უნდა აირჩიოს. როგორც იასპერსი ამბობს, მხოლოდ მორწმუნეებს შეუძლიათ კომუნიკაცია განახორციელონ, რწმენისთვის მებრძოლებს კი შეუძლებელია ველაპარაკოთ. ხოლო [illegible] ბოროტება აქვს ჩაფიქრებული, თავის გასამართლებლად შეუძლია თქვას: ღმერთი არ არსებობს, ამიტომ ყველაფერი დასაშვებია. თანამედროვე კულტურამ ამ მხრივაც „გადაჭრა" მე-19 საუკუნის დოსტოევსკისეული [illegible] ჯერ კიდევ [illegible] კითხვა: მართლა არსებობს თუ არა ღმერთი და [illegible] თუ არა [illegible] ადამიანის [illegible] მისი [illegible] ნაბოკოვის რომანის („მეფე, ქალი, ვალეტი") გმირებს ეს კითხვა აღარ აწუხებთ, მათი საზრუნავი ის არის მხოლოდ, თუ რა საშუალებით ჩამოიშორონ [illegible] — ქმარი და მეორისთვის — მზრუნველი [illegible] — [illegible] პისტოლეტით თუ [illegible] უამრავი ადამიანი. კომუნისტებმა კაცობრიობის გაბედნიერება მოინდომეს და გულაგებში ამოხადეს სული გაბედნიერებულთა თითქმის ნახევარს. ახლა მსოფლიოს ორ მტრულ ბანაკად დაპირისპირებას თითქოს მოეღო ბოლო, მეცნიერები კი შეშფოთდნენ, ისტორიას დასრულება ხომ არ ემუქრებაო, და იმის იმედზეღა არიან, იქნებ ცივილიზაციების შეტაკებების წყალობით მაინც გაგრძელდესო ისტორია. ეს კია, სიტყვის თავისუფლება მაინც მოვიპოვეთ: არც ისე დიდი ხნის წინ სრულიად საიდუმლოდ ხელიდან ხელში გადადიოდა „მეტროპოლები" და „კონტინენტები", ახლა კი შეგიძლია თავისუფლად იკითხო გინდა „ეროტიკონი" და გინდა „მეძავი" — „შანსს" ხელიდან ნუ გაუშვებ! ჰიტლერიც კი ხელმისაწვდომი გახდა, მისი სახელგანთქმული წიგნის გამომცემლები ჩვენი თანაგრძნობის გამოწვევასაც კი ცდილობენ — გვატყობინებენ, რომ პატიმრობაში დაუწერია თავისი შედევრი ამ დიდ „ჰუმანისტს". მაგრამ ეს მაინც მხოლოდ გარეგნული თავისუფლებაა. შინაგანად ადამიანი მაშინ არის თავისუფალი, როცა თავისი რწმენით არჩეული ღირებულებების მიხედვით მოქმედებს. ოღონდ შინაგანი რწმენა მეცნიერულად თუ ვერ დასაბუთდება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას არავითარი საფუძველი არ უნდა ჰქონდეს. ღირებულებების ასეთი საფუძველი და საზომია ადამიანი, ზოგადადამიანური.

როდესაც ვამბობთ, რომ ზოგადადამიანურია ღირებულებათა საფუძველი და საზომი, ამით რომელიმე ღირებულება როდი უფასურდება. იქნებ მთლად მოხერხებულად ვერ თქვა, მართლაც, ბოლშევიკების დროს მერაბ მამარდაშვილმა — ჭეშმარიტება ერზე მაღლა დგასო. ჭეშმარიტების ღირებულება ერის ღირებულებას კი არ გადასწონის, არამედ ერის ღირებულების საზომია სხვა ზოგადადამიანურ ღირებულებებთან ერთად. მაგრამ ამ აზრის შებრუნება და იმის თქმა, რომ ერია ყველაზე მაღალი ღირებულება, მხოლოდ მოუხერხებელი გამოთქმა კი არ არის, არამედ სრული გაუგებრობაა. ხალხსა, სამშობლოსა და სახელმწიფოში, როგორც ფიხტეს უთქვამს, უფრო მაღალი დანიშნულება უნდა გამოიხატოს, ხოლო ფილოსოფოსი ანრი ბერგსონი ოჯახის, სამშობლოსა და კაცობრიობისადმი სიყვარულის შესახებ ამბობდა, რომ პირველი ორი შერჩევას და, მაშასადამე, ვილაცის გამორიცხვას გულისხმობს, ისინი სიძულვილს არ გამორიცხავენ, უკანასკნელი კი მხოლოდ სიყვარულია. გასაგებია, ის, რომ რაც უფრო მცირერიცხოვანია ერი, მით უფრო მეტი საფრთხე შეიძლება ემუქრებოდეს მის დამოუკიდებლობას და ამიტომ მისთვის უფრო სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს პატრიოტული გრძნობა. მაგრამ ჭეშმარიტი პატრიოტიზმი ზოგადადამიანურ ღირებულებათა უარყოფას ვერ დაუშვებს, რადგან [illegible] პატრიოტიზმი [illegible] სახიფათო იქნება. [illegible] აღზრდილებისთვის ამის მიხვედრა ძნელი არ უნდა იყოს.

დავუბრუნდეთ ჩვენს კითხვას — ვცხოვრობთ თუ არა კულტურის კრიზისის დროში? ძნელია ამ კითხვაზე მარტივად პასუხის გაცემა, მაგრამ ის მაინც უნდა გავიცნობიეროთ, რომ კითხვის დასმას საფუძველი აქვს: დღევანდელ საზოგადოებასა და მის კულტურას სერიოზული საფრთხე ემუქრება. როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან ეს საფრთხე? როგორც სამართლიანად შენიშნავს ე.შპრანგერი, მხოლოდ მეოცნებეს შეუძლია ირწმუნოს, რომ არსებობს ერთი დიდი გადამრჩენი სიტყვა (მაგალითად, „მსოფლიოს განიარაღება" ან „რასა" ან „სოციალიზაცია"). შპრანგერის აზრით, საზოგადოების გადასარჩენად უნდა ჩამოყალიბდეს ადამიანის გარკვეული ტიპი, ადამიანისა, რომელიც თავის პატარა ადგილზე პასუხისმგებლობას იგრძნობს მთელი კულტურული მოძრაობისთვის. ადამიანი, რომელიც მთელისათვის პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს, არ არის „მასის" ადამიანი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ზედა ფენას ეკისრება. მასა, შპრანგერის მიხედვით, „ზემოთაც" შეიძლება იყოს.

აიღო შენს თავზე პასუხისმგებლობა, იმას ნიშნავს, რომ გესმოდეს: თავისთავად არაფერი არ გადაწყდება. დღეს ყოფილი დისიდენტების ერთი ნაწილი (ა.ზინოვიევის მსგავსად) კომუნიზმის პერსპექტივას მისტირის და იმის იმედზეა, რომ თუ „ჭეშმარიტი" სოციალიზმი და კომუნიზმი დამყარდება, კაცობრიობის ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. მეორე ნაწილს, მაგალითად ვ.ბუკოვსკის) კომუნიზმისადმი მცირეოდენი დათმობაც ვერავისთვის (მაგალითად, ა.სახაროვისთვის) ვერ უპატიებია და ამოცანად მხოლოდ ის ესახება, რომ ყველანი „ნორმალური" ბურჟუები გავხდეთ. სინამდვილეში კაპიტალიზმის ძალა იმაშია, რომ კერძო საკუთრებას თუ არ დაემყარა, ისე ადამიანი ეკონომიკას ვერ მართავს, მაგრამ მეორე მხრივ, თუ ადამიანს მხოლოდ თავისი ეგოისტური ინტერესები ამოძრავებს, ის ჯერ კიდევ არ არის ადამიანი, რადგან ადამიანი არ არსებობს ურთიერთობის, კომუნიკაციის გარეშე, კომუნიკაციის დამყარება კი სრულად მხოლოდ ისეთ მეორე ადამიანთან შეიძლება, რომელსაც შენს თანასწორად მიიჩნევ, ოღონდ თანასწორობა პიროვნებათა გათანაბრებას არ უნდა ნიშნავდეს. ადამიანის ეგოიზმს აღზრდა არ სჭირდება, ის რომ ეფექტიანად დაედოს საფუძვლად ეკონომიკას, ადამიანს ამისთვის მხოლოდ ცოდნა სჭირდება. რაც შეეხება სხვა ადამიანის დაფასების უნარს, ამ უნარის საფუძველი ადამიანში არსებობს, მაგრამ მას აღზრდაც სჭირდება და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც რაღაც უნდა აძლევდეს სტიმულს. სწორედ ეს ბადებს საზოგადოებრივი ცხოვრების ჰუმანიზაციისკენ მისწრაფებას და ჰუმანიზაციის იდეებს პედაგოგიკაში.

შევაჯამოთ ნათქვამი: კრიზისული მოვლენები ყველა კულტურას ახასიათებდა, მაგრამ ტრადიციული საზოგადოებაც და ახალი დროც მაინც უეჭველი ჭეშმარიტებების რწმენას ემყარებოდა. უახლესმა დრომ (მე-19 საუკუნის ბოლო და მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი) ამ ჭეშმარიტებებში ეჭვი შეიტანა, მაგრამ ამ დაეჭვებას კრიზისის განცდაც ახლდა. დღეს ეს განცდაც შეირყა: პოსტმოდერნისტულ კულტურაში ჭეშმარიტებაც არის უარყოფილი და პასუხისმგებლობის განცდაც. იქნებ გამოსავალს ი.ბროდსკის სიტყვები მიგვანიშნებს:

ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს,
რომ ჭეშმარიტება
არ არსებობს. ეს არ გვათავისუფლებს
პასუხისმგებლობისაგან, სწორედ
რომ პირიქით...

ოღონდ პოეტის ნათქვამს სიტყვასიტყვით ნუ გავიგებთ და ნუ გამოვიჭერთ მას ბავშურად: როგორ თუ ჭეშმარიტება არ არსებობს, ჭეშმარიტება რომ არ არსებობს, ეს ხომ არის ჭეშმარიტება?! პოეტი უარყოფს მზამზარეულ, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ ჭეშმარიტებას, რომელსაც გააზრებაც კი არ სჭირდება.

ოთარ ჯიოთი



## ანდრე კონტ-სპონვილი

# ღია ბარათი ზნეობის ახალ მოციქულებს

— თქვენი ბოლოდროინდელი ნაწარმოები ასი ათასობით ეგზემპლარად გაიყიდა. ამბობენ, რომ მასში ფილოსოფიის დაბრუნება შეინიშნება. ეს მოდაა თუ ფენომენი?

**— რა თქმა უნდა, ძალიან მიხარია, რომ ყველა ამაზე საუბრობს, მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით, შევნიშნავთ, რომ ეს ფენომენი ცოტა რამით შემოისაზღვრება. ეს გახლავთ გაარდერის წიგნი, ჩემი წიგნის წარმატება, ფილოსოფიური კაფეების მოდა... თუ წარმოვიდგენთ, რომ გაარდერი, სოტე და მე არ ვარსებობთ, მაშინ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ფილოსოფიას დაბრუნება აღარ უწერია. საზოგადოებრივი ფენომენის ამგვარი ჩამოყალიბება შემთხვევითობას ჰგავს. ჩვენში მხოლოდ ცოდნისმოყვარეობა იგულისხმება. ეს ფენომენი მაინც შედარებითია, რადგან 25 საუკუნის მანძილზე, ადამიანს ჯერაც არ შეუწყვეტია ფილოსოფოსობა.**

— ფენომენი ხომ მაინც აქ არის. როგორ ხსნით მას?

**— იგი მრავალჯერადი დაცემის შედეგია. თავდაპირველად, მზამზარეული პასუხები იდეოლოგიად იქცა. ამან აიძულა ადამიანები, თავად ეპოვათ პასუხები მათთვის საინტერესო კითხვებზე. შემდეგ მოხდა ქრისტიანობის დაცემა. ბოლოს კი ილუზიათა მზე ჩაესვენა, რაც მეცნიერებათა განვითარებამ გამოიწვია.**

— რომელი უფრო ყურადსაღებია, იდეოლოგიის თუ პოლიტიკის დაცემა?

**— იდეოლოგიის დაცემას პოლიტიკური კრიზისი ემატება. თანამედროვე მსოფლიოში გავრცელებული დაბრკოლებანი ასუსტებს ხელისუფალთა მოქმედებას. ისეთი სურათი იქმნება, რომ არჩევნები არ ცვლის მთავარს, რადგან ეს მთავარი უფრო ნაკლებად ექვემდებარება პოლიტიკურ არჩევანს და მეტ ანგარიშს უწევს ობიექტურ დაბრკოლებებს, რომელთა წინააღმდეგ შებრძოლებაც მას აღარ შეუძლია.**

**ვინაიდან მოქმედების არე იზღუდება, სუსტდება პოლიტიკური არჩევანის მნიშვნელობაც. აქედან გამომდინარე, იკარგება პოლიტიკისადმი ინტერესი. მეორე მხრივ, მემარცხენე პოლიტიკურ აზროვნებაში კრიზისი იგრძნობა. ათწლეულების მანძილზე მემარცხენეობა ნიშნავდა კაპიტალიზმთან კავშირის გაწყვეტის სურვილს. ახლა კი, ხელისუფლებაში მოსული მემარცხენე პოლიტიკა ადასტურებს, რომ ამის გაკეთება არ სურს. იბადება კითხვა: რას ნიშნავს მემარცხენეობა, თუ კი მას არ სურს კაპიტალიზმთან გათიშვა?**

— მემარჯვენე პოლიტიკოსთა აზროვნებაზე რას გვეტყვით?

**— აქაც კრიზისული მდგომარეობაა, რადგან მათ უჩნდებათ ასეთი კითხვა: რას ნიშნავს მემარჯვენეობა, თუ აღარ არსებობს ის საზოგადოება, რომელიც მას განადგურებით ემუქრებოდა და რომლისაგანაც საკუთარ საზოგადოებას იცავდნენ? ამას ემატება თაობის ფენომენი. დიდი ხანია, რაც თაობას აღარ განუცდია ის უმაღლესი პოლიტიკური მღელვარება, რომელიც მას გადაწყვეტილებას მიაღებინებდა. არაფერი მომხდარა იმისთანა, რომ შედარება მოეხდინათ 1968 წელთან, ალჟირის ომთან, წინააღმდეგობრივი კავშირის ორგანიზაციასთან, სახალხო ფრონტთან. უფრო მეტიც, ახალგაზრდები მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მახეში გაებნენ, ეს უკანასკნელნი კი პოლიტიკის მხოლოდ სასაცილო სურათს განასახიერებენ. ბევრი ახალგაზრდისთვის პოლიტიკასთან ერთადერთი კავშირი გახლავთ მარტივი, პატარა ფრაზებიანი ტელეჟურნალები დაბალი დონის კამათით, სატირული გადაცემები თუ „ტუტუცი" შოუები. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ დღევანდელ ახალგაზრდებს პოლიტიკა ნაკლებად აინტერესებთ.**

— ზნეობის, პოლიტიკის, სულიერ ფასეულობათა კრიზისი ერთმანეთთანაა დაკავშირებული?

**— ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნა დიდი სისულელეა. 1968 წლის მაისის მოვლენების დროს ამბობდნენ, რომ პოლიტიკა ყველაფერი იყო და იგი ზნეობის ადგილს იკავებდა. ასევე დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ ზნეობა ყოვლისმომცველად მიგვეჩნია და მას პოლიტიკის ადგილი დაეკავებინა. ჩემი თაობის ადამიანები ოცი წლის მანძილზე ფიქრობდნენ, რომ პოლიტიკა ყველაფერი იყო და კარგი პოლიტიკა წარმოადგენდა ერთადერთ აუცილებელ ზნეობას. დღეს ბევრი ახალგაზრდის აზრით ზნეობა ყველაფერია და კარგი ზნეობა სრულიად დამაკმაყოფილებელი პოლიტიკაა. სახეზეა ორი თაობა, ორი შეცდომა.**

— ასეა თუ ისე, ყველაფერს თავისი ადგილი აქვს...

**— ზოგიერთს სურს ისეთი პოლიტიკა, რომელიც ზნეობრივი ღირებულებების მარტივ აპლიკაციას განასახიერებს. პოლიტიკის ამ ფორმით წარმოდგენა უგუნურებად მიმაჩნია. პოლიტი-**



**კა არ ეწინააღმდეგება კარგსა და ცუდს, კეთილსა და ბოროტს. იგი უპირისპირდება ინტერესებს, ობიექტებს, არჩევანს, პროგრამებს. ამ ყველაფერზე კი ზნეობა დუმს. ამჟამად რას გვთავაზობს ზნეობა უმუშევრობის წინააღმდეგ? არაფერს. ზნეობა არ კისრულობს გადაწყვეტილების მიღებას და მაინც იგი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პრობლემაა.**

— ეს პოლიტიკური ამოცანები ფილოსოფიურ პასუხებს ითხოვს. მაგალითად, უმუშევრობის პრობლემა ჩვენს საზოგადოებაში იგივდება სამუშაო ადგილის პრობლემასთან.

**— შრომისთვის ღირებულების მინიჭება დღევანდელი მოვლენა და აზრი გახლავთ. მას არც ერთი ბერძენი თავშიც არ გაივლებდა. ამისთვის მონები არსებობდნენ. XYI საუკუნის არისტოკრატს მუშაობა აზრადაც არ მოუვიდოდა. მონტენს არასოდეს უმუშავია. XIX საუკუნეში, როდესაც ბურჟუაზიას დაქირავებული შრომა და მუშახელი დასჭირდა, შრომის ფასი კიდევ უფრო გაიზარდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ სრული დატვირთვა დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა, ეს დაბრკოლება გვაიძულებს, შრომის საკითხი ხელახლა განვიხილოთ. ვფიქრობ, ცდებიან ისინი, ვინც მუშაობას უმაღლეს ღირებულებას ანიჭებენ. დღეს უმუშევრისთვის სამსახურის არქონა უმთავრესი პრობლემაა. ამის გამო, იგი თავს უსარგებლოდ, დაუცველად და გარიყულად გრძნობს. მაოცებს საკითხისადმი ამგვარი არასწორი მიდგომა — თუ გინახავთ ოდესმე უჩიოდნენ ინდივიდს, რომელმაც ლოტოში 100 მილიონი მოიგო და სამსახურს თავი დაანება?**

— ამ თვალსაზრისით, პოლიტიკა რისთვის გამოიყენება?

**— შეცდომაა იმაზე ფიქრი, რომ პოლიტიკამ ჩვენი სურვილები უნდა გამოხატოს. ეს ნების საქმეა. სხვანაირად რომ ვთქვათ, პოლიტიკა გამოიყენება არჩევანის მოსახდენად. მაგალითად, გვსურდეს უსასრულოდ იზრუნონ ჩვენს ჯანმრთელობაზე და ამავე დროს, ფასის გადახდა არ გვინდოდეს, ეს წმინდა წინააღმდეგობრივი მოვლენაა.**

— ამბობენ, რომ ყველა მოთხოვნა, რომელიც კანონიერია...

**— ხშირად ურევენ ერთმანეთში უფლებებსა და მოვალეობებს. მოვალეობათა საკითხი უფლებათა საკითხმა დაფარა. დღეს ყველა ყველანაირ უფლებაზე ლაპარაკობს. უფლებაზე ლაპარაკი აბსურდია, რადგან ადამიანს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ განსაზღვრული, შესაძლებელი უფლება. მაგალითად, ლაპარაკობენ „ჯანმრთელობის უფლებაზე". თუ არსებობს ჯანმრთელობის უფლება, მაშინ ეს ნიშნავს, რომ კიბოთი დაავადებულებმა უნდა იჩივლონ, მაგრამ ვის უჩივლონ? ე.ი. ჯანმრთელობის უფლება ფიქციაა. არ არსებობს სიცოცხლის უფლებაც, რადგან ადამიანები კვდებიან. არა გვაქვს სილამაზის, ნიჭიერების და არც ბედნიერების უფლება. მაგრამ არის ზრუნვის, უზრუნველყოფის, უსაფრთხოების, თავისუფლების უფლება...**

— ჩვენი სასწავლო სისტემა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს საერთოდ აღარ ფუნქციონირებდეს. რატომ ხდება ასე?

**— დაწყებითი სწავლების სკოლებისთვის უპირველესი ამოცანა სწავლა-განათლების მიცემა უნდა გახდეს. კითხვისა და ანგარიშის სწავლება, ბავშვებისთვის კულტურის უმცირესი მარაგის მიცემა მასწავლებელთათვის გოლგოთად იქცა. ამიტომ, მათ სასწრაფოდ უნდა შევუქმნათ ნაყოფიერად მუშაობის პირობები. ვფიქრობ, ამისათვის მათ ძალაუფლება უნდა გადაეცეთ. მასწავლებელთა სამუშაო პირობების მიხედვით, ხელახლა უნდა შეფასდეს სწავლა-განათლების, ძალისხმევისა და დისციპლინის ცნებები. თავის დროზე ალენი იბრძოდა ეგრეთ წოდებული „საბავშვო ბაღების იდეოლოგიის" წინააღმდეგ, რომელსაც, როგორც ჩანს, პედაგოგებმა უკვე მიაქციეს ყურადღება. პედაგოგებს შორის გამართულ კამათში სკოლის სიამოვნების სფეროდ გადაქცევის სურვილი ჩანდა, ალენი კი ამტკიცებდა, რომ სკოლა, უპირველესად, სამუშაო ადგილია, სადაც სიამოვნებისათვის არ დადიან, სადაც სიამოვნებას მხოლოდ ძალისხმევისა და დაძლეული სირთულის შედეგად იგრძნობ. ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, რომ სკოლაში სამუშაოდ**



**მიდიან, რომ სამუშაო თავისთავად არასოდეს არ არის სიამოვნება, რადგან ამ დროს ძალ-ღონის დაძაბვაა საჭირო. სასკოლო სწავლება კარგ შედეგს ვერ გამოიღებს, თუ კი იქ არ იქნება ძალისხმევა. ეს უკანასკნელი კი დაბრკოლების გარეშე არ არსებობს.**

— ჩანს, კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი...

**— არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ სიძნელეს წარმოშობს არა განათლების რომელიმე იდეოლოგია, არამედ ობიექტური დაბრკოლებანი. ახლანდელი ახალგაზრდები რთული მოსწავლეები არიან, რადგან ისინი ტელევიზიის ცივილიზაციის შვილები გახლავთ. მათ ბევრი თავისუფალი დრო აქვთ. ამ სამყაროში სკოლა ძალით გაუფასურებულ ფენომენად მოჩანს. როდესაც ჟაკ ლანგი ისეთივე ქება-დიდებას ასხამს მოდელიორების ხელობას, როგორც მწერლისა ან მეცნიერისას, ამით სკოლას ძალიან ვნებს. საზოგადოება, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევს, მაიკლ ჯექსონი პრუსტს ან ლევი-სტროსს შეუდაროს, ძალიან ცუდ სამსახურს უწევს ახალგაზრდობას. ახალგაზრდები სტიქიურად ამჯობინებენ გახდნენ მაიკლ ჯექსონი, რომელსაც ბევრი ფული აქვს, ვიდრე ლევი-სტროსი, რომელიც ძალიან ბევრს მუშაობს, მაგრამ ძალიან ცოტას გამოიმუშავებს.**

— ამით სულიერ ღირებულებათა საკითხს ვუბრუნდებით. რა შეგვიძლია შევთავაზოთ საზოგადოებას?

**— უნდა შევიგნოთ, რომ კულტურათა თანაცხოვრება არ წარმოადგენს მეგობრულ წრეში ადამიანებს შორის მიღებული სიამოვნების ნაწილს, სადაც თითოეული მიდის იმის სანახავად, თუ როგორ არის სამყარო მეორის მიერ დანახული. კულტურათა თანაცხოვრება ძალთა კავშირი და დამოკიდებულებაა. ამ თვალსაზრისით, ისლამის განსაკუთრებული სიცოცხლისუნარიანობა სვამს კითხვას დასავლეთის სულიერების სიცოცხლისუნარიანობის შესახებ. ამით ჩვენ ისლამს კი არ ვადანაშაულებთ, არამედ ვკითხულობთ: რას სთავაზობს სამყაროს დასავლეთი? სწამს მას კიდევ თავისი სულიერი ღირებულებანი იმდენად, რომ ისინი ცხოვრებაში გამოიყენოს, თუ თვითონვე აღარ შეუძლია მათი დაცვა და აღარაფერი იცის იმის გარდა, რომ აკეთოს ბიზნესი და სიკვდილს დაელოდოს? თუ დასავლეთში მხოლოდ ნიჰილიზმი, სოფიზმი და ინდივიდუალიზმი ბატონობს, მაშინ აღარაფერი გვქონია ისეთი ღირებული, რომელსაც ისლამს დავუპირისპირებდით და მის გავრცელებას შევაჩერებდით. მით უკეთესი მათთვის, მაგრამ მით უარესი იმ იუდეველ-ქრისტიანული სულიერი ღირებულებებისა და ტრადიციებისათვის, რომელიც ჩვენ გვეკუთვნის და რომელზედაც მე ჩემდათავად დამოკიდებული ვარ.**

— რელიგიური გრძნობის დაცემის საკითხიც განსახილველია...

**— იხატება ასეთი სურათი: ვიცოდეთ რა დარჩა იმ ქრისტიანული დასავლეთიდან, რომელიც აღარ არის ქრისტიანული. თუ აღარაფერი დარჩა, მაშინ ყველაფერი დამთავრებულია. პირადად მე ვფიქრობ, რომ ქრისტიანული დასავლეთი, რომელიც ამავე დროს აღარ არის ქრისტიანული, რაღაცას მაინც მიესადაგება. როდესაც იკარგება რწმენა, რჩება ერთგულება, ე.ი. რაღაც ზნეობრივი ნორმა, რაღაც სულიერი ღირებულება, ტრადიცია... არ არის აუცილებელი ღმერთი ვიწამოთ იმისათვის, რომ შევიგნოთ — სიყვარული სიძულვილზე მეტი ღირს, რომ დიდსულოვნება ეგოიზმს სჯობს, რომ მამაცობა უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ლაჩრობა. არ არის აუცილებელი ღმერთის გვჯეროდეს იმისთვის, რომ შევიგრძნოთ დამწერლობის სულიერი, ადამიანური, ზნეობრივი სიდიადე.**

— შეუძლია ჩვენი საზოგადოების შველა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, კერძოდ, ტელევიზიას?

**— პასუხისმგებლობა მარტო ტელევიზიას არ ეკისრება. მასთან ერთად უნდა იმოქმედონ ინტელექტუალებმა, ხელოვნების წარმომადგენლებმა, მეცნიერებმა. ხშირად ტელევიზიას ხელოვნებას უპირისპირებენ. რასაკვირველია, ადვილია იმის თქმა, რომ ტელევიზია მდარე გადაცემებს ამზადებს. მაგრამ ამავე დროს იბადება კითხვა: რომელი დღევანდელი მწერალი შეედრება პრუსტს, შექსპირსა და ვიქტორ ჰიუგოს? რომელი მხატვარი გვყავს რუბენსის, დელაკრუას, კოროსა და ვერმეერის სადარი? ტელევიზიის საშუალო დონის გამო საყვედური მხოლოდ იმ საზოგადოებას შეუძლია გამოთქვას, რომელსაც ასეთი ფილოსოფოსები და ხელოვნების წარმომადგენლები ჰყავს. დღეს საფრანგეთის ხელოვნებაში, კულტურასა და ინტელექტუალურ ცხოვრებაში სიღატაკე მეფობს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნიჭიერი აღარავინ გვყავს. ნიჭიერი ბევრია, გენიოსია ცოტა. არ არსებობს კლასიფიკაცია. თუ კულტურა ტელევიზიის შემოტევისაგან თავს ვერ იცავს, ეს იმიტომ, რომ თვითონვე განიცდის მძიმე კრიზისს.**

— ფერებს ხომ არ ამუქებთ?

**— ფრანგული ესთეტიკური და კულტურული სამყაროს კრიზისი ერთი ნიშნით შემიძლია ვამხილო: არ შევხვედრივარ ისეთ მხატვარს, რომელზეც ვიტყოდი: „ეს გენიოსია, იგი თანამედროვეობის დიდი მხატვარია". არ შევხვედრივარ სამ ადამიანს, რომელთაც ერთსა და იმავე ხელოვანზე ერთი და იგივე აზრი ჰქონებოდათ. ამ დროს გავიხსენოთ ანვერსში ჩასული რუბენსი. მთელი ერთი წლის მანძილზე ყველა მხატვარი ერთსა და იმავეს გაიძახოდა: „რუბენსი ანვერსის ყველაზე დიდი მხატვარია". ხელოვნების ამ ქალაქში ერთი აზრი მეფობდა.**

**დღეს ხელოვნებას, რა თქმა უნდა, ნიჭიერი ადამიანები ემსახურებიან; ისინი, ვისაც უბრალოდ ამის უნარი შესწევთ. არიან ისეთებიც, რომელთაც არც უნარი აქვთ და არც ნიჭი. ასე რომ, ჩვენ ვცხოვრობთ დროში, რომელიც ბუნდოვანი და ცოტა მოსაწყენი გახლავთ.**

— ე.ი. დიდი გენიალობის დრო წავიდა?

**— ვიმედოვნებ, რომ არა! მე ის ვიცი, რომ ჩემთვის არავის უთქვამს, ამა და ამ მოლვაწემ ჩემი ცხოვრება შეცვალაო. მე კი შემიძლია ვთქვა, რომ „შუბერტმა ჩემი ცხოვრება შეცვალა". მე ვიცი, ეს როდის და როგორ მოხდა და დარწმუნებული ვარ, დღეს არ ვიქნებოდი ის, ვინც ვარ, სამყაროს შუბერტი რომ არ ჰყოლოდა.**

თარგმნა
თამილა აბზიანიძემ



პირველი გვერდიდან

— იმიტომ, რომ ხვალ — ცხრა ოქტომბერია.

ცხადია, გასაგებია: თუ ეს ხუმრობა არ არის, მაშინ შედეგი შეიძლება ძალზე სერიოზული აღმოჩნდეს და ყურადღებით დავაკვირდი ბლოკნოტის ფურცელზე დაწერილ „სიკვდილის თარიღს".

მისტერ ბრაუნმა განაგრძო:

— ახლა, როცა ეს დღე დადგა, არ მრცხვენია ვაღიარო, რომ ძალზე ვნერვიულობ, გაიგე რომ ამ სასტუმროში გაჩერდით და თქვენთან შეხვედრა გადავწყვიტე.

— მესმის, ოღონდ არ ვიცი, რითი შემიძლია დაგეხმაროთ.

ეტყობა, ეს თვით მისტერ ბრაუნმაც არ იცოდა.

— მისტერ ბრაუნ, — დავიწყე — ეტყობა, მომიწევს ისეთი რამ გკითხოთ, რაც თქვენს პირად ცხოვრებას ეხება. იქნებ, რომელიმე თქვენმა ახლობელმა...

გამაწყვეტინა:

— ამაზეც ვიფიქრე, რომელიმე ჩემს ახლობელს შეეძლო გასაღების მოპარვა, რომელიმე იმათგანს შეეძლო ჩემი ხელმოწერის სწავლაც და მერე მისი გამოყენება. თქვენი ბანკი საკმაოდ დიდია. ძალზე ბევრი კლიენტი გყავთ და, ცხადია, თანამშრომლები ვერ შეძლებენ ყველას სახის დამახსოვრებას, გარდა იმათი, ვინც თქვენთან ხშირად დადის. მე კი მათ რიცხვს არ ვეკუთვნი. დიახ, რა თქმა უნდა, შეიძლება ასეც მომხდარიყო, მაგრამ საქმე ისაა, რომ ასეთი ახლობლები არ მყავს. ცოლი არა მყავს, არც ნათესავები. არც ისე მდიდარი ვარ, რომ ვინმეს... არა, არა, ფხიზლად უნდა შევხედოთ მოვლენებს... არავის აზრად არ მოუვიდოდა მოვეკალი იმისთვის, რომ ჩემი ფულები ჩაეგდო ხელში. თანაც მტრები საერთოდ არა მყავს.

ჩემი აზრით, ორმოცდაათს გადაცილებული კაცისთვის ასეთი განცხადების გაკეთება დიდი გაბედულება იყო, მაგრამ იძულებული ვიყავი დამეჯერებინა.

მისტერ ბრაუნის სახლში და პლაჟზე ორი ქალი შევამჩნიე.

— თქვენ მარტო არ ისვენებთ, ხომ?

— არა, ჩემი აღსაზრდელი ჯოან ბეიკერი ბავშვობიდანვე ჩემს სახლში ცხოვრობს. ვიდრე პატარა იყო და არდადეგებზე ჩამოდიოდა, მსახურები ამყავდა. ამ გაზაფხულს კი სკოლა დაამთავრა და ოჯახის მთელი საზრუნავი ულის დააწვა მხრებზე.

პატარა, ქერათმიანი გოგონა, ეტყობა, ჯოან ბეიკერი იყო. მეორე ქალი, ხნიერი, შემჭკნარი კარდივით გაფერმკრთალებული, თუმცა, ეტყობოდა, ოდესღაც ძალზე ლამაზი იყო — ული.

— ული? — ვკითხე.

- ედიტ ულივერი. კარგა ხანია მდივნად მუშაობს ჩემთან. ვიღაცას ხომ უნდა მოეგვარებინა საოჯახო საქმეები და მიეხედა ჯოანისთვის. დიდი არაფერი შეუძლია, მაგრამ იმდენი ხანი ცხოვრობს ჩვენთან, რომ ოჯახის წევრად იქცა, — თქვა და ამოიოხრა. — სიტყვამ მოიტანა და დღეს მისი დაბადების დღეა. საღამოს ოთხივე, ასე ვთქვათ, ოჯახურ წრეში აღვნიშნავთ ამ მოვლენას.

— ოთხივე?

— ჩვენთან სტუმრადაა ჯოანის მეგობარი, ახალგაზრდა კაცი, ფრენსის დანიელი. ბრუკლინიდანაა, საცეკვაო ორკესტრს ხელმძღვანელობს, — მისტერ ბრაუნი მოიღუშა. — ჯოანი დენის ეძახის.

— როგორც ეტყობა, მათი მეგობრობა მაინცდამაინც არ მოგწონთ, — ფრთხილად შევეკითხე.

— ისინი დაქორწინებაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ჯოანი ძალზე პატარაა. გოგონას საკმაოდ მოზრდილი კაპიტალი აქვს, უფრო სწორად, მიიღებს მომავალ წელს, როცა ოცდაერთი წელი შეუსრულდება. ჯერ მინდა გაიხედ-გამოიხედოს, ნახოს, გაიცნობიეროს რა უნდა.

საათმა ექვსჯერ დარეკა. მისტერ ბრაუნი წამოდგა, საწერ მაგიდასთან მივიდა, შეაგროვა ქაღალდები და უჯრაში ჩაკეტა.

ცხადია, ეს ყველაფერი სისულელეა, — თქვა მან. — ხუმრობაა, ვიღაცამ გამაპამპულა. მაგრამ მაინც რას უნდა ნიშნავდეს?

ორივეს შესანიშნავად გვესმოდა, რასაც ნიშნავდა ეს.

რამე სიფრთხილის ზომებს მიმართეთ? — ვკითხე.

— დიახ, მიპასუხა მოკლედ, — თავადაც არ მესმის, რატომ ვნერვიულობ. ცხადია, არაფერი მოხდება. თქვენც ვერაფრით დამეხმარებით. მომიტევეთ, რომ შეგაწუხეთ.

მან სასტუმრომდე მიმაცილა და ცოცხალ ღობესთან დავშორდით. სასტუმროდან ნიუიორკში ორგან დავრეკე. ბევრი ფიქრობს, რომ ბანკები და ბანკირები ბიუროკრატიზმის შეუღწევადი ფარდით არიან შემოფარგლული. ნაწილობრივ ასეც არის, მაგრამ თუ საჭიროა ადვილად და სწრაფად ხდება ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვა. და რადგანაც ჩვენი ბიზნესი ადამიანები და მათი ფულია, — ეს ე.წ. ორი დელიკატური და ფეთქებადი მატერია, — მუდამ მზად ვართ ყოველგვარი მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად.

დავამთავრე ვახშმობა და უკვე მივიღე პირველი დარეკვის პასუხი — მაუწყებდნენ, რომ ილიფ ბრაუნი არის პატივსაცემი პიროვნება. პატარა, მაგრამ სრულიად საიმედო საბროკერო ფირმის მფლობელი. ძალზე ჭკვიანურად და წარმატებით განაგებს თავისი აღსაზრდელის ქონებას და გაამრავლა კიდეც. მისი პატიოსნება და კეთილსინდისიერება ამ მხრივ ეჭვგარეშე იდგა.

მეორე დარეკვის პასუხი რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა და ძალზე გამაოცა.

იმდენად გამაოცა, რომ ცოტა ფიქრის შემდეგ, ოთახის გამოცვლა გადავწყვიტე. გამოვიცვალე ოთახი და ფანჯრიდან დავუწყე თვალთვალი მისტერ ბრაუნის სახლს. შუაღამემდე რამდენიმე წუთი რჩებოდა. დადგა ცხრა ოქტომბერი.

სახლი სიბნელეში იყო ჩაძირული. სიჩუმეს არაფერი არღვევდა. ცხადია, ალბათ, მისტერ ბრაუნიც მზად იყო მოულოდნელი საფრთხის შესაგებებლად. დიდხანს არ მომიწია ცდამ.

ოღონდ, როცა ეს მოხდა, სახლში თითქოს ყველაფერი ძველებურად იყო, — სინათლეც არ გამოჩენილა, მხოლოდ სროლის ხმა გაისმა. რამდენიმე წუთში ყველაფერი აირ-დაირია. ერთი მეორის მიყოლებით აინთო სინათლეები. ვიღაცამ კარი გაალო და დაიყვირა: „მიშველეთ!"

სწრაფად ჩავიცვი და ვიდრე ქვევით ჩავიდოდი პოლიციის მანქანის სირენის ხმაც გაისმა. სახლთან უკვე სასტუმროს რამდენიმე მცხოვრე-

# სიკვდილის თარიღი



ბი შეკრებილიყო. ვიღაცას ვკითხე:

— რა მოხდა?

— მკვლელობაა! ტყვია პირდაპირ გულში მოხვდა.

— ბრაუნს?

— არა, არა. მის მდივანს! მის ულივერს.

მაშ ასე, მკვლელობა მოხდა, და ეს მოხდა ცხრა ოქტომბრის ღამეს. ოღონდ მსხვერპლი მისტერ ბრაუნი არ აღმოჩნდა.

სახლს მივუახლოვდი, შესასვლელთან პოლიციელები დავინახე, მისტერ ბრაუნი მათ შუა იდგა. ცოტა მოშორებით შავთმიანი, თეთრ, მოკლე, სატენისო შარვალში გამოწყობილი, კარგად მზემოკიდებული ახალგაზრდა კაცი შევამჩნიე. მისტერ ბრაუნი მომვარდა და მომაყარა:

— მოკლეს! ჩემს მაგივრად მოკლეს! ქვევით იყო... მკვლელს მე ვეგონე და შეცდომით მოკლა...

სახლში შევედით. მაშ ასე, ეს უკვე აღარ იყო ხუმრობა. ოღონდ ამ ტრაგიკული ინციდენტის მსხვერპლი ედიტ ულივერი გახდა. არ ვიცოდი რა მექნა. ვგრძნობდი, რაღაცის გაკეთება აუცილებელი იყო.

ბოლოს ისევ ქუჩაში გასვლა გადავწყვიტე და ადგილიდან დავიძარი, რომ უცებ კარი გაიღო და ოთახში გოგონამ შემოიხედა, რომლის დახვეწილი ფიგურაც წინა დღეს პლაჟზე ვნახე, — მისტერ ბრაუნის აღსაზრდელი ჯოან ბეიკერი.

— შემობრძანდით, გეთაყვა, — შემოვიწვიე. — რამდენიმე კითხვა მინდა დაგისვათ.

მან შეშინებულმა შემომხედა და ატირდა.

ჩემს მოვალეობად ჩავთვალე დამეშშვიდებინა და თავს ნება მივეცი თავზე მოვფერებოდი. ამ დროს კარი გაიღო და ოთახში შავგვრემანი ახალგაზრდა კაცი ქარივით შემოიჭრა.

მეტი რაღა გითხრათ? სულ ვფიქრობდი, ამ ბრუკლინელებს მეტისმეტად დიდი მიდრეკილება აქვთ დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმისკენ-მეთქი.

მერე... ძალზე გაკვირვებული დავრჩი, როცა აღმოვაჩინე, რომ იატაკზე ვეგდე და რატომღაც ყბაც მტკიოდა.

გოგონა ახალგაზრდა დანიელის ეკიდა მკლავზე.

— ეგ ხომ პოლიციელია! რაღაცის კითხვა უნდოდა.

ვიდრე გოგონა თავის მეგობარს ამშვიდებდა, წამოვდექი და ნიკაპზე მოვისვი ხელი. ახალგაზრდა მუქარით იღრინებოდა — პოლიციელები მეზიზღება და ვერ ვიტანო.

— თქვენც იმავეს გაგიმეორებთ, რაც სხვა პოლიციელებს ვუთხარი, — დაუმატა. — მეძინა. გასროლის ხმამ გამაღვიძა. შემომესმა როგორ ჩარბოდა კიბეზე მისტერ ბრაუნი. წამოვვარდი და მეც ქვევით გავიქეცი. ქალი უკვე მკვდარი იყო. ბრაუნმა პოლიციაში დარეკვა მთხოვა. მერე ჯოანიც ჩამოვიდა. გავჩხრიკეთ სახლი და ნაკვეთი. მერე პოლიციაც მოვიდა. ხელი აღარ დააკაროფ ჩემს გოგოს!

- დენი, დენი რას ამბობ! - საყვედურით თქვა ჯოანმა.

— რევოლვერი იპოვეთ? — ვკითხე.

უარის ნიშნად შავთმიანმა თავი გააქნია.

— ისე, რევოლვერი მისტერ ბრაუნს აქვს, — დაუმატა, — მაგრამ იქიდან არ უსვრიათ. მისტერ ბრაუნმა პოლიციელებს აჩვენა კიდეც.

— რა საშინელებაა, — თქვა აცრემლებულმა ჯოანმა. — დღეს ხომ მისი დაბადების დღე იყო. ყველამ საჩუქრები მივართვით...

— რა საჩუქრები მიეცით? — ვკითხე. — რამე ძვირფასი?

— არც ისე ძვირფასი, რომ ვინმეს მისი მოპარვა განეზრახოს. საათი... — გოგონამ ამოისლუკუნა. — საათი ძია ილიფმა აჩუქა. ისევ ხელზე უკეთია. მე ოქროს პორტსიგარი ვაჩუქე. დენიმ კი ყვავილები.

ჯოანი ისევ ახლუკუნდა. დენი ისევ მოიღუშა, გოგონას წაყვანა მოინდომა. სინათლე გამორთო და მაშინვე მისი გაოცებული შეძახილიც გაისმა.

— დენი! ასეთი რა უქნი?

— აი, მესმის! — ისევ წამოიძახა. — ასე ძლიერ არ მინდოდა დარტყმა. მთელი ყბა გაგლურჯებიათ.

ჩამრთველი ვიპოვე და სინათლე ავანთე. კედელზე სარკე ეკიდა. ჩავიხედე. ნიკაპი ცოტა დაწითლებული მქონდა და სხვა არაფერი.

— შეხედე, ახლა გაქრა. — გაოცებით თქვა დენიმ.

ისევ ჩააქრო სინათლე. მე გაოცებული ვიყავი. ჩემი ყბა რაღაცნაირი ციხფერი სინათლით ანათებდა.

ცოტა ხნის შემდეგ ვთქვი:

— მოიტანეთ საჩუქრები, რომელიც მის ულივერმა მიიღო. ჩქარა!

იქნებ ჩემი ხმის გამო, ან იქნებ ამ უჩვეულო ნათების გამოც, ახალგაზრდები სწრაფად ამოძრავდნენ. მე კი ვიდექი სარკის წინ, ვანთებდი და ვაქრობდი სინათლეს. და კიდევ ერთი უცნაური აღმოჩენა გავაკეთე: ჩემი მარჯვენა ხელიც სუსტ, მოციხფრო სინათლეს გამოსცემდა. გოგონა დაბრუნდა. მაგიდაზე მუქწითელი ვარდებით სავსე დიდი საყვავილე დადო, მერე ჯიბიდან ალმასებით დამშვენებული საათი და ოქროს პორტსიგარი ამოიღო.

— მათ ამ ნივთების აღების ნება კი მომცეს, მაგრამ პოლიციის შეფი ვერ ხვდება, რა უფლებით ერევით ამ საქმეში.

— აქ მოიყვანეთ! — ვბრძანე მე, — ბრაუნსა და დენისაც დაუძახეთ.

გოგონა გავიდა. სინათლე გამოვრთე. მალე აჩქარებული ფეხის ხმაც გავიგე და ვიღაცის ხმაც გაისმა, ალბათ, პოლიციის შეფის:

— ეშმაკმა წაიღოს, აანთეთ სინათლე! რაშია საქმე?

ვიღაც დაემორჩილა, მაგრამ მანამდე მოვასწარი და დავინახე ის, რასაც ველოდი.

— ძვირფასო სერ, — დავიწყე, — უნდა გაუწყოთ შემდეგი: მისტერ ბრაუნი კეთილსინდისიერად და პატიოსნად ასრულებს თავის მოვალეობას მის ჯოან ბეიკერის სამეურვეო საქმეების საკითხებში. იგი მის საკუთრებას უჩვეულო პასუხისმგებლობით განაგებს.

ბრაუნი ჯოანს მოეხვია და თავისკენ მიიზიდა. დენიმ გაბოროტებით შეხედა. ილიფ ბრაუნმა საზეიმოდ თქვა:

— ჩემს მოვალეობას, დროისა და ძალ-ღონის დაუზოგავად ვასრულებ.

— ოღონდ მის ულივერი თქვენ მოკალით.

ისე ჩუმად ვთქვი ეს სიტყვები, რომ პირველად ვერ გაიცნობიერეს რას ვამბობდი, მერე გაოგნებულებმა ერთმანეთს შეხედეს. მე სინათლე გამოვრთე და ბრაუნის მარჯვენას ჩავავლე ხელი. სიბნელეში ჩანდა, როგორ გამოსცემდა მისი თითები მოციხფრო სინათლეს. მან ხელი გამომგლიჯა და კარში გავარდა. პოლიციის შეფი დაედევნა. შემოსასვლელიდან ბღლარძუნის ხმა ისმოდა. მერე პოლიციის შეფი შემოვიდა და მკითხა:

— რას ნიშნავს ეს ყველაფერი? ჩემმა ხალხმა დააკავა... მაგრამ... მას მის ულივერის საათი გავუწოდე და დაწვრილებით ვუამბე ყველაფერი, რაც მისტერ ბრაუნისგან ვიცოდი.

— სინამდვილეში კი, — დავუმატე, — ეს იყო მის ულივერის მკვლელობის საგულდაგულოდ დამუშავებული გეგმა, ისე, რომ თვით ბრაუნს ეჭვის ჩრდილიც არ მისდგომოდა და რომ მის ულივერი მხოლოდ შემთხვევითი მსხვერპლია, ხოლო მკვლელობის ნამდვილი მიზანი თვით ბრაუნი იყო. ამიტომ მკვლელობა უნდა მომხდარიყო ისეთ პირობებში, როცა ასეთი შეცდომა დასაშვებია, სახელდობრ, — სრულ სიბნელეში. ოღონდ სრულ სიბნელეში მკვლელმა შეიძლება ვერ დაუმიზნოს და ააცდინოს. ამიტომ... მოკლედ, ეს საგანი... — ხელში ისევ მის ულივერის საათი მეჭირა. — გამორთეთ, გეთაყვა, სინათლე. — ვთხოვე.

# მცირე დეტექტივი

დენიმ ჩემი თხოვნა შეასრულა.

— ოო! — წამოიძახა გოგონამ. პოლიციის შეფმა გაოცებით დაიყვირა: საათიც ციხფრად ანათებდა.

— მანათობელა საღებავია, — ავხსენი. — ძალზე წებოვანი და მისი მოშორება საკმაოდ ძნელია. იგი სიბნელეში ასხივებს, სინათლეზე კი ჩვეულებრივ მინანქარსა ჰგავს. როგორც ნახეთ, საღებავი ბრაუნსაც გადაუვიდა ხელზე. როცა აქ მოვედი, მადლობის ნიშნად ისეთი ენთუზიაზმით ჩამომართვა ხელი, რომ საღებავი მეც მომეწება, მერე კი ნიკაპზეც...

მომეჩვენა, რომ დენიმ დამნაშავესავით ჩაიბურტყუნა. პოლიციის შეფმა სინათლე ჩართო, ნათება გაქრა და იკითხა:

— რატომ მოკლა ბრაუნმა მის ულივერი?

ყბა ამეწვა და ვცადე მოკლედ ამეხსნა:

— ალბათ, ამის გაგება თქვენ მოგიწევთ. შემიძლია მხოლოდ ჩემი ვარაუდი გამოვთქვა. თუმცა მის ბეიკერი ბრაუნს „ბიძია ილიფს" ეძახის, მაგრამ ბრაუნის ქცევაში, როცა თავის აღსაზრდელს ეხვევა, უფრო მეტი მგზნებარება ჩანს, ვიდრე მეურვეს შეეფერება. ვფიქრობ, ბრაუნს თავის აღსაზრდელზე და მის ფულებზე დაქორწინება უნდოდა.

გოგონა გაწითლდა.

— დიახ, — ჩაიჩურჩულა მან. მას ეს უნდოდა.

— ვფიქრობ, და თქვენი ძიებაც დაამტკიცებს ჩემს ვარაუდს, რომ მის ულივერმა ამაზე რაღაც იცოდა, თანაც ძალაუფლებაც ხელთ ეპყრა, რადგან იგი, სინამდვილეში, ბრაუნის ცოლი იყო, თუმცა ეს ყველაფერი დაფარული გახლდათ.

— ოო! — წამოიყვირა ჯოანმა. — ახლა კი მესმის. მას ძალიან უყვარდა ბრაუნი. მის გულისთვის მზად იყო ყველაფერი გაეკეთებინა! მაგრამ არასოდეს მისცემდა უფლებას...

— თქვენზე დაქორწინებისას. — დავამთავრე მე.

პოლიციის შეფმა ცხვირი მოიფხანა:

— რაც თქვით, თუ ყველაფერი მართალია, მაშინ თქვენ რაღა დამოკიდებულება გაქვთ ამ საქმესთან? რატომ ჩაერიეთ?

სულის სიღრმემდე შევცბი:

— ცხადია, ჩვენი ბანკის სახელისთვის! სეიფების სისტემის უსაფრთხოება უნაკლოა! რაც ბრაუნმა თქვა, არ შეიძლება მომხდარიყო. დაცვის განყოფილების უფროსს დავუკავშირდი და მან შემატყობინა, რომ ბრაუნის ბოლო ხელმოწერა სარეგისტრაციო ბარათზე ნამდვილია. მივხვდი, ბრაუნი ტყუოდა. დიდხანს ვფიქრე რა ჰქონდა მას განზრახული.

— მაშ, რატომ გითხრათ, რომ თითქოს ვიღაც ემუქრებოდა?

— ცხადია, იმისთვის, რომ მოწმე ჰყოლოდა, ვითომ მუქარის ობიექტი ზუსტად იგი იყო და არა მის ულივერი. სხვათა შორის, ვფიქრობ, რევოლვერი, რომლითაც მკვლელობა მოხდა — მეორე რევოლვერი — ოკეანის ფსკერზეა, სადაც მან დანაშაულის ჩადენის შემდეგ მოისროლა.

გოგონა კისერზე ჩამომეკიდა და მადლიერებით ლოყაზე მაკოცა.

— ძალიან მეშინოდა, რომ ყველაფერში დენის დაადანაშაულებდით! ის ხომ ასეთი იმპულსურია.

პოლიციის შეფმა ხელიდან გავარდნილი საათის დაჭერაღა მოახერხა და შეჰყვირა:

— დაიჭირეთ!

დენი კი უკვე ჩემსკენ მოჰქროდა.

ჯოანის მკლავებიდან გავთავისუფლდი და კარს ვეცი. დენი ჰოლში დამეწია. თავდასაცავად მოვემზადე, მან კი ნაწყენი მზერა მესროლა და ჩაიბურტყუნა:

— მე ხომ მხოლოდ ხელის ჩამორთმევა მინდოდა. გმადლობთ, მისტერ ბიკარი. — დაუმატა მერე.




## სარედაქციო ჯგუფი

შადიმან შამანაძე (მთ. რედაქტორი)
თამაზ ვასაძე, ანდრო ბუაჩიძე, რეზო ბოგვია,
ირმა არჩუაშვილი, ზვიად რატიანი, მალხაზ ხარბედია
თამაზ ჩხაიძე, მამუკა ალთუნაშვილი (კომპიუტერული მომსახურება)

1996 წლის 9 აგვისტოს ნოდარ ლომოურს 70 წელი შეუსრულდა

# პროფესორი ნოდარ ლომოური ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში



ნოდარ ლომოური — ისტორიკოსი, მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი, ბიზანტინისტიკის განყოფილების გამგე, რომელსაც მუზეუმში საქმიანობის მრავალგვარი გამოცდილებაც ჰქონდა (ს.ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ფეოდალური ხანის განყოფილებაში) — 1992 წ. დაინიშნა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორად, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის მცველად, გამგებლად და პატრონად. მანამდე კი მუზეუმი კრიზისს განიცდიდა. კრიზისი ქვეყანაშიც დაწყებული იყო. და ცხადია, ორგანიზაცია, სადაც მრავალრიცხოვანი კოლექტივია და პრობლემები ისედაც ულევია, განზე ვერ დარჩებოდა ქვეყანაში მიმდინარე ურთულესი პროცესების მიმართ — ქვეყანაში დაწყებული კრიზისი მის პრიზმაშიც გადატყდა და მივიღეთ საყოველთაო კრიზისის მიკრომოდელი. ამან სხვა, ასეთ შემთხვევებში მოსალოდნელი და კანონზომიერი მოვლენებიც გამოიწვია — ურთიერთგათიშვა, დაპირისპირება, უნდობლობა, შედეგად კი — უფუნქციობა. ახლა ძნელია გარჩევა, სად, როდის და რომელი მხარე ცდებოდა, ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი. ერთი კია, ორივეს, ან იქნებ რამდენიმე მხარეს უყვარდა თავისი საქმე და, ამასთან, დარწმუნებული იყო იმაში, რომ მხოლოდ მისი პოზიციაა სწორი.

ნოდარ ლომოურის მოსვლა მუზეუმში უშუალოდ დაემთხვა მუზეუმის შიდა ცხოვრების ამ გამძაფრებულ სურათს. მას არავითარი ილუზია არ ჰქონია იმისა, რომ მისი დიდი სამეცნიერო ავტორიტეტი ერთბაშად გამოასწორებდა საქმეს, მთელი კოლექტივი აღტაცებით შეხვდებოდა მის მოსვლას და, რაც მთავარია, პრობლემები გადაწყდებოდა სწრაფად და საბოლოოდ. სრულიად გააზრებული იყო ისიც, რომ ეს იქნებოდა ხანგრძლივი, მძიმე შრომა, რომელიც ნაყოფს ძალიან გვიან გამოიღებდა. მაშინ კი მთავარი იყო მოეძებნილიყო, არც მეტი, არც ნაკლები, კონცეფცია, რომლის ხელახალი კოლექტიური გაცნობიერება, როგორც წესი, სწორედ ასეთ ურთულეს ვითარებაში ხდება აუცილებელი: ვინ ვართ ჩვენ — მუზეუმის თანამშრომლები, რა ორგანიზაციაა მუზეუმი, რა მოვალეობა გვეკისრება ჩვენ და საერთოდ მუზეუმს ერის წინაშე.

ალბათ, უნდა შევთანხმდეთ იმაში, რომ მუზეუმი კულტურული ცენტრია, სადაც თავს იყრის ხელოვნების განვითარების, მისი ისტორიის მთელი სპექტრი. ეს არის სულიერი საგანძური, რომელიც დაცული უნდა იყოს, რათა მუზეუმმა შეძლოს მიაბას ეს საგანძური ერის ცხოვრებას, ჩართოს იგი აღზრდის სისტემაში ერთი მხრივ, და ხელოვნების განვითარების კონტექსტში, მეორე მხრივ. ეს თითქოსდა უმარტივესი სქემები თავად მუზეუმის სისტემაში ურთულეს საქმიანობას ითვალისწინებს. ეს იცოდა ნოდარ ლომოურმა — ხელოვნების მუზეუმის ახლად დანიშნულმა დირექტორმა. ეს წერილი არ გახლავთ სტატისტიკური ხასიათის და ამიტომ არ ითვალისწინებს იმის უბრალო ჩამოთვლას, თუ რისი გაკეთება შეძლო ნოდარ ლომოურმა. იგი უბრალოდ ასახავს მის ქმედებათა თანმიმდევრობას, იმ ძირითადს, რითაც ცხოვრობს დღეს მუზეუმი.

იმთავითვე იყო რწმენა იმისა, რომ თვით მუზეუმის შიგნით, მის კოლექტივში უნდა წარმართულიყო საქმიანობა, რათა შეკავშირებულიყო შიდა სტრუქტურები და განყოფილებებს ეთანამშრომლათ ერთმანეთთან. უნდა გაზრდილიყო სამეცნიერო საბჭოს როლი, დირექტორის უფლებებიც კი, საბჭოს უფლებების შეუკვეცლად, ე.ი. კოლექტივი უნდა გამთლიანებულიყო — გამთლიანებას კი სჭირდებოდა რაღაც ბაზისი, უპირველესად კი შეგნება იმისა, რომ დირექტორი მოწოდებულია ყველა თანამშრომლს გაუადვილოს მუშაობა, შეძლებისდაგვარად ყველაფერი იღონოს იმისთვის, რომ მუზეუმის მუშაკმა — მეცნიერ-თანამშრომელი იქნება იგი თუ მცველი — მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი პროფესიული შესაძლებლობანი, იგრძნოს თავისი საქმიანობის აუცილებლობა საზოგადოების წინაშე.

მუზეუმი, როგორც ითქვა, ხელოვნების განვითარების მთელ სპექტრს უყრის თავს და რა კოლექციის მფლობელიც არ უნდა იყოს იგი, როგორ საიმედოდაც არ უნდა იყოს ეს კოლექცია დაცული, მუზეუმი მაინც პროვინციულ დაწესებულებად გადაიქცევა, თუ ხელოვნების ნიმუშთა უკან არ დგას მისი თანამშრომლების, ხელოვნების ისტორიკოსების მძლავრი ინტელექტუალური ბაზა ან ის შესაძლებლობანი, რომელიც ყოველი ნიმუშის, წარმოშობას, ადგილს, როლსა და მნიშვნელობას საზღვრავს. ეს განსაზღვრებანი კი საზოგადოებამდე უნდა მივიდეს მუზეუმში შექმნილი კარგად მოქმედი სისტემით. ნელა, მაგრამ თანმიმდევრულად ეს პროცესიც მიმდინარეობს.

მუზეუმის შიდა ცხოვრების ერთ-ერთი მიმართულებაა უწყებრიობის მოსპობა; ვგონებ, საქმეში ჩახედული ადამიანისთვის განუმარტავადაც გასაგებია, რას ვგულისხმობ: კონტაქტები მომიჯნავე სპეციალობების ინსტიტუტებთან, ქართული ხელოვნების ინსტიტუტთან, არქეოლოგიური კვლევის ცენტრთან, ს.ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმთან და კიდევ ბევრ სხვა ორგანიზაციასთან, რომლებთანაც ურთიერთობანი და ინფორმაციის გაცვლა უთუოდ აამაღლებს ორივე მხარის პროფესიულ დონეს.

თავისთავად საქართველოს ხელოვნების მუზეუმისთვის და, ზოგადად, ყველა სხვა მუზეუმისთვისაც ურთულესია ფონდების პრობლემა. თუმცა, საკითხი ფრიად არაპოპულარულია ფართო წრისთვის, რადგან დამთვალიერებელი, როგორც წესი, აცნობიერებს მხოლოდ მუზეუმის დარბაზს, ექსპოზიციას, ფონდების შესახებ კი წარმოდგენა მეტ-ნაკლებად ბუნდოვანია — არადა, მუზეუმი იმდენადაა მუზეუმი, რამდენადაც აქვს მას მოწესრიგებული ფონდები. აქ კი სირთულე ერთბაშად და დაუნდობლადაც იყრის თავს და დირექტორის წინაშე დგება პრობლემათა მთელი ჯარი — ფართობი, ტემპერატურის ნორმირება, პასპორტიზაცია, თითოეულ ექსპონატზე სრულ სტატისტიკურ მონაცემთა ბაზის შედგენა, ცვლილებანი ინტერიერში, თანამშრომელთა საქმიანობის მკაცრი განსაზღვრებანი, უცხოელ კოლეგებთან კავშირების დამყარების აუცილებლობა... გარკვეულ მიზეზთა გამო, ჩვენ სრულიად დავკარგეთ ასეთი კონტაქტები და არცთუ იშვიათად, კონტაქტების აუცილებლობის შეგნებაც. არადა, ეს აუცილებლობა გამოსავალიც კია — დღეს ვერ ვღებულობთ ინფორმაციას, არ ვიცით, რაა ახალი მსოფლიო სამუზეუმო საქმიანობაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კონტაქტების დამყარება დაიწყო, თანდათანობით, მაგრამ იგი მაინც ცნობიერდება.

მუზეუმი ყოველთვის ამაყობდა მაღალპროფესიული რესტავრატორებით, მაგრამ სიტუაცია აქაც მძიმე იყო. ყველაზე მეტად ეს კოლექტივი საჭიროებდა ინფორმაციას, ურთიერთობას უცხოელ კოლეგებთან და დროდადრო კვალიფიკაციის გაღრმავებას სხვადასხვა სარესტავრაციო ცენტრში. დირექტორის წარმატებული ქმედებების შედეგად აქაც იმედის მომცემი ძვრებია, გაჩნდა რწმენა, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თანამედროვე ნორმებს მიუახლოვდება, რომ საზღვარგარეთის ცენტრებში არაერთი რესტავრატორი აიმაღლებს კვალიფიკაციას, და საერთოდაც, არის იმედი იმისა, რომ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი „შიდა სამუზეუმო ახალი წესრიგითა" და ურთიერთკონტაქტებით ღირსეულ ადგილს დაიჭერს მსოფლიოს ცნობილ მუზეუმთა შორის.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

**ბ. ყიფიანი**

მუზეუმის სწავლული მდივანი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი

**ი. კოშორიძე**

ბიზნესი

# «ანტონ ოლერტი» საქართველოში საერთაშორისო სტანდარტებს ამკვიდრებს

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ქართველი მეწარმეები დიდი სირთულეების წინაშე დააყენა. პოლიტიკური კატაკლიზმების არსებობის პირობებში მსედველობიდან გამოგვრჩა ის, რომ საწარმოთა უმეტესობას ბოლო ექვსი წლის მნიშვნელოვანი არაფერი შეუქმნია, იმათა უმუშევრობამ და დღესაც, როცა დღის წესრიგში დადგა ეკონომიკური აღმავლობის საკითხი, პრობლემათა ჯაჭვი, რაც უცილობლად ქვეყანაში არსებულმა სირთულეებმა გამოიწვია, გადაუწყვეტელი რჩება.

ამ ფონზე, ალბათ, წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ, რომ ბოლო დროს ყინულის დნობის პროცესი დაიწყო. გაჩნდა კერძო საწარმოები და სურვილი იმისა, რომ საქართველოში გამოშვებული პროდუქცია თანდათან გაუტოლდეს მსოფლიო სტანდარტებს, საწარმოთა ტექნიკური აღჭურვილობა კი მოძველებულია, რაც, ბუნებრივია, ვერ მოგვცემს სათანადო სტანდარტებით დამზადებულ პროდუქციას.

ვინაიდან მეწარმეთა უმრავლესობა ახლაღა იწყებს ბიზნესის სამყაროში გათვითცნობიერებას, მიზანშეწონილად მივვაჩნია, გაგაცნოთ ფირმა, რომელსაც უდიდესი დახმარების გაწევა შეუძლია მათთვის, ვინც სერიოზული მუშაობა გადაწყვიტა.

**თბილისში, ყაზბეგის გამზირზე მოქმედებს გერმანული ფირმა „ანტონ ოლერტის" წარმომადგენლობა.**

**ფირმა „ანტონ ოლერტი" სტაჟიანი მეწარმეებისთვის ცნობილია და საქართველოს ეკონომიკურ წრეებში — საკმაოდ პოპულარული. იგი ერთგვარად დამაკავშირებელი ხიდია მეწარმეებსა და იმ ფირმებს შორის, რომლებიც სხვადასხვა პროდუქციის დამზადებისთვის საჭირო დანადგარებს ამზადებენ. „ანტონ ოლერტი" აერთიანებს მსოფლიოს 60-მდე ფირმას. იგი საუკუნეზე მეტია, სანდოობის მაღალი კოეფიციენტით სარგებლობს. გახსნილი აქვს წარმომადგენლობები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და შუამდგომლობს მეწარმეებს მათთვის საინტერესო ფირმებთან.**

**„ანტონ ოლერტის" წარმომადგენლობა საბჭოთა პერიოდში მხოლოდ მოსკოვში არსებობდა. მაშინ, მოგეხსენებათ, რუსეთი უნაწილებდა ყველა რესპუბლიკას მანქანა-დანადგარებს. 1992 წლიდან წარმომადგენლობა, სხვა ორ რესპუბლიკასთან ერთად, თბილისშიც გაიხსნა.**

**მას ხელმძღვანელობს ახალგაზრდა, გამოცდილი ბიზნესმენი, ბატონი დავით ჩიქოვანი, რომელსაც „ანტონ ოლერტის" წინაშე რეკომენდაცია გაუწია ფირმა „ჰაუნმა", სადაც მისი დამფუძნებლის, ბატონ კიორბერის მიწვევით მუშაობდა 1989 წლიდან 1992 წლამდე, ანუ იქამდე, სანამ საქართველოში „ანტონ ოლერტის" წარმომადგენლობა გაიხსნებოდა.**

## რითაა ეს ფირმა და მისი წარმომადგენლობა საინტერესო მეწარმეთათვის?

**მას შეუძლია დააკავშიროს მსურველები ფირმებთან:**

**„ზეიცი" — რომელიც ამზადებს ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ჩამოსასხმელ ხაზებს (მისი დამზადებული ხაზებით სარგებლობენ ფირმები „კოკა-კოლა", „პეპსი-კოლა". სხვათა შორის, საქართველოშიც დგას ფირმა „ზეიცის" დანადგარები.**

**„კრუპ კორპოპლასტი" — ამზადებს პლასტმასის ბოთლებს, რაც, ვფიქრობთ, აუცილებელი იქნება მინერალური წყლისა და ჩვეულებრივი სასმელი წყლის ჩამოსხმისა და ექსპორტისთვის.**

**„ჰაუნი" — აწარმოებს სიგარეტის წარმოებისთვის საჭირო დანადგარებს (ინფორმაციისთვის, ალბათ, ისიც საჭიროა, რომ მისი წარმოების დანადგარებიც დგას საქართველოში).**

**ყველა ფირმის დასახელება შორს წაგვიყვანს. მთავარია, რომ ამ ფირმას შეუძლია ქართველ მეწარმეებს დაეხმაროს წარმოების გაშლაში, საქართველოს კი — ეკონომიკის აღორძინებასა და აღმავლობაში. თუ ვინმეს განსაზღვრული აქვს ფარმაცევტული წარმოების ამუშავება, პურისა და საკონდიტრო ნაწარმის მაღალხარისხიანად დამზადება, ან თუნდაც, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის ახალი სახის მრეწველობის ამუშავება, ეს ფირმა დიდ დახმარებას გაუწევს მათ.**

**ბუნებრივია, დღეისთვის ქართველ მეწარმეთა აქილევსის ქუსლი შესაბამისი თანხის უქონლობაა, მაგრამ დანადგარები, რომელთაც „ანტონ ოლერტი" შემოგთავაზებთ, უმოკლეს ვადაში შეაძლებინებს მეწარმეს, ამოიღოს დახარჯული თანხა და იმუშაოს მოგებაზე.**

**ფირმას შეუძლია აწარმოოს მოლაპარაკებები დაბალფასიანი დანადგარების შეძენაზეც.**

**გუშინ ასეთ საკითხებზე არავინ ლაპარაკობდა. დღეისთვის კი, როცა საქართველოს ეკონომიკური აღმავლობა ეჭვს აღარ იწვევს, საჭიროა, მეწარმეებმა ეძებონ გზები, რომლითაც შეძლებენ მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოებას, რითაც საქართველო შეძლებს მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი პროდუქციის გამოშვებას და ევროპის ბაზარზე გასვლას.**

**დადგა დრო, როცა საქართველოში „შემოდგომის ბიზნესმენის" ადგილი აღარ უნდა იყოს, ამისთვის კი სერიოზული კონტაქტები და პარტნიორებაა საჭირო.**

**მიგვაჩნია, რომ ამ კუთხით ფირმა „ანტონ ოლერტი" და მისი წარმომადგენლობა საქართველოში დიდ დახმარებას გაუწევს ყველას, ვისაც ნამდვილი ბიზნესის გზა აურჩევია.**

საქართველოში შექმნილი სოციალური სიდუხჭირის ერთ-ერთი მძიმე გამოვლინებაა ფსიქიატრიული საავადმყოფოების სავალალო მდგომარეობა. ელემენტარული პირობების უქონლობის გამო, ფსიქიატრიული პროფილის სამკურნალო დაწესებულებები იძულებულნი არიან, სხვადასხვა მოტივით საავადმყოფოდან გაუშვან ე.წ. ნაკლებსაშიში პაციენტები, ეს კი, ხშირ შემთხვევაში, საზოგადოებისთვის დიდ საფრთხეს შეიცავს.

ფსიქიურად არაჯანსაღი ადამიანები უმეტესად თანაგრძნობას იწვევენ, მაგრამ არავინ იცის რა შეიძლება მოუვიდეს თავში სულიერ ავადმყოფს. თუ შიზოფრენიკს მკვლელობის, შურისძიების ან უბრალოდ, აგრესიის გამოხატვის სურვილი შეიპყრობს, პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება არაადამიანური ტრაგედიის თავიდან აცილება. საქმეს კიდევ უფრო ართულებს სასამართლო ორგანოების უძლურებაც — ერთადერთი განაჩენი რაც მათ შეუძლიათ გამოიტანონ, იძულებითი მკურნალობაა.

შიზოფრენიით დაავადებულთა მიერ ჩადენილი საზარელი, პათოლოგიური დანაშაულების არაერთი მაგალითი არსებობს კრიმინალისტიკის ისტორიაში, მაგრამ ქვემოთ მოთხრობილი, ვფიქრობთ, სრულიად უნიკალურია. ამასთან, ეს კონკრეტული შემთხვევა უეჭველად დაგვარწმუნებს იმაში, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დამოკიდებულება ფსიქიურად დაავადებული დამნაშავის მიმართ ხელახლა უნდა გადაისინჯოს, თორემ ამ ავადმყოფობის ხასიათი დაუსჯელობის გამო ვინ იცის, რა ტრაგედიის დატრიალება შეუძლიათ როგორც რეალურად ავადმყოფებს, ისე... ცნობანაკლულ ბოროტმოქმედებს.

# კაციჭამიას სამზარეულო



მალე სანკტ-პეტერბურგის საქალაქო სასამართლოში ამავე ქალაქის მკვიდრის, 36 წლის იგორ პუზიკოვის (გვარი შეცვლილია) პროცესი დაიწყება. მას მსჯავრს ვერავინ სდებს, რადგანაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ შეურაცხადად ცნო. როგორც ბრალდების დასკვნაშია მითითებული, პუზიკოვმა „მხოლოდ და მხოლოდ“ „საზოგადოებისთვის საშიში ქმედება“ ჩაიდინა. კონკრეტულად კი — მოკლა და შეჭამა სამი მამაკაცი. აგრეთვე, გადაწვა ნაცნობების ბინა, რის გამოც კიდევ ორი ადამიანი დაიღუპა.

სანკტ-პეტერბურგში 1995 წლის 21 ივნისს, ორჯონიკიძის ქუჩაზე, მე-16 სახლის ეზოში ერთ-ერთი ავტომობილის მფლობელის ყურადღება გარაჟებს შორის დაყრილი ხორცის უფორმო ნაჭრებმა მიიპყრო. როდესაც უკეთ დააკვირდა, შეძრწუნებული მამაკაცი მიხვდა, რომ მის წინ ადამიანის მოკვეთილი კიდურები ეყარა.

მილიციის თანამშრომლებმა დეტალურად შეისწავლეს გვამის ნარჩენები და აღმოაჩინეს ორი ფეხი, ხელი, თავი, სასქესო ორგანო და შინაგანი ორგანოები. დროთა განმავლობაში დადგინდა, რომ ყველა ნაპოვნი ნაწილი ოდესღაც ერთ ადამიანს ეკუთვნოდა.

ზუსტად ერთი თვის შემდეგ, 21 აგვისტოს, იმავე ეზოში ადგილობრივმა მცხოვრებმა ნაგვის ვედროს გამოტანისას კიდევ ერთი საშინელი აღმოჩენა გააკეთა. ბუნკერის თავზე ვედროს აწევისას დაინახა, რომ კონტეინერიდან მას ადამიანის თავი შეჰყურებდა. ლამის გულწასულმა მოქალაქემ მილიცია გამოიძახა. მოგვიანებით, ოპერატიული სამსახურის თანამშრომლებმა ნაგავში, თავის გარდა, ადამიანის შიგნეულობა და მამაკაცის სასქესო ორგანოები იპოვეს.

ამ საიდუმლოებით მოცული მკვლელობის საფუძვლიანად გამოძიებას შეუდგნენ მოსკოვის შინაგან საქმეთა რეგიონული სამმართველოს თანამშრომლები და, აგრეთვე, მათი კოლეგები სისხლის სამართლის სამმართველოდან და რაიონული პროკურატურიდან. პროკურატურაში უკვე აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე 1992 წლიდან, როდესაც ორჯონიკის ქუჩის 32-ე სახლის სარდაფში მამაკაცის დანაწევრებული გვამი იპოვეს.

მაშინ მკვლელობის გამოძიებისას ოპერატიული სამსახურის თანამშრომელთა თვალსაწიერში მოხვდა იგორ პუზიკოვი, რომელიც იმავე სახლში ცხოვრობდა. პუზიკოვის მეზობლები უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ მისი ბინის ზღურბლზე ხშირად სისხლის ლაქები ჩნდებოდა. ამის გამო, მეზობლებმა არაერთხელ მიმართეს სამართალდამცავ ორგანოებს მოთხოვნით, როგორმე ზემოქმედება მოეხდინათ სისხლის მოყვარულ მეზობელზე.

პუზიკოვის წინააღმდეგ სამჯერ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 206-ე მუხლით (ხულიგნობა), მაგრამ ყოველ ჯერზე საქმე ერთი უბრალო მიზეზით წყდებოდა: იგორ პუზიკოვი ფსიქიატრიულ აღრიცხვაზე იმყოფებოდა და დიაგნოზით — შიზოფრენია — მეორე ჯგუფის ინვალიდად იქნა ცნობილი. იგი პერიოდულად ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობდა. კანონმდებლობის თანახმად, პუზიკოვს ავადმყოფობის გამო მიეცა ცალკე ბინა ორჯონიკიძის ქუჩაზე, აგრეთვე, დაენიშნა ინვალიდობის პენსია — 120 ათასი რუბლი თვეში.

ყოველ ჯერზე მას შეურაცხადად ცნობდნენ, თანაც, დანაშაულის კვალს ბინაში, ჩვეულებრივ, ვერ პოულობდნენ. [illegible] კვალს ვერ მიაგნეს მაშინაც, 1992 წელს.

ახლა კი პუზიკოვი კვლავ მოინახულეს.

იგი სულაც არ ჩქარობდა ოპერატიული სამსახურის თანამშრომელთათვის კარის გაღებას, ისინი კი დაიღალნენ კიბის ბაქანზე ლოდინით და კარი შეამტვრიეს. სწორედ რომ — დროულად.

ბინის პატრონი უკვე ფანჯრის რაფაზე იდგა და, მოცურავის სახტართო პოზაში მყოფი, მეხამე სართულიდან გადახტომას აპირებდა. თვითმკვლელს სწორედ გადახტომის მომენტში სტაცეს ხელი.

ამჯერად, პუზიკოვის დანაშაულებრივი საქმიანობის დამამტკიცებელი საბუთი გამომძიებლებს საკმარისზე მეტი ჰქონდათ: ბინის ყოველ კუთხეში გვამის ნაწილები ეყარა. ხელებისა და ფეხების გარდა, რომელთა გადაყრაც მასპინძელმა ვერ მოასწრო, მათ იპოვეს სხვა ნივთმტკიცებებიც, რომლებიც ნათლად მეტყველებდნენ იმაზე, რომ ბინის მფლობელი იყო მკვლელი და კაციჭამია.

ინვალიდს სამლიტრიან ქილაში დამწნილებული ჰქონდა ადამიანის ხორცი, იქვე ახლოს იდგა ვედრო ახეთივე ხორცის [illegible]. ტილოს ტომსიკებში ადამიანის გამომშრალი ხორცი ინახებოდა. აგრეთვე, იპოვეს ადამიანის გამხმარი კანი. გარდა ამისა, პუზიკოვს ზამთრისთვის მომარაგებული ჰქონდა ცხოველების და ფრინველების ხორცი.

ეგზოტიკური საკვების მოყვარული ადგილზევე დააკავეს და საგამომძიებლო იზოლატორში მოათავსეს. შემდეგ დაიწყო დაუსრულებელი დაკითხვები, დაპირისპირებები, ექსპერტიზები, ნივთმტკიცებების თავმოყრა და ა.შ.

„გამოძიების სირთულე იმაში მდგომარეობდა, — განაცხადა სანკტ-პეტერბურგის საქალაქო პროკურატურის გამომძიებელმა იგორ ობოლენსკიმ, — რომ ჩვენ საქმე ფსიქიურად არაჯანსაღ ადამიანთან გვქონდა. მის წამოცდენილ ცვალებად ჩვენებებზე დაყრდნობა შეუძლებელი იყო. მართალია, იგი არ უარყოფდა იმას, რომ ნამდვილად კლავდა და ჭამდა ადამიანებს, თუმცა, დაკავებისას ადამიანის ხორცისადმი ლტოლვა საკვებზე ფულის უქონლობით ახსნა. მერე კი თქვა, რომ იგი „საზოგადოების სანიტარია“ (პუზიკოვი მხოლოდ და მხოლოდ იმ ადამიანებს ჭამდა, რომლებსაც გარკვეული საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნდათ). ზედმიწევნით ვმუშაობდით მოწმეებთან, — აგრძელებს იგორ ობოლენსკი, — ვაგროვებდით ერთი შეხედვით უმნიშვნელო ნივთმტკიცებებსაც კი. უმთავრესი მნიშვნელობა მაინც ამა თუ იმ დასკვნის მეცნიერულ დასაბუთებას ვანიჭებდით.

30-ზე მეტი სხვადასხვა ექსპერტიზა ჩავატარეთ: სამედიცინოთი დაწყებული, ბიოლოგიურით დამთავრებული. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები ცალსახა იყო: შეურაცხადია. თუმცა, მისი ავადმყოფობა თანდაყოლილი არ იყო“.

პუზიკოვი 1960 წელს ქალაქ ლენინაბადში (ტაჯიკეთი) დაიბადა. ბავშვობაში ძლიერი და ჯანმრთელი ბიჭი იყო. ბავშვისთვის საბედისწერო აღმოჩნდა ის დღე, როდესაც მამამ მის თვალწინ სასიკვდილოდ ცემა დედა. ქალთან საშინელი გამკლავების სურათი სამუდამო დაღად დააჩნდა ბავშვის მეხსიერებას. იგორი მაშინ 13 წლისაც არ იყო.

გასაზრდელად ბიჭი დეიდამ წაიყვანა. იგორი ძველებურად ჯანმრთელი იყო. 1980-1982 წლებში მან ვიბორგთან მოიხადა სამხედრო ვალდებულება და პიტერში დაფუძნდა. პროფტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პუზიკოვმა ელექტროშემდუღებლად დაიწყო მუშაობა. ცხოვრობდა საერთო საცხოვრებელში. საღამოობით კი, მეგობრებთან ერთად სმას მიჰყო ხელი.

ერთხელ, 1983 წელს, მთვრალმა პუზიკოვმა სარკეში ჩაიხედა და საკუთარი გამოსახულების ნაცვლად მანჭია ეშმაკუნები დაინახა. ამის შემდეგ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვდა „თეთრი ციების“ დიაგნოზით.

შემდეგ პუზიკოვმა გონებრივად ჩამორჩენილთათვის განკუთვნილ სახელოსნოში დაიწყო მუშაობა. სხვათა შორის, აქვე გაიცნო მომავალი ცოლი. თუმცა, მას მალევე გაეყარა. ექს-ცოლი კი, ასეთი უიღბლო ქორწინების შემდეგ, არც მეტი არც ნაკლები — გაქრა. ამასობაში, იგორს [illegible] გამოუვლინდა ჰომოსექსუალიზმის და ზოოფილიისადმი მიდრეკილებები, იგი გაიტაცა სქესობრივმა ურთიერთობამ მამაკაცებთან. შეუყვარდა კატებისა და ძაღლების სასქესო ორგანოების ლოკვა, ფეკალური მასების ჭამა და ა.შ.

მსგავსი ახირებულობების გამოვლენის შემდეგ, ცოტა ხანში, პუზიკოვს შიზოფრენიის დიაგნოზი დაუსვეს და მეორე ჯგუფის ინვალიდად გააფორმეს.

კონკრეტულად როდის დაიწყო იგორმა ადამიანების ჭამა, ამის დადგენა მაინც ვერ მოხერხდა. ასევე უცნობია მსხვერპლთა რიცხვიც. ერთ-ერთ დაკითხვაზე პუზიკოვმა გამოძიებას მოახსენა, რომ სამი დასაბუთებული მკვლელობა და ხანძრის გაჩენა — მისი „შემოქმედების“ მხოლოდ ნაწილია. მეტიც, დღემდე უცნობია, თუ სად გაქრა განქორწინების შემდეგ მისი მეუღლე. სამაგიეროდ, ზუსტადაა ცნობილი, რომ სტუმართმოყვარე პუზიკოვი ადამიანის ხორცით არაერთხელ გაუმასპინძლდა თავის ნაცნობებს, რომლებთან ერთადაც პერიოდულად ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობდა. ისინიც ყოველთვის იწონებდნენ ინდივიდუალური წარმოების „დელიკატესის“ სასიამოვნო გემოს. ადამიანის ხორცის მომზადებაში თავისი კულინარიული შესაძლებლობებით პუზიკოვმა ყველა ცნობილი კანიბალს გადააჭარბა. იგორი ხორცს წვავდა, ხარშავდა, ღუმელში აშრობდა და ამწნილებდა კიდეც. ჩვეულებრივ, შინაური ცხოველების ხორცსაც არ თაკილობდა. [illegible] კატებსა და ძაღლებს. ადამიანის ხორცით სიამოვნებაში სრულ ჰარმონიას პუზიკოვი მაშინ აღწევდა, როდესაც მკვლელობის წინ თავის მსხვერპლთან სექსუალურ ურთიერთობას ამყარებდა.

არატრადიციული მკვლელი საკმაოდ მეთოდურად მოქმედებდა. [illegible] პუზიკოვი თავისთან იწვევდა ერთ-ერთ ნაცნობ „ბომჟს“ არყის დასალევად. ბინაში იგორი თავის სტუმარს ხდიდა და აბაზანაში საბანაოდ ეპატიჟებოდა. იქ მეგობრები ჰომოსექსუალურ გასართობებს ეძლეოდნენ. სექსუალური დაკმაყოფილების შემდეგ, ბინის მფლობელი თავში რაიმე მძიმე ნივთის ჩარტყმით პირდაპირ საბაზანოში კლავდა სტუმარს. მან მხოლოდ ერთხელ უღალატა თავის პრინციპებს, როდესაც მეგობარს, რომელმაც სექსუალურ კონტაქტზე უარი უთხრა, მეწაღის დანით გამოჭრა ყელი.

თავისი ნაცნობების ბინაც პუზიკოვმა შურისძიების მიზნით გადაწვა. მათ, როგორც ჩანს, არ მოიწონეს მეგობრის მოფერება, რაზეც პასუხი აგეს. ერთი მათგანი პირდაპირ ბინაში დაიწვა, მეორე კი — დამწვრობებისგან საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მკვლელობის შემდეგ პუზიკოვი გვამებს ანაწილებდა. მთელ სხეულს სიგრძივ ჭრიდა, კიდურებს, თავს და სასქესო ორგანოებს იგი, ჩვეულებრივ, არ იყენებდა. ამოკვეთდა, აგრეთვე, ნაღვლის ბუშტს, რათა მას ხორცი არ გაემწარებინა, და სხვა შინაგან ორგანოებსაც. დარჩენილ რბილ ნაჭრებს საკვებში გამოსაყენებლად ამზადებდა.

დღესდღეობით, იგორ პუზიკოვი სამკურნალო იზოლატორში იმყოფება. მას დღე-ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ თვალყურს ადევნებენ. ადვოკატი კი საქმეს ეცნობა, რათა სასამართლო პროცესზე დაიცვას არანორმალური მონსტრი, თუმცა პუზიკოვს პასუხს არავინ სთხოვს.

უარეს შემთხვევაში, მას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ხანგრძლივი მკურნალობა ელის, შემდეგ — კვლავ თავისუფლება. ეს კი შემაძრწუნებლად საშიშია.

P.S. სერბსკის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის სპეციალისტები „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ მიერ დასმულ შეკითხვაზე, თუ რამდენად რეალურია იძულებითი მკურნალობის შემდეგ მონსტრის გათავისუფლების ალბათობა, პასუხობენ, რომ ამის შანსი ნამდვილად დიდია.

საერთოდ, სასამართლოს მიერ მისჯილი იძულებითი მკურნალობის შეწყვეტა თვით სამკურნალო დაწესებულების დასკვნის თანახმად ხდება. ექიმები ვალდებულნი არიან, კვირაში ერთხელ შეამოწმონ ავადმყოფის მდგომარეობა და გაუმჯობესების შემთხვევაში, სასამართლოს აცნობონ. ამ ავადმყოფობისგან მთლიანად განკურნება შეუძლებელია, რადგანაც მსგავსი ფსიქიატრიული დაავადებები ქრონიკულია. სასამართლოს პრეროგატივაა, გაარკვიოს — შეწყდეს თუ გაგრძელდეს პაციენტის მკურნალობა.

რუსეთში 15 — 20 წლის განმავლობაში იძულებითი მკურნალობის შემთხვევები საკმაოდ იშვიათია.

საზღვარგარეთ კი მსგავსი სახის დამნაშავეებთან დამოკიდებულება სულ სხვაგვარია. მაგალითად, ინგლისში, თუ მკვლელობისთვის დამნაშავეს 20 წლით პატიმრობა ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, ფსიქიურად დაავადებულია იგი თუ არა, მკვლელმა სასჯელი სრულად უნდა მოიხადოს: ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ან ციხეში.

„მოსკოვსკი კომსომოლეცი“

# წარმატებული წარუმატებლობა ქართული სპორტის მესვეურთა დამსახურებაა

საქართველოს ყველაზე პოპულარული სპორტული გაზეთის „სარბიელის" ფურცლებზე 22 აგვისტოს დაიბეჭდა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივნის, ემზარ ზენაიშვილის ვრცელი წერილი.

თავიდანვე ვიტყვი, ჩვენს გაზეთში ქართველი ოლიმპიელების ატლანტაში გამოსვლის თემას საკმაოდ დიდი მასალა მიეძღვნა და, ალბათ, არც ღირდა ამ თემაზე საუბრის გაგრძელება, მაგრამ ბატონ ემზარის წერილი გარკვეულწილად იძულებულს მხდის (და ვხდის გაზეთის მთელ კოლექტივს), რომ რამდენიმე საკითხზე ჩვენი აზრი გამოვთქვათ.

ბატონი ემზარი წერილის დასაწყისში მთელ ერთ სვეტს უთმობს იმის აღნიშვნას, რომ თურმე ქართველი სპორტსმენები ატლანტაში წარუმატებლად სულაც არ გამოსულან(?!). ამის შემდეგ, გაზეთის ორ სვეტში მიდის საუბარი იმის შესახებ, თუ ვინ არის ქართველთა წარუმატებლობაში დამნაშავე(?!..?!) და სულ ბოლოს, ხდება იმის მტკიცება, რომ ქართველი „სპორტის მესვეურნი" (ბრჭყალებში ეს სიტყვები თავად ბატონმა ემზარმა გამოყო — გ.ბ.) ამ საქმეში უდანაშაულონი არიან?!

სხვას ვერაფერს ვიტყვი, — უხერხულ და უადგილო შედარებას მოვიტან — თვით დავით აღმაშენებელმაც კი სიკვდილის წინ ცოდვები მოინანია და გელათის კარიბჭეში დაკრძალვით ერთგვარი განაჩენიც კი გამოუტანა საკუთარ თავს. ჩვენს „სპორტის მესვეურებს", თურმე, ამას ვერ შევბედავთ, ესენი ყველაფერში მართლები არიან, — „როგორ გეკადრებათ, როგორ გვიბედავთ იმის აღნიშვნას, რომ თურმე რაღაცაში დამნაშავენი ვყოფილვართ!.."

დიდი ბოდიში ბატონებო, ბატონო ემზარ, და „ბიძია კახი" და „ბიძია ჯანო" და „ბიცოლებო და მამიდებო და დეიდებო" — ღმერთმა ქნას, ქართული სპორტის საქმე ისე წასულიყოს, მედალი მედალზე აგვეღოს და ყველა იმ უსინდისოს რა ვუთხარი, ვინც ამის შემდეგ ქართული „სპორტის მესვეურებს" უდიერად მოიხსენიებს.

... კიდევ ერთხელ მაპატიეთ, მაგრამ ასე მგონია და მიიც მჯერა, რომ ჩემი აზრი ამ შემთხვევაში უტყუარია — არ შეიძლება ყველაფრის სხვებისთვის გადაბრალება — ყველანი ვართ დამნაშავენი, პატარ-პატარა რაღაცეები ყველამ დავაკელით ქართულ სპორტს, მაგრამ უპირველესი მოვალენი ჩვენი სპორტისა და სპორტსმენების წარმატებით გამოსვლაში თქვენ იყავით და ნურავის გადაულოცავთ პასუხისმგებლობას — ეს უტყუარი ჭეშმარიტებაა და ამაზე ლაპარაკის გაგრძელება უაზრობაა...

ბიორბი ბერიკაშვილი

# უცხოეთის ფეხბურთის ქრონიკა

## ინგლისი

II ტური: „ლივერპული"-"არსენალი" 2:0, „ლიდსი"-"შეფილდი" 0:2, „ნიუკასლი"-"უიმბლდონი" 2:0, „მანჩესტერ იუნაიტედი"-"ევერტონი" 2:2, „ნოტინგემი"-"სანდერლენდი" 1:4, „ტოტენჰემი"-"დერბი ქაუნთი" 1:1, „ჩელსი"-"მიდლსბრო" 1:0, „ასტონ ვილა"-"ბლექბერნი" 1:0, „ვესტ ჰემი"-"ქოვენთრი" 1:1, „ლესტერი"-"საუთჰემპტონი" 2:1.

„ნიუკასლის" შემადგენლობაში პირველი „ოფიციალური" გოლი გაიტანა მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებულმა ფეხბურთელმა ალან შირერმა — მან დიდებულად შეასრულა საჯარიმო დარტყმა. საოცარ ფორმაშია „ევერტონის" შოტლანდიელი თავდამსხმელი დანკან ფერგიუსონი. მის მიერ გატანილი გოლების წყალობით „ევერტონი" „ოლდ ტრაფორდზე" პირველი ტაიმის შემდეგ 2:0 იგებდა, მაგრამ ალექს ფერგიუსონის გუნდმა შესვენების შემდეგ მოახერხა ერთი ქულის გადარჩენა. აღსანიშნავია პრემიერლიგის დებიუტანტების კარგი თამაში — თავი განსაკუთრებით „სანდერლენდმა" გამოიჩინა — ნოტინგემში დიდი ანგარიშით დაამარცხა მასპინძლები.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შეფილდი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| მანჩიუნაიტედი | 2 | 1 | 1 | 0 | 6-2 | 4 |
| სანდერლენდი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| ლივერპული | 2 | 1 | 1 | 0 | 5-3 | 4 |
| ევერტონი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| ტოტენჰემი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| ლესტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| ჩელსი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| ნოტინგემი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| ნიუკასლი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| არსენალი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| ასტონ ვილა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| დერბი ქაუნთი | 2 | 0 | 2 | 0 | 4-4 | 2 |
| მიდლსბრო | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| საუთჰემპტონი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| ლიდსი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-5 | 1 |
| ვესტ ჰემი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| ქოვენთრი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| ბლექბერნი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| უიმბლდონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |

## გერმანია

II ტური: „არმინია"-"სანქტ პაული" 1:2, „ვერდერი"-"ჰანზა" 1:1, „შალკე"-"ბორუსია"(მ.) 0:0, „ჰამბურგი"-"ფრაიბურგი" 5:1, „ბორუსია"(დ.)-"ფორტუნა" 4:0, „ბაიერნი"-"ბოხუმი" 1:1, „დუისბურგი"-"ბაიერი"(ლ.) 1:3, „კიოლნი"-"მიუნხენ 1860" 1:0, „კარლსრუე"-"შტუტგარტი" — გადაიდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-3 | 6 |
| კიოლნი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| ბაიერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| ბოხუმი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| შტუტგარტი | 1 | 1 | 0 | 0 | 4-0 | 3 |
| ჰამბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 6-3 | 3 |
| დორტმუნდი | 2 | 1 | 0 | 1 | 6-4 | 3 |
| სანქტ პაული | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| მ.1860 | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| ფრაიბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-7 | 3 |
| ჰანზა | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| მენჰენგლ. | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| კარლსრუე | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| ვერდერი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| არმინია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| შალკე | 2. | 0 | 1 | 1 | 0-4 | 1 |
| დუისბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| ფორტუნა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-7 | 0 |

# ევროთასები

## ჩემპიონთა ლიგა

ალანია (რუსეთი) — რეინჯერსი (შოტლანდია) 2:7 (1:3)

დინამო (უკრაინა) — რაპიდი (ავსტრია) 2:4 (0:2)

რუსენბორგი (ნორვეგია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 3:0 (0:1)

სტიაუა (რუმინეთი) — ბრიუგე (ბელგია) 3:0 (2:2)

ფერენცვაროში (უნგრეთი) — გეტებორგი (შვედეთი) 1:1 (0:3)

ფენერბახჩე (თურქეთი) — მაკაბი (ისრაელი) 1:1 (1:0)

ბრონდბიუ (დანია) — ვიძევი (პოლონეთი) 3:2 (1:2)

სლავია (ჩეხეთი) — გრასჰოპერსი (შვეიცარია) 0:1 (0:5)

## თასების მფლობელთა თასი

ბათუმელებმა მეორე მატჩიც მოიგეს, შემდეგ ეტაპზეც გავიდნენ, და საქართველოს უეფა-ს კოეფიციენტს მორიგი ქულებიც შემატეს — „ბათუმმა" ფარერებში 3:0 მოიგო და შემდეგ ეტაპზე გავიდა, ესე იგი, ევროთასების ოფიციალურ გათამაშებაში პირველად მიიღებს მონაწილეობას საქართველოს ორი გუნდი.

პაფნარი (ფარერები) — ბათუმი (საქართველო) 0:3 (0:6)

ფლამურტარი (ალბანეთი) — ჰემლონი (სლოვაკეთი) 0:2 (1:0)

კარედა (ლიტვა) — სიონი (შვეიცარია) 0:0 (2:4)

ლევსკი (ბულგარეთი) — ოლიმპია (სლოვენია) 1:0 (0:1) პენალტებით 3:4

ჰარტსი (შოტლანდია) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 1:1 (0:0)

მიუპა (ფინეთი) — ყარაბაღი (აზერბაიჯანი) 1:1 (1:0)

ჰაპოელი (ისრაელი) — კონსტრუქტორიული (მოლდოვა) 3:2 (0:1)

გლორია (რუმინეთი) — ლავალეტა (მალტა) 2:1 (2:0)

ფრანი (ნორვეგია) — შელბურნი (ირლანდია) 2:1 (3:1)

რუხი (პოლონეთი) — ლანსანტფრეიდი (უელსი) 5:0 (1:0)

იუგომაგნიტი (მაკედონია) — ჰონვედი (უნგრეთი) 0:1 (1:1)

უნიონი (ლუქსემბურგი) — ვარტექსი (ხორვატია) 0:3 (0:0)

ვადუცი (ლიხტენშტ.) — უნივერსიტატე (ლატვია) 1:1 (1:1) პენალტებით 4:2

სპარტა (ჩეხეთი) — გლენტორანი (ირლანდია) 8:0 (0:0)

ნივა (უკრაინა) — სადამი (ესტონეთი) 1:0 (1:2)

რეიკიავიკი (ისლანდია) — მრკს (ბელორუსი) 1:0 (2:2)

# «ტორპედო» - «დინამო», «ბათუმი» - «პსვ ეინდჰოვენი»

გუშინ შვეიცარიაში ევროპული თასების წილისყრა გაიმართა, რომელმაც თბილისისა და ბათუმის „დინამოელების" მეტოქეები გამოავლინა.

უეფას თასზე „დინამოს" ძველი მეტოქე — მოსკოვის „ტორპედო" ერგო. მოსკოვის „ტორპედო" სამჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1960, 1965 და 1976 წ.წ. (შემოდგომა). საბჭოთა კავშირის პირველობაზე ამ გუნდების მატჩები ყოველთვის დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მაგრამ „ტორპედო" „დინამოსთვის" დაუმარცხებელი მეტოქე არასოდეს ყოფილა. 1964წ. 18 ნოემბერს, ტაშკენტის დაუვიწყარ მატჩში „დინამომ" ხომ სწორედ „ტორპედო" დაამარცხა — 4:1 და პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება.

დღევანდელ „ტორპედოზე" იმის თქმა შეიძლება, რომ გუნდი ფიზიკურად ძლიერი და სწრაფი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული, მაგრამ თავისი ქვეყნის ჩემპიონატში არათანაბრად თამაშობს. „ტორპედომ" საკვალიფიკაციო წრეში ხორვატიის „პაიდუკი" დაამარცხა(0:1, 2:0). თბილისის „დინამო" პირველ შეხვედრას 10 სექტემბერს სტუმრად გამართავს.

ბათუმელებს კი შესაშური ნამდვილად არაფერი აქვთ. მათ ბედმა ჰოლანდიის და ევროპის ერთ-ერთი ტიტულოვანი კლუბი, „პსვ ეინდჰოვენი" არგუნა. ჰოლანდიელები თავისი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონები და თასის მფლობელები, აგრეთვე უეფას და ჩემპიონთა თასის მფლობელები არიან. 1978წ. უეფას თასის, ფინალში, ორი თამაშის ჯამში „პსვ ეინდჰოვენმა" დაამარცხა საფრანგეთის „ბასტია"(0:0, 3:0), ხოლო 1988წ. ჩემპიონთა თასის ფინალში, პენალტების სერიით პორტუგალიის „ბენფიკას" სძლია. ამ გუნდების პირველი შეხვედრა 12 სექტემბერს ბათუმში გაიმართება. ქართული კლუბების მეტოქეთა შესახებ უფრო ვრცელ საუბარს ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

ჰოკეი

# მსოფლიოს თასის წინ



ორშაბათს იწყება მსოფლიოს თასის (ყოფილი კანადის თასი) გათამაშება. დღეს გთავაზობთ იმ გუნდების შემადგენლობებს, რომლებიც დღეისთვის ჩვენთვის ცნობილია.

**კანადა:** მეკარეები — მარტინ ბროდერი (ნიუ ჯერსი), კერტის ჯოზეფი (ედმონტონი), ბილ რენფორდი (ბოსტონი). დაცვა — რობ ბლეიკი (ლოს-ანჯელესი), პოლ კოფი (დეტროიტი), ერიკ დეჟარდენი (ფილადელფია), ადამ ფუტი (კოლორადო), ელ მაკინისი (სენტ-ლუისი), სკოტ ნიდერმაიერი, სკოტ სტივენსი (ორივე ნიუ-ჯერსი), ლაილ ოდელეინი (მონრეალი). თავდასხმა — ჯო საკიკი, კლოდ ლემიე (ორივე კოლორადო), რონ ფრენსისი (პიტსბურგი), უეინ გრეტცკი, მარკ მესიე, ადამ გრეივზი, პეტ ბერდიკი (ოთხივე რეინჯერსი), როდ ბრინდამორი (ფილადელფია), თეორენ ფლერი (კალგარი), ვინსენ დამფუსი (მონრეალი), კეიტ პრიმო (ჰართფორდი). მწვრთნელი — გლენ სატერი.

**აშშ:** მეკარეები — ჯიმ კერი (ვაშინგტონი), მაიკ რიხტერი (რეინჯერსი), გი ებერი (ანაჰაიმი). დაცვა — შონ ჩამბერსი (ნიუ-ჯერსი), კრის ჩელიოსი (ჩიკაგო), დერიან ხეტჩერი, კევინ ხეტჩერი (ორივე დალასი), ფილ ჰაუსლი (ვაშინგტონი), ბრაიან ლიჩი (რეინჯერსი), მეთიუ შნეიდერი (ტორონტო), გერი სუტერი (ჩიკაგო). თავდასხმა — ტონი ამონტი (ჩიკაგო), ადამ დედმარში (კოლორადო), ბილ გერენი (ნიუ-ჯერსი), ბრეტ ჰალი, ჯონ ლეკლერი (ორივე ფილადელფია), შონ მაკჩერნი (ოტავა), მაიკ მოდანო (დალასი), ჯოელ ოტო (ფილადელფია), ჯერემი რენიკი (ფინიქსი), ბრაიან სმოლინსკი (პიტსბურგი), კეიტ ტკაჩუკი (ფინიქსი), დუგ უეიტი (ედმონტონი), სკოტ იანგი (კოლორადო). მწვრთნელი — რონ უილსონი.

**რუსეთი:** მეკარეები — ანდრეი ტრეფილოვი (ბაფალო), მიხეილ შტალენკოვი (ანაჰაიმი), ნიკოლაი ხაბიბულინი (ფინიქსი). დაცვა — ვიაჩესლავ ფეტისოვი (დეტროიტი), ვლადიმირ მალახოვი (მონრეალი), დმიტრი იუშკევიჩი (ტორონტო), იგორ კრავჩუკი (სენტ-ლუისი), ოლეგ ტვერდოვსკი (ანაჰაიმი), ალექსეი ჟიტნიკი (ბაფალო), სერგეი ზუბოვი (დალასი), სერგეი გონჩარი (ვაშინგტონი), დარიუს კასპარაიტისი (აილენდერსი). თავდასხმა — იგორ ლარიონოვი, სერგეი ფედოროვი, ვიაჩესლავ კოზლოვი (სამივე დეტროიტი), ალექსანდრ მოგილნი, პაველ ბურე (ორივე ვანკუვერი), ალექსეი კოვალიოვი, სერგეი ნემჩინოვი (ორივე რეინჯერსი), ალექსეი ჟამნოვი (ჩიკაგო), ალექსეი იაშინი (ოტავა), ანდრეი კოვალენკო, ვალერი ბურე (ორივე მონრეალი), სერგეი ბერეზინი (ტორონტო), ანდრეი ნიკოლიშინი (ჰარტფორდი), ალექსანდრ სემაკი (აილენდერსი). მწვრთნელი — ბორის მიხაილოვი.

**სლოვაკეთი:** მეკარეები — იაროსლავ დრაგანი (კოშიცე), იგორ მურინი (ტრენჩინი), რომან მეგა (სლოვანი). დაცვა — იან ვარხოლიკი, სტანისლავ იასეჩკო (ორივე კოშიცე), ლუბომირ ვიშნევსკი, მატეი ბუკნა (ორივე სლოვანი), ლუბომირ სეკერაში (ტრშინეცი), ერგუშ ბაჩა (ოლომოუცი), სტანისლავ მედრჟიკი (ზლინი), ივან დროპა (ჩიკაგო), რობერტ შველხლა (ფლორიდა). თავდასხმა — ვლასტიმილ პლავუხა, რენე პუხერი, სლავომირ ილავსკი, ლიობომირ რიბოვიჩი (ყველა კოშიცე), ლიობომირ კოლნიკი, ზდენო ციგერი (ორივე სლოვანი), იოზეფ დანო (ტრენჩინი), ოტო ხაშჩაკი (ვსეტინი), მიროსლავ შატანი (ედმონტონი), პავოლ დემიტრა (ოტავა), პეტერ ბონდრა, რიჰარდ ზედნიკი (ორივე ვაშინგტონი), ზიგმუნდ პალფი (აილენდერსი), იოზეფ შტუმპელი (ბოსტონი). მწვრთნელი — იოზეფ გოლონკა.

მეორე ჯგუფში მონაწილე გუნდების შემადგენლობებს მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

მსოფლიო თასის დაწყებამდე გაიმართა მორიგი საჩვენებელი მატჩები:

გერმანია — რუსეთი 2:4
კანადა — აშშ 3:1
აშშ — კანადა 7:5
ფინეთი — ჩეხეთი 5:1.

## კროსვორდი

თარაზულად: 1. პარკიშის შედეგად გამოშუშავებული ავტომატიზებული მოქმედება; 7. გახრწნისგან ხელოვნურად დაცული გვამი; 10. რაიმე ნიშნის მიხედვით შედგენილი გუნდი, კრებული; 11. სახელგანთქმული ქართველი მოჭიდავე; 12. თეატრის ჟანრი, რომელშიც შეხამებულია მუსიკალური, საესტრადო თუ საცირკო ხელოვნების ელემენტები; 13. აჩეხოვის პიესა; 14. ძარღვი, რომლითაც გულიდან სხეულის სხვა ორგანოებს სისხლი მიეწოდება; 16. XX ს. ცნობილი ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 19. გამაგრილებელი სადესერტო პროდუქტი; 22. გარეული ფრინველი; 23. ცენტრიდან დაშორებული მხარე, განაპირა ადგილი; 28. ხორვატიული ცნობილი საკალათბურთო კლუბი; 29. ორგანიზმის სიკვდილისწინა მდგომარეობა; 30. დებეტისა და კრედიტის ჯამებს შორის სხვაობა; 31. პატარა მღრღნელი ცხოველი; 32. მოწონების გამომხატველი შორისდებული; 35. აშშ-ს შტატი; 37. ქალაქი პოლონეთში, სადაც გერმანელმა ფაშისტებმა საკონცენტრაციო ბანაკი მოაწყვეს; 38; ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 40. დიდი ხმაური, ყაყანი, აურზაური; 43. დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; 49. კოშკის საათი, რომელიც დროგამოშვებით რეკავს; 50. ნაცარტუტში გამოხარშული ხის ხოკო; 51. საგნების მხატვრული კონსტრუირება; 52. სრული უქარობა ან ძალზე სუსტი ნიავი; 53. მოგზაურობა წრიული მარშრუტით; 54. ქალაქი შვეიცარიაში; 55. სურნელოვანი ყვავილი.

შვეულად: 1. ფარისებრი ჯირკვლის გადიდება; 2. ერთ-ერთი უძველესი რელიგია; 3. XVI ს. გერმანელი ჰუმანისტი, მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე; 4. ეგ.ნინოშვილის მოთხრობა; 5. მდინარე ციმბირში; 6. საქონლის კუდუსუნის ხორცი; 8. ისტორიული ქალაქი დღევანდელი უზბეკეთის ტერიტორიაზე; 9. თურქი ფეხბურთელი, ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის მონაწილე; 15. ამერიკული თოჯინა; 17. უმაღლესი სასულიერო პირი მუსლიმანებში, რომელსაც აქვს რელიგიურ-იურიდიული საკითხების გადაწყვეტის უფლება; 18. სიმდიდრე, ბარაქა; 20. სპარტის მეფე, მოტყუებული ქმრის სინონიმი; 21. წმინდა ადგილებში სალოცავად წასული მოგზაური; 24. ცხოველის დორბლი, დუჟი; 25. ერთგვარი საღებავი; 26. სახელმწიფო კარიბის ზღვის კუნძულზე; 27. სამხედრო დანაყოფის ხელმძღვანელი ძველ მონღოლებში; 33. პურის საცხობი ნაგებობა; 34. კოლორიტული ფიგურა ძველ თბილისში; 36. მდინარე დასავლეთ საქართველოში; 39. ორი სახელმწიფოს მოქალაქეობიდან ერთ-ერთის არჩევა; 41. ჩაიკოვსკის ოპერა; 42. „ვეფხისტყაოსნის" გერმანულ ენაზე მთარგმნელი; 44. პატარა მგალობელი ფრინველი; 45. საველე საფორტიფიკაციო ნაგებობა; 46. თბილისის ერთ-ერთი რაიონი; 47. ქიმიური ელემენტი; 48. წყნარი, მშვიდი, დარბაისელი.



## კროსვორდი



თარაზულად: 1. ვულკანური ქანი; 3. დენთით და ტყვიით გატენილი მასრა; 5. ციმორი ანუ ... 8. მდინარე ევროპაში; 10. უძლური, უსუსური; 11. კანის გადამდები დაავადება; 13. ფართობის ერთეული ინგლისურ სისტემაში; 15. აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი; 16. დარდი, კაეშანი; 18; თავსართი, რომელიც რაღაც ორიენტაციაზე მიუთითებს; 19. მარტოხელა, უთვისტომო, უჯიშო; 20. რქოსანი მცოხნელი ცხოველი; 22. ქართული ცხენოსნური სპორტული თამაში; 24. ჰენდელის ოპერა; 26. მხარე საფრანგეთში, რომელიც კონტრრევოლუციის კერის სიმბოლოდ იქცა; 29. მცენარეთა ნაყოფიერება და ხეთა ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 32. ინგლისური ნმინდა ლუდი; 33. ენაჩლუნგი; 34. ფრანგი ჩოგბურთელი; 36. ბლოკადა, გარემოცვა; 37. ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია; 39. ცნობილი ესპანელი მხატვარი-იმპრესიონისტი; 41. ი.ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის" პერსონაჟი; 42. თივის დიდი გროვა; 44. რუსი ბოლშევიკების გაზეთი; 46. ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი მხარე; 47. თავაშვებული დროსტარება; 48. ჩეხი ხალხის ეროვნული გმირი.

შვეულად: 1. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 2. გამოდნობით მიღებული ლითონის ნაჭერი; 3. გასული სეზონის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი; 4. კავშირი, რომელიც მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვების დასაკავშირებლად იხმარება; 6. ებრაელის მეტსახელი; 7. ქსოვილის კიდეებზე მოვლებული ზოლი; 9. თ.დოსტოევსკის რომანი; 10. ქართველი რეჟისორი; 12. ქალაქი უზბეკეთში; 14. ჩოხის, კაბის და სხვ. ქვედა ნაწილი; 15. წყლის დიდი ფრინველი; 17. რისამე დედააზრი, რაობა; 18. ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული; 21. ფ.შატობრიანის ნოველა; 23. დროის მონაკვეთი; 25. ლაოსის ძირითადი მოსახლეობა; 26. ალკოჰოლური სასმელი; 27. ერთგვარი საკონდიტრო ნაწარმი; 28. შენევით დაწყებული ახალი სტრიქონი; 29. ფეხის წვერებზე ცეკვა; 30. ძვირფასი ლითონი; 31. ერთი სახელნოდების მქონე ქალაქი საფრანგეთში და ტბა იტალიაში; 35. დაბა ქართლში; 38. ქართველი მწერალი; 40. მსჯელობის, განსჯის პროდუქტი; 41. სხეულის გარეთა საფარი; 43. რთული სიტყვის პირველი ნაწილი, ნიშნავს ახალს, განახლებულს; 45. ჩამონათვალი, ნუსხა.

შეადგინა ბ. მირიანაშვილმა






სატირა

## «ცნობილი»

ბევრ სახელ და გვარს კიდია
ექვან-ტიტული „ცნობილი"
და არის პოლიტ-ბაზარზე
გამოყრილ-გამოწყობილი.
ყველა „მონვევის" ნევრებად
გამონვრთნილ-გამონრთობილნი,
სპეციალური რეცეპტით
„მოღვანედ" გამოცხობილი.
ყველა „საჭირო პერსონის"
მიძალებული „ძმობილი",
ელასტიური საცობი,
ყველა ბოთლს ჩამოცობილი.
დარგებზე დანარჭობელი,
და ველარ ამოძრობილი,
ინტრიგით ვერ გამაძღარი,
ბოზობით ვერ დაცხრობილი.
ნაშოვრის დაკარგვის შიშით
მიტმასნილ და „მიმხრობილი",
ლაქია, ლიქნის სანაცვლოდ
გამომძღარ-გამოთრობილი.
და ჩვენ მანამდე ვიქნებით
კრიზისში გამოხრჩობილი,
ვიდრე სავარძელს შოულობს
ტიპი გულგამოლპობილი.
ღიმილის მსგავსი გრიმასით
ყასიდად პირგაპობილი,
უშუბლისძარღვოდ ნაშობი,
პრინციპებ-გამოშრობილი.
თავზე მანამდე გვექნება
ცა, რისხვით ჩამომხობილი,
ვიდრე არ მოვა მახვილი
მსაჯულად გამოხმობილი.
და არ იქნება საქვეყნოდ
გახსნილი და მოთხრობილი,
პოლიტ-მედროვე, მეძავი,
გამოჩხრეკ-გამოცნობილი.
ვინ და რა მახალით არის
გამომნვარ-გამოდნობილი,
გუშინ რას ჭამდა, დღეს რას ჭამს
და როგორ გახდა „ცნობილი".

რუსლან მიქაბერიძე

რედაქტორ-გამომცემლები
ვასილ მაღლაფერიძე და პაატა ვეშაპიძე
გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია
პასუხისმგებელი მდივანი დავით ნინიძაშვილი
დამკაბადონებელი თამაზ ჩხაიძე

მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7.
ტელ: 29-48-05, ფაქსი 23-52-12